



ციკლიდან „ARTეკლავი“

ბამონა სიზმარში

სიზმარში მამა ვარ ობოლი ბავშვების და, სიხარულისგან, არ ვიცი რას ვშვრები...
 ბორბალი ბედისა სიზმარში მოგორდა:
 ბიჭუნა სამია, ოთხია გოგოდა
 ვიფიქრე: ამ ბავშვებს ვექცევი ბუდელო —
 გაუუნვე მამობას, გამოვზრდი უდელოდ!
 და ცხადი თუ იყო ჩემი გზის მჩაგრავი,
 ცხადში თუ ერთიც კი არ მყავდა ნაგრამი,
 სიზმარში მამა ვარ შვიდ ობოლ ბაღლისდა
 ვზრდი ამათ, ნაცემებს ცხოვრების ტალღისგან
 და ჯერ არ ვყოფილვარ ასეთი მაგარი...
 ცხადში რაც არ მქონდა, სუყველა აქარი
 და თუკი მე ცხადში მზეს ვგავდი ჩამავალს,
 სიზმარში ობოლი ბავშვების მამავარ!
 დიდები — სკოლაში, ბაღში კი ნორჩები
 დამყავს და სიცოცხლეს ამათთვის მოვრჩები,
 ამოვინურები, ვაქვრები გემოზე
 და სულს თუ აქამდე ამოდ ვემოსე,
 აქ ახლა ჩავითქვი დავზარდო ესენი,
 ამათთვის დავაცხო პიცა და ღვეზელი,
 ამათთვის წყალზედაც ვავივლი უხილოდ
 და ჩავალ პარიზშიც, ოლონდაც ვუყიდო
 შარვლები — ბიჭუნებს, გოგონებს — კოფტები,
 ამათთვის ვიცოცხლებ, ამათთვის მოვკვდები,
 ამათთვის ვიქნები მშვიდიც და გიჟმაჟიც,
 ამათთვის ყველაფერს ჩავიდენ სიზმარში,
 არ გამოვიხედავ ცხადისკენ საერთოდ,
 ოლონდაც ესენი ბავშვობით გაერთონ...
 სიზმარშიც ვაუძლებ ყოველგვარ ცვლილებას,
 ოლონდაც ესენი ვაზარდო შვილებად! —
 რა მიგავს ბავშვების გაზრდაში გამოცდილს!
 და მაინც სიზმარში მე ამათ გამოვზრდი!
 სიზმარშიც მომიხდეს ყველაფრის მტკიცება,
 ოლონდაც ნურასდროს ნუ გამეღვიძება!

მაცხრა სართული

ლუკას ხსოვნას

თვალი როგორღა ვუსწოროთ რიჟრაჟს!
 ჩვენ ახლა უნდა სუყველას შეგვრცხვეს:
 თქვა, ამ ცხოვრების დედაცო, ბიჭმა
 და ზემოთ დარჩა სართული მეცხრე...

ეს იყო კარის მოჯახუნება
 იმათთვის, პასუხს ვერ სთხოვენ ვისაც...
 ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთიდან
 გადახტა ბიჭი თხუთმეტი წლისა.

ჩვენ კი ისევე ერთმანეთს ვმიჯნავთ,
 ვართ ერთმანეთის მტრობით გართული...
 თქვა, ამ ცხოვრების დედაცო, ბიჭმა
 და მალლა დარჩა მეცხრე სართული...

თქვენ კი... მეც ცისკენ ვეძებ სამზერებს,
 რაზედაც თვალი ტყვილა დაშვრება...
 ისეთი ლექსი რად ვერ დავწერე,
 რომ არ მოიკლან თავი ბავშვებმა!..

ბათუ დანელია

უყურადღებოდ დარჩენილი გოგო

ცხოვრება მთლად მოკლე გზაა...
 ისეთი მზერა აქვს ამგოგოს,
 თითქოს სურს მაქციოს საათად,
 რომ თავის თითებით დამქოქოს...
 იქით თავს, აი, რას გაატანთ:
 ერთ ბიას, ორ ატამს, სამქოქოს...
 ცხოვრება მთლად მოკლე გზაა...
 დროულად მიხედეთ ამგოგოს! —
 იგნორში არავინ ამყოფოს!..

ციკლიდან „ლაქსამბები“

მგზავრი არსანიდან

გონზე მოსულს დამციმციმებს მცინარემზე.
 ბორანს — გაღმა გადავყავარ მდინარეზე.
 სიშორეში მთასა ვხედავ ბოხობობილს
 და არ ვიცი — აქ როდის და როგორ მოვხვდი...
 მებორნეა სიტყვაძუნნი მოხუციდა
 ჰანგს სტვენს ლისტის რომელიღაც ოპუსიდან...
 ჩანს: აქ მალმალ იცვლებიან კლიმატები...
 და ჩვენ ნაპირს, როგორც იქნა, მივადექით.
 გადავდი ბორნიდან და — შუადღეა
 და, რატომღაც, დამიარა ჟრუანტელმა...
 ყორანს ვხედავ... —

სად ვიშოვი ყორნისსაკენკს!..

წინიდან კი ქალი მორბის ბორნისაკენ.
 მეც ბორნისკენ გავიხედე ზურგსუკანდა
 იქ მებორნე ბორანს, თითქოს, ყურსუბანდა...
 იქ უცნაურ ბატებს ვხედავ, ბორნისბოლოს,
 ისეთებს, რომ გააოცებს ორნიტოლოგს...
 ჰო, ბატები!.. თან, თითქოსდა, იხვებია,
 და მდინარეს საქეიფოდ მიყვებიან...
 მალლა ქორი დაფეთებულ ჩხართვებსმოსდევს,
 ძირს — გლესს ვხედავ


ნამონოლილს მხართეძოზე,

კაკლის ჩრდილში, უსაყვარლეს ოჯახთანდა
 საიდანღაც ავტობუსი მოჯაყჯაყდა
 ისე ნელა, თითქოს უნდა რამისჭერა...
 მე არ მინდა და არც მძლოლმა გამიჩერა,
 მიხვდა მძლოლი, რომ აქ კარგად ვიყავიდა
 სხვაგან ვერვინ წამიყვანდა ჯიკავითაც...
 მიხვდა მძლოლი, რომ მერჩივნა სიარული
 და ბუნებით გულის შეძვრა იარული...
 ნახა მძლოლმა, რომ იქაურს არვგავდიდა
 ფრთოსან სულად მსურდა გასვლა ლაბადიდან...
 მიხვდა მძლოლი, რომ არ მქონდა ჩუმისული
 და რომ ვიყავ არსანიდან ჩამოსული...
 მერე ჩემ თავს წინ ხბოსავით გავდენიმი,
 მერე, წუთი რომ გაივლის რამდენიმი,
 გამოვდე ძეძვებსა და ოჩანჯაგებს...
 და მეორე ავტობუსიც მოჯაყჯაყებს...

ციკლიდან „უბალოპელი საბალოპლები“

ბავშვობის ნაცნობი ნიავის გახსენება

ერთი ნიავი გავიცანი პატარობისას,
 ფანჯარასთან რომ ვინექ აკვანში:
 მტირალს თამაში დამინყო და
 რძე და შიმშილი სულ დამავინყა...
 მას მერე ხშირად მესტუმრებოდა.
 ერთხელ ხელშიც კი ამიყვანა,
 როცა დედა ჩალას ჭრიდა
 და არავინ ჰყავდა დამხმარე...
 ხოლო მე, იქვე,
 შეუკონავ ჩალაზე მოჩოჩიალე,
 დროგამოშვებით ნავიტირებდი,
 რომ არ ეცალა დედას ჩემთვის...
 ჰო, ხელში მაშინ ამიყვანა და
 მიხუტებდა და მეფერებოდა,
 თან ეშინოდა,
 რომ ქარში არ გადაზრდილიყო
 და, თავისდა უნებურად,
 დედისგან შორს არ გავეტაცე...
 და რახანია ის ნიავი არ შემხვდრია.
 აწი რომც შემხვდეს, მე ველარ მიცნობს,
 მაგრამ მე ვიცნობ მას უსათუოდ,
 თუ დღემდე ქარში არ გადაზრდილა...



სტუდენტობაში ოთახი კომოციის, მაგრამ მის მოწესრიგებას საშველი ვერაფრით დაეყენე: ვერ ვიყიდე აბაზანისა და ტუალეტისათვის საჭირო ინვენტარი და ამიტომ, იძულებული ვიყავი, ისევ რუსთაველაში ჩემს დასთან და სიძესთან დაგრწენილიყავი ხოლმე, იქიდან მევლო ლექციებზე და სტუდენტობაში მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისას მივსულიყავი მაშინ, როცა გვიან ღამით თბილისიდან რუსთაველაში წასვლას ვეღარ ვახერხებდი.

სხვაგვარად, ძალიან გავურბოდი იქ ყოფნას, რადგან, როგორც გითხარით, პატარა ქალაქში, მართალია, უღედმაოდ, მაგრამ საყოველთაო სიყვარულით გარემოცულ და ისე გაზრდილ ბიჭს, სტუდენტობის გარემო აუტანლად პირქუში და დამთრგუნველი მეჩვენებოდა. ახლა რომ ვფიქრობ, ეს უსასტიკესი სამყარო იყო, რომელიც ჩემი გასტუდენტობიდან რამდენიმე წელიწადში სულაც აუტანელ კომპარად იქცა.

წელიწადნახევარი, სანამ ქვეყანაში ვითარება საბოლოოდ აირეოდა, კიდევ არა გვიმავდა: ლექციებზე დავდიოდი, მეცადინეობას კარგად ვახერხებდი და პარალელურად, მართალია, უხელფასოდ, მაგრამ კარგი ჰონორარით საბავშვო გაზეთ „ნერგის“ რედაქციაში მიმიღო შტატგარეშე კორექტორულად ჩემმა „დედობილმა“ მარინა თეთუმანიძემ.

ერთ ოთახში ვისხედით მე და ჩემი მეგობარი რუსუდან გაბროშვილი, რომელიც ღვიძლი დებისაგან არ გამომრჩევა, რადგან იმხელა ამაგი აქვს ჩემზე, რისი გაკეთებაც ზოგჯერ დასაც კი არ შეუძლია თავისი ძმისათვის.

რაც მთავარია, ჩვენი სამუშაო ოთახი იქცა პოეზიის, ლიტერატურისა და ბავშვური ოცნებების ნამდვილ საფანდ და სულ არ მრცხვენია ამ კონტექსტში ასეთი ამაღლებული ეპითეტის მოშველიებისა, რადგან ის დრო და იმ დროში ის სიტუაცია იყო სწორედ ასეთი, სამწუხაროდ, უკვე ტრაგიკულად გაუგებარი და გაუცხოებული დღევანდელი პრაგმატიზმისათვის.

ამ პატარა ოთახს უამრავი მიმსვლელ-მომსვლელი ჰყავდა. ჯერ ერთი, რედაქცია სრული დატვირთვით მუშაობდა, კვირაში გაზეთის ორი ნომერი გამოდიოდა და, შესაბამისად, დიდი მუშაობა იყო საჭირო და მეორეც, სარედაქციო ცხოვრების გარდა, ჩვენთან თავს იყრიდნენ ორივე ჩვენგანის მეგობრები, მაშინ ახალგაზრდა მწერლები და პოეტები, რომლებსაც მუდმივი ორომტრიანი შემოჭქონდათ ჩვენს ისედაც მჩქეფარე ცხოვრებაში.

გარდა იქ მომსვლელებისა, რუსიკოს ახლო მეგობრობა აკავშირებდა მაშინ უკვე აღიარებულ მწერლებთან და ცდილობდა, ჩემთვისაც გაეცნო ისინი. სარედაქციო დაავალებზე მიმავალი მეც თან გამიყოლებდა ხოლმე და ასე აღმოვჩნდი ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსი, საყვარელი და პატივსაცემი კოლეგების გარემოცვაშიც.

რედაქცია რუსთაველისა და ბელინსკის (იმ დროისათვის უკვე ჭოგელიძის) ქუჩების კვეთაზე იყო, მაშინდელი ცეკას გამომცემლობის ორ ფლიგელში, რომელიც თავის დროზე იქ მომუშავე გაზეთების რედაქციათა დანაზოგით აშენდა და თითქმის ყველა ჟურნალი თუ გაზეთიც სწორედ ამ ვებერთელა შენობაში იყო თავმოყრილი. „ნერგის“ რედაქციას მარჯვენა ფლიგელში ეჭირა მეორე სართულის ათამდე ოთახი. ამავე დერეფანს იყოფდა მასთან სომხური გაზეთის რედაქცია „ვრასტანი“, ჩემი და რუსუდანის ოთახი კი სწორედ დერეფნის ბოლოში იყო, „ნერგის“ რედაქციის სამდივნოს გვერდით.

არ ვიცი, რომელს მოგვაფიქრდა პირველად, მაგრამ ერთ დღესაც გადავწყვიტეთ, ყოველდღე ახალ-ახალი ლექსი დაგვეწერა ფურცელზე და ჭიკარტით მიგვემარგებინა კედელზე, ორივეს ჩვენი ჩვენი მაგიდების მხარეს, ის ლექსები, რომლებიც იმ დღეს ყველაზე მეტად მოგვენონებოდა და მოგვინდებოდა ჩვენს ოთახში შემომსვლელთათვისაც გაგვეზიარებინა. ახლა რომ ვფიქრობ, ეს ორი კედელი იყო სამყაროში პირველი „ფისიბუქი“. მითუმეტეს, რომ იდეა მალე ჩვენი ოთახის სტუმრებმაც აიტაცეს და თითქმის ყველა მომსვლელი ჩვენს „ნამოღვანარს“ თავისას უმატებდა, მაშინ რა ვიცოდი, რომ ამას ელემენტარულად „დათავა“ ერქვა.

მოგვიანებით, როცა ეს ოთახი დავცალეთ, ყველაზე დიდი რუდუნებით სწორედ

კედელზე გამოფენილი ეს მასალები ჩამოვხსენი და შევინახე.

ჩემს კედელზე ყველაზე ბევრი ლექსი იმხანად გამოცემული ხალხური ლექსების კრებულიდან იყო, რომელსაც „ნეტაი, გოგო მე და შენ“ ერქვა და ქართულ ხალხურ სატრფიალო ლექსებს აერთიანებდა. როგორც ჩანს, მაშინ ყველაზე მეტად ეს ლექსები ეხმაურებოდნენ ჩემს შინაგან განწყობებს, რაც სრულებით ბუნებრივი იყო 18 წლის ყმანვილისათვის, რომელიც სამყაროს ნდობითა და სიყვარულით ანთებული თვალებით შესცქეროდა.

ახლა ცოტა გაუგებარი მეჩვენება, მაგრამ მაშინ სერიოზულად ვიყავი გატაცებული ქართული სიმბოლოზმით და განსაკუთრებით მიყვარდა პაოლო იაშვილი და ტიცინი ტაბიძე.

ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი ბრძანდებოდა ტიცინი ტაბიძის ქალიშვილი, ქალბატონი ტანიტი (ნიტა) და ერთხელაც


განმავლობაში გამოუდგებოდა ენოდა: ერთს რომ ჩააქრობდა, უმალ მეორეს უკიდებდა ხოლმე.

რაკილა ასეთი არა, მაგრამ იმ დროისათვის მეც უკვე კარგი მწვეფელი ვიყავი, ნამოსვლისას, ადგა და დაუნანებლად გამომატანა ერთი ბლოკი „მტკვარი“. იმხანად ეს ძალიან დიდი საჩუქარი იყო ღარიბი სტუდენტისთვის და არც იმ მტკვრის გემო დამავიწყდება არასოდეს.

ახლა რომ ვფიქრობ, სტუდენტობის პირველ-ორ წელიწადს განსაკუთრებით ბევრს დავდიოდი საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ეს, ძირითადად, სწორედ „ნერგის“ რედაქციისა და უშუალოდ რუსუდან გაბროშვილის დამახსურება იყო. რუსიკოს რედაქციასთან ახლოს, გოგებაშვილის ქუჩაზე, ჰქონდა დაქირავებული პატარა ოთახი და ის ეზო, იმის გამო, რომ სულ სტუდენტებს ჰქონდათ ნაქირავები, ახალგაზრდების ერთგვარი საკრებულოც იყო: რუ-

ფეროსი რუსიკო იყო და განსაკუთრებით ამაზე გვეცინებოდა ჩვენ, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისებს, რომლებზეც დიდად უფროსი არც ჩვენი რუსუდანი ბრძანდებოდა, მაგრამ იმ ასაკში ერთი-ორი წელიწადის სხვაობაც კი ადამიანს დიდ რამედ ეჩვენება. რუსიკო კი ამ ციტატის გამო ნამდვილად ხელში შევიკალი, რადგან როგორც კი „გურამ რჩეულიშვილის დაჯგუფების წევრები“ ერთად მოგვხვდებოდა, მაშინვე მისკენ მივბრუნდებოდი და ხმამაღლა პათეტიკურად ვინწყებდი ხოლმე გალაკტიონის ლექსის წაკითხვას: „ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა ჭალარა გულის ზმანება ავი“. და ამაზე მთელ ჯგუფს ისტერიული ხარხარი უტყდებოდა.

ახლა რომ ვფიქრობ, დიდი სისულელე იყო, მაგრამ მეგობრობა ზოგჯერ ამასაც ნიშნავს: როცა ადამიანთან ერთად გულიანად გეცინება და ხშირად სრულ სისულელეზეც კი, უფრო სწორად, ისეთ რამეზე,



ინტერვიუს ჩასაწერად მასთან სტუმრობა გადავწყვიტე.

ნიტა ტაბიძე ძალზე თბილად და შინაურულად დამიხვდა. უამრავი რამ მიაჩნო მამამისზე და მისი დროის სხვა პოეტებზე, მამის მეგობრებზე. მახსოვს, კარგა ხანს ამაფორიაქა ტიცინი ტაბიძისა და სხვა ქართველი პოეტების ტრაგიკულმა ბედისწერამ, დიდხანს ვერ მოვახერხე თავი დამეღწია ნიტა ტაბიძის მონათხრობისათვის, რომელიც ყველაფერს ისე ცოცხლად და შთამბეჭდავად მიყვებოდა, თითქოს, თვითონ ამ ამბების უშუალო შემსწრე ყოფილიყო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე რამდენიმე ეპიზოდმა მოახდინა და, მათ შორის, თამუნია წერეთლის ამბავმა. თამუნია წერეთელი, რომელიც ერთხანს ტიცინი ტაბიძის მუზად ქცეულიყო, იმ პერიოდში თურმე კომუნისტებისაგან სვედამწარებელი, ქონებაგაყიდული და რეპრესიებს ფიზიკურად ძლივს გადაარჩენილი, რუსთაველზე „ლალიძის წყლებს“ მოლარედ მუშაობდა. ტიცინი ალფრთოვანებული ყოფილა მისი სილამაზით და ერთხელ თავისი მეუღლისათვის, ნინო მაყაშვილისათვის, საგანგებოდ გაუცნია თამუნია წერეთელი. თავდადური თავდაჭერილობით ცნობილ ნინო მაყაშვილს კი მეუღლისათვის გემოვნება მოუწონებია: ნამდვილად ლამაზი ქალი ამოვიჩვენებო.

დეიდა ნიტა ამას ისეთი ბავშვური სიხალასით, თვალებში ეშპაპურ ნაპერკლევაკიაფებული მიყვებოდა, რომ ამბავზე მეტად მისმა დამოკიდებულებამ, სილალემ და გულლიაობამ გამაკვირვა.

იმ დროს საქართველოში სიგარეტის დეფიციტი იყო. დეიდა ნიტასთვის ვილაცას ორი ბლოკი „მტკვარი“ მიერთმია. ინტერვიუზე მისული მასთან საკმაოდ დიდხანს შემოვრჩი და მახსოვს, მთელი იმ ხნის

სუდანის ეზოში (თუ როგორც მე ვეზუმრებოდი, „უშოს ბინაში“, რადგან სახლის პატრონს ბატონი უშანი ერქვა) ცხოვრობდა მეორე რუსუდანიც, რუსუდან მიქენაია, ჩვენი ზუგდიდელი მეგობარი. ცოტა ზემოთ, ალუნა დეიდას ეზოში, ცხოვრობდა ხრეთიდან ჩამოსული ჩვენი მეგობარი ელისო კაპანაძე, ქვემოთ, გოგებაშვილზე კი, თავის დასთან და სიძესთან ერთად, ჩვენი ფოთელი დობილი ირმა გუგუშვილი. მთელი ეს საოცარი ჯგუფი, ძირითადად, რუსიკოსთან იყრიდა ხოლმე თავს და ამით ემატებოდა ყველა მათგანის რამდენიმე მეგობარი, მაგალითად, ვარკეთილში მცხოვრები ლელა კოდალაშვილი თუ ქალაქის სხვადასხვა კედში მიმოფანტული ჟურნალისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები. „ნერგიდან“ ხშირად ავდიოდი ხოლმე რუსუდანთან და გვიანობამდე ვრჩებოდი, მერე კი ან სტუდენტობისაგან მივდიოდი, ბავშვში ანდა რუსთაველი ვბრუნდებოდი. აქ ვგეგმავდით ჩვენი მოგზაურობების სხვადასხვა მარშრუტსაც თბილისის შემოგარენში თუ ასე თუ ისე ახლო მხარეებში. ერთხელ, გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეს, ყვავილები ვიყიდეთ და ვაკის სასაფლაოზე, მის საფლავთან ერთობლივად მივედით. იქ რჩეულიშვილის მეგობრები დაგვიხვდნენ, რომლებმაც ჩვენი მისვლის მიზეზი რომ შეიტყვეს, ძალიან გაუხარდათ. მერე ამ მეგობართაგან ერთ-ერთმა გაზეთით დანერა ეს ამბავი და სხვათა შორის ასეთი რამეც თქვა: „გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლისუნარიანობას მოწმობს ისიც, რასაც ამასწინათ მის დაბადების დღეზე, მის საფლავზე შევესწართ: ცამეტი-თოთხმეტი წლის მოზარდები მოვიდნენ და ყვავილები მოიტანეს.“ ამ წერილში ჩვენი ასაკის ხაზგასმამ გავაგამხიარულა. ჩვენ შორის ყველაზე

რაც სხვას, უცხოს, შეიძლება სრულ სისულელედ მოეჩვენოს.

იმ დღეს რჩეულიშვილის საფლავის გარდა, კიდევ ერთი საფლავი „მოვილოცეთ“: ცოტა ზემოთ, სასაფლაოს სიღრმეში, დაკრძალული უმნიშვნელოვანესი პოეტის შოთა ჩანტლაძის სამარე.

შოთა ჩანტლაძის შემოქმედებას მაშინ მე მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობდი, აქა-იქ რამდენიმე ლექსი თუ მქონდა წაკითხული.

სამაგიეროდ, რუსუდანი, როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის მაძიებელი, დისერტაციას წერდა შოთა ჩანტლაძის შემოქმედებაზე და, ცხადია, ძირისძირობამდე იცოდა მისი ყველა ლექსი თუ ჩანაწერი.

ჩანტლაძის საფლავზე ვილაც მუახნის კაცი დაგვხვდა. საფლავს ასუფთავებდა და თავიდან დაქირავებული მომვლელი გვეგონა. ჩამოვსხედით და ჩვენ შორის ყველაზე კომუნიკაბელურმა რუსუდანმა საფლავის მომვლელს საუბარი გაუბა.

ჰკითხა: იცით, რა დიდი პოეტია ის, ვინც აქ მარხიარ?

კაცს აშკარად გაუკვირდა, მაგრამ თავიდან არაფერი შეიძინა და კარგა ხანს ალაპარაკა ჩვენი რუსუდანი შოთა ჩანტლაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მერე, რომელიღაც ცხოვრებისეულ დეტალზე, ვეღარ მოითმინა და, პრინციპში, ამით გასცა კიდევ საკუთარი თავი, როცა რუსიკოს უთხრა, ეგ ამბავი ამა და ამ წლის თებერვლის ბოლოს კი არა, იანვრის დასაწყისში მოხდაო.

გამოირკვა, რომ ეს კაცი საფლავის დაქირავებული მომვლელი კი არა, შოთა ჩანტლაძის ალალი ძმა იყო, რომელიც საფლავთან ერთად ამ გენიალური პოეტის ნაწერებსაც პატივობდა. რუსუდანის ცოდნით კი ისე მოიხიბლა, რომ დაჰპირდა

თავისი ძმის არქივზე მუშაობის ერთპიროვნულ უფლებას მისცემდა. საოცრად ჩუმი კაცი იყო, რალაცნაირად გაცრეცილი და ხალისდაკარგული და მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როცა ძმაზე დაიწყო ლაპარაკი.

მოგვიანებით, როცა შოთა ჩანტლაძის შემოქმედებას კარგად გავიცანი, საოცრად დამწყდა გული, რომ ასეთი ახალგაზრდა ნასულიყო სრულიად ბანალური მიზეზით: ბრმა ნაწლავის გასკდომისას განვითარებული პერიტონიტი.

ლიტერატურის მუზეუმში იზა ორჯონიკიძის მიერ მომზადებული შოთა ჩანტლაძის კრებული კი ჩემთვის ახალი და უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთი ნიმუშად აღიქვამდა, სადაც უკვე მომავალში განვითარებული პოეტური პროცესებისა და მართლმადიდებლის მთელი პერსპექტივა იკვეთება. არსებითად, ბევრი რამ სწორედ შოთა ჩანტლაძისთან დაიწყო, რამაც მერე შესაბამისი განვითარება ჰპოვა სხვა მის თანატოლ თუ მასზე ცოტათი უმცროს კოლეგებთან.

ამ ყველაფერს რუსუდან გაბროშვილი სწავლობდა მონოგრაფიულად, მისთვის ჩვეული სიღრმითა და გულისხმიერებით და ძალიან მწყდება გული, რომ მერე, 90-იანი წლების ანენილი ცხოვრების გამო, ამ თავისი შესანიშნავი კვლევის დასრულება ვეღარ მოახერხა, რადგან ცოტა ხანში ქვეყანაში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ მწერლების საფლავებზე სიარულის ხალისი დაგვეკარგა კი არა, ლამის ჩვენ თვითონაც მოსიარულე სამარეხად გადავიქცით.

მაგრამ მანამდე ის ერთი წელი თუ წელიწადნახევარი „გამოვიზოგეთ“. ახალგაზრდები ვიყავით და თავს უფლებას ვაძლევდით, თავში უცებ მოსული იდეებისათვის ხორცი უპრობლემოდ შეგვესხა. სადაც გვინდოდა, იქ წავსულიყავით და ავის მოლოდინი არ გვქონოდა. მაგალითად, ერთ საღამოს ვაფა-ფშაველას რომელიმე პოემის გადაკითხვა თუ მერე დღით ჩარგალში ასვლას მოგვანდომებდა, სისხამ დღითი ავტობუსში ჩავმტარავით და ჩარგლისკენ გავყვინათ.

სწორედ ასე წავედით ჩარგალში, სადაც რუსუდანს წინა წლების სარედაქციო მივლინებებიდან ერთი კარგი ტურბაზა გეგმავდა და ამ ტურბაზის იმედით ორდღიანი მოგზაურობა გავაწყვიტეთ.

წავედით მე, ზაზა ბიბილაშვილი, ელისო კაპანაძე, ირმა გუგუშვილი და რუსუდან გაბროშვილი.

თბილისიდან შესანიშნავად ვიმგზავრეთ, მაგრამ ადგილზე ჩასულეხს სავალალო სურათი დაგვხვდა: ტურბაზა უკვე გაუქმებინათ და მისი საკმაოდ ჩამოგზავებული და გაძარცვული შენობა უიმედოდ იყო ჩაკეტილი. რომელიღაც იქ მაცხოვრებელმა სამადლოდ მაინც გავგიღო შენობის კარი და გვითხრა: არ ვიცი, აქ თუ გაჩერდებით, აი, რალაც ცოცხალია ყრია, შეგიძლიათ, ქვეშ დაიფრთხოთ.

ღიბები იყო ნესტისაგან ერთიანად სველი და გაუბედურებული.

გამოვბრუნდით უკან დაძმარებულები: აღარ ვიცით, რა გავაკეთოთ, სოფლის შუაგულში ახალგაზრდა ბიჭებს ცეცხლი უნთიათ და მხიარულობენ. ცოტა ხანს ჩვენც იქ მივედით და ვცადეთ, მარაქში გავრეულიყავით. ვიცინით, ვმხიარულობთ, მაგრამ სინამდვილეში დანა კბილს არ გვიხსნის, რადგან დამით იმ უკაცრიელ ნატურბაზალში უნდა გამოვიხრათ. ფშავლებს თავი ღირსულად უჭირავთ: ცოტა შექიფიანებულნი კი არიან, მაგრამ არაფერს ჭინჭყლობს და მტრულად არ გვიყურებენ.

ირმა გუგუშვილს ფოტოაპარატი აქვს ნამოღებული და დრო და დრო სურათებსაც იღებს. უცებ ჩიტი გადაიფრენს და ელისო, უფრო დაძაბულობისაგან თუ უხერხულობისაგან, ხმაფაღმა შესძახებს:

— უი, ირმა! ჩიტი! აი, დააფიქსირე!

აბა, „დააფიქსირეო!“ — და მე და ზაზა ბიბილაშვილს ხომ მეტი არაფერი გვინდოდა?! ავიჩემეთ ეს „დააფიქსირე“, ხან ერთი ვიტყვით, ხან მეორე და სიცილით ერთმანეთს ვეხეთქებთ.

კაცმა რომ თქვას, რა ისეთი სასაცილო ეს „დააფიქსირეა!“

სრულიად ჩვეულებრივად შეიძლება და, აღქმულიყო სხვა ვითარებაში, თუნდაც დაწერილი ტექსტში, მაგრამ ვაფა-ფშაველას სახლ-მუზეუმის წინ, იმ მიუბეჭდვით, იმ სასონარმკვეთი ღამის წინამდებარე არაბუნებ-

რივად და კომიკურად გაიჟღერა, რომ ჩვენი დიდი მხიარულება გამოიწვია.

ახლა რომ ვფიქრობ, იმ ჩვენს სიცილს ალბათ ელისოს ბულინგი ერქვა, მაგრამ მეგობრები ვიყავით და სინამდვილეში ასე ერთმანეთს ვზრდიდით: მომავალ ჟურნალისტს ტექსტისა და კონტექსტის შეგრძნებას ვუღვიძებდით, რალაც იმაზე მნიშვნელოვანს ვასწავლიდით ერთმანეთს ამითი, ვიდრე ერთმანეთის ბავშვური და უფულო დაცინვა.

სწორედ ასეთი დეტალებისაგან შედგება მხატვრული ტექსტის აღქმაც და მე მომავალში ძალზე მადლობელი დავრჩენილვარ ყველა იმ ადამიანისა, ვისაც ჩემს ლექსებში ასეთი კონტექსტიდან ამოვარდნილი სიტყვებსა თუ ფრაზებზე მიუთითებია. მაგალითად: არასოდეს დამავიწყდება ამ ამბიდან კარგა ხნის მერე თენგიზ მირზაშვილის ერთი მშვენიერი შენიშვნა.

ერთ ჩემს ლექსში ერთგან მეწერა: „მე აქ ვარ, აქ ვარ, სხვენზე ვებმები, როგორც ობობას ბინძური ქსელი“.

დაბეჭდვამდე ეს ლექსი თენგიზ მირზაშვილს წავაკითხე და კიდევ კარგი, რომ ასე მიოქექია, რადგან იმ წუთას „ჩავლო“ და მიოხრა:

— კი, მაგრამ ობობას ქსელი ბინძური რატომ არის?! ეს ეპითეტი აქ სრულიად გაუმართლებელია!

თავიდან კი მემცხეთა შენიშვნა, მაგრამ რომ დავფიქრდი, სავსებით მართალს მეუბნებოდა და მოგვიანებით ეს სტრიქონი ასე ჩავასწორე: „მე აქ ვარ! აქ ვარ! სხვენზე ვებმები, როგორც ობობას მაცდური ქსელი“.

და არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნების „ზუსტმა“ ჩუბჩიკამ ეს ჩასწორება უკვე ძალიან შეიძო:

— ხედავ, სეი ცოტათი რომ დაფიქრდი, რა კარგ რამეს მოგაგინო!

მეორე ასეთი შენიშვნა ელა გოჩიაშვილმა მომცა და ვფიქრობ, ესეც ძალიან ზუსტი იყო. ლექსში „დიდების ზღაპარი“, ბოლოს, ფინალში, ხუთი წლის ბავშვი ეუბნება დედას: „როცა დიდი ბავშვები, ფეხბურთული გამოვალ და ყველაზე ლამაზ, საუცხოო კაბას გიყიდი“.

ასე იყო თავდაპირველ ტექსტში და ეს ფრაზა სიტყვასიტყვით მართლაც ასე უთხრა ჩემს ცოლს ჩემმა ხუთი წლის შვილმა. მაგრამ ელა რომ ეს ლექსი წაიკითხა, მიოხრა:

— იცი, რა? ვერავინ დაიფრებს, რომ ხუთი წლის ბავშვი დედას ასე ელაპარაკებოდეს. განსაკუთრებით „საუცხოო“ მომჭრა ყური და ეგებ, ეს მაინც შეცვალო. და მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში სწორედ ასე იყო ნათქვამი, მაინც დავუჯერე ელას დიდ გემოვნებას და პოეტურ ინტუციას და სტრიქონი შედარებით ნეიტრალური „ფოჩებიანი კაბით“ ჩავასწორე.

ალბათ, სწორადაც მოვიქეცი, რადგან არსებობს მხატვრული სიმართლე, რომელიც სინამდვილეს, თავისი ლოგიკით, ზოგჯერ ბევრად აღემატება.

ძირითადი თხრობის კალაპოტიდან კი ამოვვარდი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა ერთი რამეც. არასოდეს მეთაკილებოდა ასეთი კოლეგალური რჩევები და შენიშვნები, პირიქით, დიდი ინტერესით ვუგვებდი ყურს. უმრავლესობა გამითვალისწინებია კიდევაც და მადლიერიც დავრჩენილვარ შენიშვნის მომცემისა.

ეს ეხებოდა რედაქტორების შრომასაც, რომლებიც ჩემს ტექსტებს კითხულობდნენ. თითქმის ყველა რედაქტორი თავისი საქმის ჩინებული მცოდნე იყო და მათგან უამრავ რამეს ვსწავლობდი. ჩემს დაწერილსაც სხვაგვარად ვუყურებდი და სხვათა ნაწერების შეფასებასაც უფრო უკეთესად ვახერხებდი.

მაგალითად, იმავე „ნერგში“, მაშინ, როცა მე შტატგარეშე კორესპონდენტად მუშაობა დავიწყე, გვყავდა ერთი ძალიან გამოცდილი სტილისტი ქალბატონი ციცინო გამყრელიძე, ქართული წერისა და მეტყველების სტილის ნამდვილი ჯადოქარი, რომელთან ურთიერთობამაც ქართულ გრამატიკაში არანაკლები ცოდნა შემძინა, ვიდრე ჩემი უსაყვარლესი და სრულიად განსაკუთრებული მასწავლებლის, ლილა გეგუჩაძის მართლაც დაუფინყარმა, ბრწყინვალე ლექციებმა.

ლილა გეგუჩაძის ლექციებს ცოტა ხანში ცალკე გავიხსენებ. აქ კი აუცილებლად უნდა ვახსენო ანა ჭაბაშვილი, რომელმაც

ოდნავ მოგვიანებით, უკვე „იესო, ძე კაცი-სას“ ტექსტზე მუშაობისას, ფასდაუდებელი დახმარება გამიწია და კიდევ ერთხელ მაგრძობინა, რა ბედნიერებაა ნამდვილი რედაქტორი.

და კიდევ ერთი რამ: ცხოვრებაში ალბათ ერთადერთხელ დავრჩი განაწყენებულ შენიშვნებით და ეს საკმაოდ მოგვიანებით მოხდა, სადაც 2000-იანი წლების დასაწყისში, როცა გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ ჩემი ლექსები გამოქვეყნდა და, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ამ ლექსების გამო იზა ორჯონიკიძემ დამიბარა ლიტერატურის მუზეუმში. თუმცა წყენა დიდხანს არ გამყოლია, რადგან მალევე გავიგე იზას ხასიათი და მივხვდი, რომ კეთილი განზრახვის მეტი არაფერი ამოდრავებდა, მაგრამ ისე უცნაურად მომეჩვენა მაშინ მისი დაჟინება, რომ უნებურად მაინც გავცხარდი.

საქმე ის იყო, რომ ჩემი მეგობრისთვის უთქვამს, ვინ არის ეს ლობჯინიძე, როგორ მომეწონა მისი ლექსები, მოვიდეს ჩემთან აუცილებლად, მუზეუმში, ჩემი წიგნები მინდა, ვაჩუქო.

წავედი და გულუბრყვილოდ ვარ გახარებული იმითი, რომ ასეთმა დიდმა პოეტმა ჩემი ლექსები შეამჩნია და მომწონა. იზა არაჩვეულებრივად მომეგება. მაგიდაზე ჩემი ლექსებიანი გაზეთი ჰქონდა გადაშლილი, რომელიც წითელი კაღმით ერთიანად აეჭრებოდა. დამისვა წინ და ნუცას თოჯინებით დამიწვინა დარჩენილი: ისე მომწონს, გავგებოდა, მაგრამ, აი, ნახე ეს ლექსი ასე რომ დაგეწყო და ასე გაგეგრძელებინა: მიკითხავს, მიკითხავს და ვხვდები, რომ ყველა ჩემს ლექსზე თავისი, სრულიად ახალი ვარიანტი აქვს მიწერილი. მაშინ პირველად ვხედავდი და არც გამინახებულნი ვიყავი ისე, როგორც მერე მართლად დავახლოვდით, ამიტომ „ქალბატონოთი“ მივმართავდი.

შოდა, ვუთხრებო:

— კი, მაგრამ, ქალბატონო იზა, ეს ხომ უკვე თქვენი ლექსები გამოვა! მაგ ვარიანტი ჩემი აღარაფერია დარჩენილი.

ფიცავდა შემომიტყა:

— რა მოხდა მერე?! სამაგიეროდ, ასე უკეთესია!

ცოტა ხანში, ბრაზმა რომ გადამიარა, უკვე გულიანად მეცინებოდა მის ასეთ ნაიფურბაზე, მითუმეტეს, რომ გაზეთი გამოვარდით, თან ნამოვლედ და მისი ვარიანტები პროფესიულად გულდაგულ შევისწავლე: მართლაც ძალიან კარგი იყო, მაგრამ ეს მე არ ვიყავი! ეს იყო ის, როგორიც იზა ორჯონიკიძეს უფრო მეტად „გავუხარდებოდა“.

ამ ამბებს და მათ შორის იზასთან ჩემს ურთიერთობას ცოტა უფრო მოგვიანებით გავიხსენებ, ახლა კი ისევე ფშავში მიგაბრუნებთ, ჩარგალში, ჩიტს გამოდევნებულ რამდენიმე გოგონასა და ორ მოქილკე ბიჭთან, პატარა იმერელი გოგოს ნათქვამ „დააფიქსირეო“ მთელი ჰატიბუბურ რომ აქვთ ატიხილი. სინამდვილეში მათი მხიარულება რალაცით ისტერიკის უფრო ემსგავსება, რადგან ბინდდება და ასეთი ბინდი ამ შუაგულ ტყეში ჩაკარგულ სოფელში, ამ უცხო ხალხში, მიუსაფრობის შეგრძნებას ამძაფრებს.

მე ვფიქრობ:

— ახლა, ამ ბიჭებმა რომ ჩვენს გოგონებს რამე აკადრონ, ხომ ყველანი დაღუპულები ვართ?!

და ამ ფიქრისაგან თავის დასაღწევად ვიცინი ელისოს „დააფიქსირეო“, ვფიქრობ ტექსტზე და კონტექსტზე და მივიღვივარ დასაკვანამდე, რომ კონტექსტამდე ყველა სიტყვა ამაზრუნენად ნეიტრალურია და პრინციპში დაცლილია კიდევაც ნამდვილი შინაარსისაგან. კონტექსტი შუქია, რომელიც ტექსტს, როგორც ჩრდილს, ზუსტად ისე გამოჰკვეთს. თუ პირიქით.

მაგრამ ახლა რომ გავამეფლავო, რაზეც ვფიქრობ, ვგრევე ზედა მაქვს გიჟის იარლიყი: ვერავინ გამიგებს ისევე, როგორც ძალიან დიდი ხნის მერე ველარავის გავაგებინე, რას ვერჩოდი ბოლო ხანს ჩვენში მადლობის სანაცვლოდ ასე უამუროდ ფეხმოკიდებულ გამოთქმას: „გაიხარე!“

თქვენც შეამჩნევდით: ბოლო დროს მადლობის გადახდისას მართლა წაღმა-უკუღმა და სრულიად განურჩევლად ხმარობენ ფრაზას: „გაიხარე!“ არადა, ჩემი ბავშვობის ქართლში ამ ფრაზას მხოლოდ უფროსი თუ ეტყოდა უმ-

ცროსს, ვთქვით, პაპა შვილიშვილს, როცა ბავშვი წყაროდან ცივ წყალს მიუტეხინებდა. ხოლო, პირიქით, ბავშვისგან ამისი თქმა ხანში შესული ადამიანისათვის მომეტებულ სითამამედ და უღამაზო ქცევად ითვლებოდა. ყოფა თვითონ ხვეწდა და აწესრიგებდა ენის ნიუნსებს, რომელსაც ქართული ენის შველი დედის რქესთან ერთად ისრუტავდა, ბავშვობიდან სწავლობდა და იშინავდა.

ახლახან, როცა ამ „გაიხარეს“ გამო რამდენიმე ჩემს სტუდენტს ძალიან ტაქტიანი შენიშვნა მიეცემა და შევეცადე, ამეხსნა, რატომ არ შეიძლება ამ სიტყვის ასე ხელაღებით გამოყენება, მისი მეშვეობით თუნდაც ოფიციალური „გამდლობო“-ის ჩანაცვლება, მივხვდი, რომ ბავშვებს ახირებულ მოხუცად მოვეჩვენე, ზოგი მხოლოდ ბუნებითი ზრდილობის გამო დამეთანხმა, ხოლო ზოგმა, ცოტა უფრო შეუვალმა, მას შემდეგ უფრო დაბეჯითებით დამიწყო: „გაიხარე! გაიხარეს!“ ძახილი.

იძახონ, კაცო, თუკი მართლა ასე უხარიათ. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ერთი ასეთი არსებითად უწყინარი გამოთქმა, თუკი ჩვენი ენა ყოველწამიერად ისედაც წარმოუდგენლად ირყვება და მახინჯდება. ამ ერთ გამოთქმასაც როგორმე აიტანს, მაგრამ... მე იმის თქმა მინდოდა, რომ ახალგაზრდობაში, ჩვენ, თანატოლებიც კი, ერთმანეთს ვასწავლიდით და ერთმანეთისაგან ვსწავლობდით და ეს ამბავი სრულებითაც არ გვეთაკილებოდა.

კარგად რომ დავამადა, სოფლის ახალგაზრდობას ერთი ბიჭი გამოუყო და მე და ზაზას ძალიან დიდი მორიდებით შემოგვთავაზა: იმ ტურბაზაში ღამე როგორ უნდა გაათხოოთ, თუ არ დამძრახავთ, ჩემთან წამოვრძანდით, თან ვივახშმებთ და ღამითაც უფრო უკეთესად მოგასვენებთ.

საჭოჭმანო აღარაფერი გვექონდა, ბიჭს მადლობა გადავუხადეთ და გავყვევით. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სახელდახელო სუფრა და ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

რუსიკო, როგორც ჩვენში ყველაზე უფროსი, ემჩნევა, საერთო ვითარებით ყველაზე მეტად იყო დათრგუნვილი და ამიტომ, ცეცხლის პირას რომ მოხსნა გუდას პირი, ენა აღარ გაუჩერებია: გაიხსენა თავისი ძალი, რომელიც ბავშვობაში თურმე ძალიან უყვარდა. ვილაც დიდმა ბიჭებმა ნაიყვანეს და ანამესო, თან ისეთი ჭკვიანი ძალი იყო, მოთქვამდა.

მასპინძლები ყურს აშკარად ზრდილობის გამო უგდებდნენ, მე და ზაზა კი ერთმანეთს გადავხედავდით და უღვაშეში გვეცინებოდა.

მალე საიდანლაც გარმონიც გაჩნდა და იმ ვახშამმა სულ ღლინ-ღლინში ჩაიარა. ოღონდ ჯერ კიდევ მაშინ ეს ჩვენი მთის სიმღერები უკვე გვარიანად იყო შელახული. ვინმე ნუ წარმოიდგენს, რომ იმ გარმონს ლელა თათარაიძე აკვნესებდა. ჩვეულებრივი ფანტალი იყო. ტექსტიდან მხოლოდ ორი სიტყვა დამამახსოვრდა: „რატომ, ნატოო?“ რომელსაც განელილად შესძახებდა ხოლმე ჩვენი მეგარმონე ბიჭი და თითქოს უნდოდა, ამ შეკითხვისათვის სულიც თან ამოეყოლებია.

კიდევ კარგი, უფრო მეტად შევწუხდი, ვიდრე გავხალისდი, თორემ ასეთ ვითარებაში, უნებური სიცილი რომ ამივარდებოდა, მერე ველარაფერი მაჩერებდა ხოლმე. დრო და დრო ზაზას გადავხედავდი და ისიც აშკარად ასეთ დღეში იყო.

გარმონს ლექსი მოჰყვა, ლექსს კაფია და ეს გაცილებით მაღალმხატვრული და სახალისო აღმოჩნდა.

უკვე თენება იყო წამოსული, როცა ელისომ უცებ იქვე რალაც წიგნს წამოავლო ხელი და გამოაცხადა:

— მე უკვე მეძინება, მაგრამ თუ რამე არ ნავიკითხე, ისე ვერ ვიძინებ და მიოხარით, ჩემი საწოლი სად არისო.

წაიღო ერთი შვილივით ნაზარდი სანთელი და წავიდა.

მასპინძლებს გაეღიმათ. წამოვიშალეთ და ყველანი ჩვენ-ჩვენს ოთახებში მოგვასვენენ. გოგონები ერთ ოთახში დაანვიწეს, ჩვენ — მეორეში. ლოგინი უკვე გამოლილი იყო, სიბნელეში ტანთ გავიხსნა და დავწექი, მაგრამ უცებ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ლიბზე კი არა, სადაც, წებოვან ტალახში ჩავწინარცხე.

ცოტა ხანს გამყვა ეს უამური შეგრძნება, მაგრამ მერე მთელი დღის დაღლილობამ თავისი გაიტანა და მალევე მიმეძინა...



ციკლიდან „ARTკლავი“

ლექსი ყველაფრის გაიოლებაზე აქტუალური

არც — მაქვს ფრიში, არც ჰაინრიხ ბიოლია. რაც დრო მიდის, ყველაფერი იოლია: გაიოლდა განაჩენის გამოტანაც, თითქოს ქროდეს ყველა მხრიდან ტრამონტანა... — ჩვენთან სულ სხვა ჩრდილოეთის ქარიადა არც მას უჭირს ავქარობა დარიალთან... ეს სიკვდილიც რანაირად გამარტივდა! — ძნელი იყო ჟაკობთან და ლამარტინთან... დღეს თუ პოეტს აწყენინეს ვილაცებმა, ხვალ დარდით და ვაი-ვიმით იქანცება, ზეგ სტრიქონზე, აინონა-დაინონის თამაშისას, გულში რეფრენს გაინონის და მერე რომ დაწერს რამე მოიგავოს, თავის თავზე იტყვის, თავი მოიკლაო!.. მეც კი „ჰოპლეს“ ვყრი ფანჯრიდან ონლაინდა მეორე დღეს დავსეირნობ ფროლიანთან... და მიკითხავს მორალს ქალთან მწოლიბერი... — აი, ასე გაადვილდა ყოლიფერი. არ შეეძლოთ რაც პოეტს და ვიოინებს, მას ჩვენ რალაც გვიმჩატებს და გვიოლებს... გაიოლდა ლალატიც და დაბრალებაც, სირცხვილს შუბლზე არ იმჩნევენ ნაპრალებად. გაასმაგდნენ დივიდენზე გარჯილები, ყველაფერი გაიოლდა გაჭირვებით... — ბოლო არ ჩანს შიმშილისგან გაყიდულთა... ეჰ, რამდენი კაი კაცი გაბითურდა!

სიყვარული

სიყვარულს მგელივით მიპარული ამბავი დაყვება ლაითმითის... საიდან მოგვიდის სიყვარული, ან, ჩვენგან წასული, საითმიდის!

ქალსა და კაცს შორის ზღვებიჩნდება და ჰგვანან სამეფოს ორმეფიანს, სად ღმერთსაც არ უნდა შეიხვეება, რადგან იქ ძლიერი შტორმებია...

შტორმები, მეტწილად სარეცელის, სულში რომ ეძებენ სანათურებს, როდესაც ცის თაღზე მთვარეცელი ღრუბელთა ეკალბარდს ანადგურებს.

კაცსა და ქალს შორის რაებია ხდება და... სიყვარულს მიფარულან... ცოლი ქმრის შედევი ტაეპია, ქცეული აუნყავ სიყვარულად!

ნუ ვსწამებთ სიყვარულს სიხარულის, კოცნის და ალერსის ლაიტმოტივს!.. საიდან მოგვიდის სიყვარული, ან, ჩვენთან მავალი, საითმოდის!

... ცხოვრებას მირონად მიღვარულო, წასვლა და გაქრობა არგაბედო!

ო, ჩემო ყველაო სიყვარულო, შე მართლა სამყაროს აღფაბეტო!

ხსოვნები და ტკივილები

გულს მალე ერთ-ერთი ტკივილი გათელავს — არ მომწონს ჩემ გულთან მაგათი ქცევები... ხსოვნებიდან ხშირ-ხშირად მეძახის ნათელა. აქეთ — ეს! იქით — ის!.. ართროზი! წნევები!..

წნევებიც ცდილობენ — ზარალი მედამრჩეს და მალლა მიდიან ინსულტის ლიფტებად... თან ვერცერთ ხსოვნაში ვერ ვატყვე დედაჩემს: დედას რომ ვიხსენებ — ცრემლებიც მტკივდება.

პიანისტის ორკული

ვუძღვნი პიანისტებს

ერთ ფრინველს მეც ვგავარ, ბინადარს მალალიმთის და ისიც, თუ ჰკითხავთ, არ მგავსო, აღარიტყვის. ჯობია არ ჰკითხოთ — გადაჰყრით ხათაბალას... — არ მინდა მან ფრთებით სიშორე გადაბელოს... არა, ის ორბი ან არწივი როდიარის, თუმცა მის ბუდეზეც თოვლს ვხედავ მოტიარეს... თაღები ზეცისა — ყველგან აქვს ორბიტებად, ჩემთან კი ამაოდ არასდროს მოფრინდება — რალაცა სულ მოაქვს კუპრივით შავნისკარტით... მე მასთან გაფრენას უთუოდ გავრისკავდი და კავშირს გავწყვეტდი აქაურ კლავიშებთან, თუკი ის, წასვლისას, რალაცით მანიშნებდა... ის არის დესპანი სამყაროს შორიგონის და ფრთებით აულერებს მოცარტს და მორიკონეს... და მუდამ მზად არის ღვთის ჰანგის დასაკრავად, მეც მზად ვარ ამისთვის, აკი ვთქვი, რასავგავარ — ამაზე ძვირფასი სხვა მეტი რაევაკეთო, მიწაო — ტახტეთო, ზეცაო — ჰამაკეთო! და ვიდრე დრო ჩემთვის ყოფნის გზას მოყინავდეს, ერთ ფრინველს მეც ვგავარ, მალალ მთის მობინადრეს.

უღაბნო

სტრიქონის ნემსით ცხოვრებას კვართად ვკერავდი, მაგრამ სამოსის მაგიერ დამრჩა უღაბნო და ვერ გავიდა ორმოცი წელი ვერაფრით, რომ წავიდე და დროს ჩემი თავი ვუთარგმნო...

აქ კი ნამდვილი უღაბნო დამხვდა ყოველგან, ჭირმიც არავინ არ გახდა ჩემი ლობისტი... ვისაც ძალიან თოვლივით თეთრად მოვეპყარ, ყველამ უღაბნო მომიძღვნა მარტოობისთვის...

ვთქვი: „მარტოობას თუ გზა და ფორმა მიეცი, თავს უსათუოდ დააღწე მალალ აჩრდილებს“, მაგრამ მე სული გამეფსო ისეთ მღვრიეცით, რომ სიყვარულშიც უღაბნო აღმოვაჩინე...

ცხადი სიზმრად და ამაოება

დამესიზმრა, არაფერი დამესიზმრა: ორნივე ერთი ქედისაკენ მივდიოდით, ხოლო უკან, დაქანცულებს ტრავერსისგან, მოგვეყვებოდა ყოფნა, როგორც იდიოტი.

წინიდან კი მოფრინავდა, მერანისებრ, ქარიშხალი, არსაიდან დანაბერი და ამქვეყნად არარსებულ მწვერვალისკენ მივდიოდით ერთად მე და არაფერი...

ასაკი და სიყვარული

...მინც მინდა შეგიყვარდე როგორმედა აღარ გყავდე გრძნობისაგან განდევნილი და ჩემ წლებსაც, მოასაკე გოგობთან, იხუტებდე შემოდგომის ვარდებივით...

თორემ მანამ, ვიდრე შენ არ შემეყვარებ, სიმართლისაც აღარ მინდა დაჯერება... ამდენი ხნის ცარიელი ჩემიმხარი გელის, როგორც სიყვარულის გაჩერება.

არაპოეტ პოეტობა

არაპოეტო პოეტობო, რატომ მოგიწინადა პოეტობა! — თქვენ თუ ქვეყანას მოედებით, ვილაცას ხელი მოეთობა... — თქვენ თუ ქვეყანას მოედებით, იმეფებს მიეთმოეთობა... არაპოეტო პოეტობო, რაში გარგიათ პოეტობა!

სინივი და სიყვარული

როცა გიგონებ, მეჩხრად შეფუთვნილს, ჩემ მზერას ღამეც ველარ დაბინდავს... შენ ხომ ქალების იმ ჯგუფს ეკუთვნი, ხშირად რომ უნდა გასვლა კაბიდან!.. უკვე დამაფრთხეს სუსხის ქიშქმა... უკვე ჩემ სახლში სცივათ ლოგინებს... რომ მოხვიდოდე — გაგაშიშვლებდა მთელ ჩემს ობლობას გაგათბობინებ!

მისაკუთარი

მე რომ მქონდეს საკუთარი საგიჟეთი, შენ იქიდან არასოდეს გაგიშვებდი, რაც არ უნდა მომწერო და შემოთვალო, ჩემთვისაც კი საშინელო ჩემოთავო!

ვინც ტაეპებს დაატარებს კლავიშთან, ვისაც ედემ-ჯოჯოხეთიც თავისიაქვს, ვისაც ერგო მარტოობის საბუდარი, მას საგიჟეც უნდა ჰქონდეს საკუთარი!

დედა სიზმარში

ასეთ წნებს ვერვინ გადიტანდა, გულიდან სისხლის გამოშვებით... ხშირად გამოვრბი ცხადიდანდა სიზმარში შენს წინ აღმოვჩნდები.

ვარ დაგვალული ფესვისებრი... ძლივს დავატარებ ჭალარასულს. დედა, შენ როცა მესიზმრები, ცხადში წამოსვლა აღარამსურს...

გისმენ ისევე ხმასევიდანს. მიცქერ ისევე უარყოფილს. რა ვქნათ! — ცხოვრება ასეთია, მოძმე-მოკეთე თუარგვეფონის...

ვერ ვძლიე ყოფნა ვერაგული. ვერ შეეძელ დღეთა გასანგრება. ახალი სახლი ვერავაგე, ძველი მზადაა დასანგრევად.

სიზმარში სულ ხომ ვერდავრჩები! — აქაც არ ვგავარ ნაპატივებს... რატომ ტირიხარ, დედაჩემო! — სიზმარში მინც რაგატარებს!

ქართულ ემიგრანტებს

მაფიქრებთ: როგორ ხართ, სადახართ. დრო ყველგან ჰგავს ზღაპრის გუდასო!.. როგორ სძლებთ სამშობლოს გადაღმა უცოლშვილ-უქმარშვილ-უდაძმოდ!

უცებ რომ დასჭირდეთ სამშობლოს ძალის და იმედის მდინარედ და მტერმა უთქვენოდ გვაჯობოს — ამას ხომ ყოველთვის ინანებთ!

სამშობლოც ჰყვავილობს კვირტებით, რომ ვერვინ აქციოს პაიკად... სამშობლოს ხან მცველად სჭირდებით, ხან კიდევ: გულში რომ ჩაიკრათ...

ხან უნდა გადექეთ მარაოდ, რომ შესვას ჰაერი ამოდლის... სამშობლო სამოთხე არაა, მაგრამ ის ასლია სამოთხის...

თქვენ კი ხართ სამშობლოს გადაღმა, რადგან მას მშვიდი დაურჩით... — აქ თქვენთვის ყანები გადახმა შავ დღეთა საშინელ ხმაურში...

და სხვანაირად სარჩოსთვის წახვედით, იქ აღარ გშიათ და გწყურიათ. იქ გშიათ ქართლი და კახეთი! იქ გშიათ რაჭა და გურია!

სულ გინდათ ბავშვობის ღელესთან ისმენდეთ მშობლიურ ხმამოტივს... სამშობლოც სულ გიქნევთ ხელებსდა როგორმე წამოდით! წამოდით!

ჯობს ერთად ვწუხდეთ და ველავდეთ,
ველოდეთ დროს მაღალჭერიანს...
და ერთად ვებრძოდეთ ყველაფერს,
რაც ჩვენი სამშობლოს მტერია!

რად უნდა გეძახდნენ მიგრანტებს,
ნაცემებს გარეშე ქარისგან!
ჯობს გულში სამშობლო გიკრავდეთ,
ობოლსაც, ქურდსაც და ღარიბსაც!..

ნასულხარტ ათასი წელია —
ასეა ლოდინის გამოთვლით...
სამშობლოს თვალები გელიან:
ჩამოდით! ჩამოდით! ჩამოდით!

არსაიდან არსაიმიკნე

მოვდიოდი!.. არსაიდან მოვდიოდი,
დაღალული გვაღვითაც და ნოტიოთიც,
არ ვიცოდი სად და როდის რამელოდა
ჯოჯოხეთად, სამოთხედ თუ კამელოტად.
არ ვიცოდი ვინ ვიყავი, რავიყავი,
სად გავმთელდი და სად ასად გავიყავი.
მოვდიოდი და მომქონდა არაფრობა,
რაც გზადგზა სულის ფანჯრებს დარაბობდა
და პოეზიის, ტვენების და იბსენების
გარდა, ქვეყნად ველარაგის ვიხსენებდი.
წლები მედო, როგორც ბურჯებს ხავსებიდა
მკედარი ვიყავ ნახევრად და სავსებითაც,
თითქოს მინოსს დავემწყვდიე მინოტავრში —
დარდსაც უნდა უმალღესი პილოტაჟი!..
და მე ვდარდობ დედამინის სადარდებელს,
ვიდრე ვირუსს შურისგება გადამდებდეს
და მიმქონდა სიყვარული მკედარსაიტად,
არსაითკენ მივდიოდი არსაიდან
და ვტიროდი, გულსაკლავად ვლუქუნებდი,
რადგან ყველგან მომელოდა უკუნეთი...
მეც არაფერს მოველოდი მომავლიდან
და ქვეითად — უსუნრაფეს დრომავლითა,
მივდიოდი, არსაითკენ მივდიოდი.
ბრძენი ვიყავ და ვეგონეთ იდიოტი.
მივდიოდი ვარსკვლავებით გადათქემილ
მთა-ველებზე იანვარშიც, მკათათვეშიც
და ეს სული ვიდრე ლტოლვის ზღვარსდაიდგენს,
მანამ ვივლი არსაიდან არსაითკენ...

ციკლიდან „ლქსამგზები“

არვის უნდა მეგობარი პოეტოვდეს

ვერაფრით რომ დავიძინე — ავდექიდა...
მთვარეს ვხედავ თეთრი ღრუბლის ბაფთებიდან.
სამკუთხედი ღრუბელი კი, ტოლფერდითა,
ფანჯარაში მოჩანს, როგორც მოლბერტიდან...
სხვა ღრუბელი მოთხვრილიყო ყასაბივით...
უცებ რალაც მომინდება წასაკითხი,
მაგრამ სოფლის გულმა ისე მიმიზიდა,
რომ გაზეთიც არ ჩამომყვავ თბილისიდან...
წამოვყევი შეღამების მატარებელს.
არ მელოდნენ... — არავესთან არდავრეკე...
რომ ჩამოველ, სოფელს ძილი ებურადა
მხოლოდ ტურა „მღერდა“ ჭიჭე ტეხურადან...
დამხვდა ჩემი კარ-მიდამო უძაღლოდა...
დამხვდა სახლი, დედას სულ რომ უძახოდა,
მისგან ბოლოს რომ წავიდა, იმისშემდეგ
და მე ამ სახლს მზედ ხომ უნდა მივიჩნევდე!
ჩამოვედი... და კარი რომ გავაღედა
შიგ შემოველ — დედის სითბო დამახვედრა.
გაუხდელად მივწეე ტახტზე დაქანცული.
მთელი ჩემი სიყმანვილის საგანძური
ამ სახლშია და ბრწყინავენ მზისსხივებად.
სხვენიდანაც სიყმანვილე იმზირება.
მკერდს კი მიდევს შმაგი გული მექარაფის
და ეს გული ვერ დავაცხრე ვედარაფრით
და ამიტომ... ვერ ვიძინებ ამიტომდა
ხსოვნის თოვლი ხვავრიელად გამითოვდა
და ხსოვნისვე უჩვენებენ ეკრანები
ჩავლილ ედემს და მე აღარ ვებრალებით...
ბარდნის ხსოვნა ჭერიდან და კედლებიდან
და მე ხსოვნის სკივრ-კიდობანს ვედრებოდა...
თან ვედრები მეომარსაც მკერდადუცველს
და გავდივარ კარში, რადგან ვერგავუძელ...
უკვე ღამის ორი იყო მობილურით
და მთვარესთან სჯა მომინდა ძმობილური,
მაგრამ მთვარეს რა ახარებს! ვინახარებს!
და მე ნაველ ჩემი ეზოს წინამხარეს.
ჭიშკრის მარცხნივ ლედვის ხეა, ვარდისბუჩქთან,
ბავშვობაში აქ მიყვარდა დარდისფურჩენა...
მთვარის შუქზე ვნახავ-მეთქი მნიფელელებს.
მთვარეს უნდა ყელს საკოცნად მიღერებდეს.
თეთრ ლუბლებში მთვარე რაშს ჰგავს ფაფარაყრის.
უცებ მარჯვნივ შემომესმა ლაპარაკი.
ვხედავ გზაზე მთვრალი მოდის, მოქანაობს
ისე, თითქოს ფეხს არც ადგამს ზოგანაო...
ეს სოფელი მისიცი იყო საუფლოდა
თავის თავთან გემრიელად საუბრობდა.

ხმით ვიცანი მეგობარი სიყმანვილის —
ჯოტო იყო, სიფხიზლემი სიტყვაძვირი.
ის რომ იყო, ეს ვიცოდი დაზუსტებით,
ამიტომაც ლედვის ხისქვეშ ჩავცუცქედები,
ავეფარე ქვის ღობეს და დაველოდე
და თავიც კი ძირს დავხარე სამელოტე —
ასე უნდა დავემალო მთვრალმეგობარს,
ძალა მასთან სასაუბროდ არმეყოფა...
სიმთვრალეში ვიცი მისი გიჟობები,
სიმთვრალეში მისი ქცევით ვიშოკები:
დათვრება და მერე რასაც ლაპარაკობს,
არის მხოლოდ აბაღუბდის საბარაქო...
ახლაც ამბობს, რაც ბევრჯერ მაქვს მოსმენილი.
ჩემ ჭიშკართან რომ მოვიდა, სპორტსმენივით
შემობრუნდა ოთხმოცდაათ გრადუსითა
ჭიშკრისკენ და მორთო თათხვა ბათუსიდა
(ანუ ჩემი) სასწაულად ბაიასფერ
მთვარის თვალწინ მაგინებდა აიასე:
„ხოლო ბათუს უთხარით, რომ ნულარმტოლობს!
სახლს მოხედოს, მოუვლელს და უპატრონოს!
ვინ მიგდია! მიატოვა ზანათიდა
ისე დადის, თითქოს ღმერთმა განადიდა.
და მე მასთან რანაირად არვიდავო,
რომ არ უყვარს მშობლიური კარმიდამო!
ის კი ამბობს, როცა იცლის საეზიბოდ,
პოეტი ვარ, ჩემი ფასი არიციოთ!
ერთად ვმღერდით „ტიმრაირატამრაირას“
და პოეტი როგორ გახდა, რანაირად?!
ერთი გვექონდა ნატურის ხე და ნატურისველი
და ერთ მერხზეც ვხტუნაობდით ათინელი,
ვერასოდეს ვერა ხსნიდა ამოცანას
და წიგნები რანაირად გამოსცამან?!
მე რომ მსციინებს და არასდროს ვეზოვები,
მის ლექსებზეც იცინიან მეზობლები.
ურჩევნია თბილისიდან მოეთრიოს
და ნუ ამბობს, პოეტი ვარ, პოეტიო!“ —
აი, ასე, ბოლმით, გულის მკანარავითა,
მაგინებდა და ჭკუასაც მასწავლიდა
მეგობარი ბავშვობის და სიყმანვილის,
სიფხიზლემი უთქმელი და სიტყვაძვირი.
მაგინებდა და არ სვამდა არსადნერტილს:
ცუდი სიტყვა არ გამოჩნა აღარცერთი,
აღარცერთი წინდებულები, თანდებულები,
კიდევ კარგი, სახლში შუქი ანთებული
რომ არ დამჩნა, თორემ მისგან ვერაფერსვერ
გავიგებდი ჩემი სულის კელაპტრებზე
და საკუთრივ ჩემზე, რასაც არაფრითარ
მოველოდი დარდლარობ და შარაფმდიდარ,
ჩემს ალალ და გერეგნობით დასენისდარ
მეზობლისგან, მეგობრისგან, კლასელისგან...
და მე წყენით დავემგვანე ნაღვლისსაკენკს...
ის ბანცალით გზას გაუყვა სახლისაკენ.

...
არვის უნდა მეგობარი პოეტობდეს,
პოეზია რაც არ უნდა მოელტვოდეს
მას...

ციკლიდან „ჰვალოზი“

სიცოცხლე

სიცოცხლე ვისაც აფრად აქვს ყველგან გაშლილი,
ის სულ კეთილი და წრფელი არის ბავშვივით
და სულ სიმართლის სურვილი უჩანს ხმაშიცკი...
ქედს რაც არ უნდა ვუხრიდე ჭირებს, ხიფათებს —
სიცოცხლე მიყვარს, ან როგორ აღარ მიყვარდეს,
რაც სიყვარულთან მამყოფებს მუდმივ კავშირში
და, ზოგჯერ, სულში ზამთარსაც გამითიბათვებს!..

სიცოცხლეს, როგორც რამე ტვირთს, მიძიმეს, ტონიანს,
დავათრევე, მაგრამ მას მაინც ღალი ფონიაქვს,
რადგან ის ყველა თამაშში ჩემი კონია...
სიცოცხლე მიძიმებს, სიკვდილს კი უჩანს ბენვივით —
ნეკზედაც აღარ ეტყევა მისი წრენიო...
მე, თუმც სულ მინდა სიცოცხლე, მაინც მგონია,
რომ, ზოგჯერ, მისგან შორსა ვარ გადახვენილი...

წინათბრძნობასაპიტი

იმ ენერგიას, ჰაერის ყელი რომ გასცემს
გრივალ-ქარ-სიოდ და ძლიერ ყელსა თუ ნაზნელს
ერთგვარად ხვდება, მას, ალბათ, ბუნება ასწელს
ვერ დაიბრუნებს, ხოლო ჩვენ მადლებს
გაღებულს
როდის მოვიმკით, თუ მათი ვენახ-ბაღების
არ ვიცით ფასი და ვიდრე ვიფიქრებთ ფასზე,
მანამ სულეთის საშობი ჩავისახებით...

არა და არა! არა და არა და არა! —
დრო იმდენს ველარ გვაამებს, რამდენიც გვზარა
და ცაც, ჩვენს ყანებს რაც უნდა დაესხას ცვარად,
ერთხელ ლოდების ტყვიებსაც გვესვრის თოფისებრ:
ისევ დასცინებს ჩვენს ქვითრებს, ბეჭდებს, ოფისებს,
ცოლადაც ისევ გაჰყვება აბრაამს სარა
და ჩვენ ყველაფრის დანყება ისევ მოგვინევს...

**ციკლიდან „შბალოპალი საბალოპლაპი“
შემოსასვლელის კარი**

ყველა ბინაში დაჩაგრულია
შემოსასვლელის კარი
ის არაფერში არ ერევა
არაფერში მონაწილეობს
მან არ იცის რა ხდება ოჯახში
მას არაფერს ეკითხებიან
არადა ის რომ არ ეკიდოს სადაც ჰკიდია
შინიდან ვერვინ გავიდოდა
და შინაც ვერვინ შემოვიდოდა
მას კი არავინ არ აფასებს
ზოგჯერ ზედაც არ უყურებენ
ისე გადიან და შემოდიან
ოცდაათი წელიწადია
მე ამ ბინაში ვხატავ ოცნებებს
ფიქრებს ტკივილებს მოგონებებს
და გამოვფენ ამ კედლებზე
მარტოობის აურაცხელ
ბრმა თვალისათვის
ოცდაათი წელიწადია
ათი ათასჯერ გაველ კარში
მე ამ კარიდან
და იმდენჯერვე შემოვედი
და დღეს მივედი იმ აზრამდე რომ
კარის გაღება-დახურვის გარდუვალობას
არ შეიძლება
ამდენი ხნის განმავლობაში
არ ამოსვლოდა უხილავი
ეკლები ჩემი ანტიპათიის
მე იმ ეკლების მეშინია
როგორც წვეტიან დაშენებისა
და სულ მინდებს გავლა ფანჯრიდან
მზარავს ყოველდღე კარიდან გამოსვლა
გთხოვთ ერთხელ ფანჯრიდან გამოვალ
ჰაერში გაჩრილი ქარი დამესიზმროს
როგორც მდულარით დაჭრილი სამოვარი
მაგრამ როდესაც ამომიტანენ
სულგაფრთხობილს და დაშლილ-დარღვეულს
ყველაზე მეტად იტირებს ჩემზე
შემოსასვლელის კარი

მგზავრობანი თვითიხოვაციისას

სასტუმრო ოთახიდან სამზარეულომდე
71 ნომერი ავტობუსით ვმგზავრობ
საძინებელ ოთახამდე — 37-თ
აბაზანამდე — 101-თ
ლოჯიამდე — 3 სამაშრუტოთი
აივნამდე — 34 სამაშრუტოთი
და უკანაც იმავე ნომრებით ვბრუნდები
და ასეთ მგზავრობაში ვარ
მთელი დღის განმავლობაში
მგზავრობის გადასახდელიც არ მაქვს
მხოლოდ კედლიდან
მეუღლის სურათი შემომჩივის
ფანჯრები გააღე თორემ
მანქანების გამონაბოლქვით
გაივსო ოთახები და
არ გაიგულოო

ციკლიდან „არქივის სიურპრიზები“

ქარი და კაპუტი

ქარს სურს ხმაური უღლად დაგვადგას,
სიჩუმეს გასწევს, როგორც მაგადანს...
და გვაგებინებს ნაზავდიალექტს...
ქარს ძლიერ უყვარს ქალის კაბადა
ხარხარებს, როცა მასაფრიალებს...

ქარს ძლიერ უყვარს, სავსე მთვარიდან
ფართო კაბით რომ მოდის მარიტა,
მოაქვს მკლავები აფრიანები...
კაბებსაც ძლიერ უყვარს ქარიდა
სიამტკბილობენ აფრიალებით...

არცოდნა

პოლიტიკური

ველარ გვეშველა მაგარბიჭობით
და გავიძახით, გვიშველოს რამო!
წყალში ჩავარდნით აღარვიხრჩობით,
არამედ — ცურვის არცოდნის გამო.

და როცა ბედი ცათაბარგია,
და როცა ჭირი ლხინობას ლამობს,
და როცა ხმაურს ხმადაკარგვია —
შენ რანაირად ხმაურობ, ჩქამო?!

ხმაღს მშვიდობისთვის ფარიჯობია,
უფაროდ უნდა სირცხვილი ვჭამოთ...
წყალში ჩავარდნით არიხრჩობიან,
არამედ — ცურვის არცოდნის გამო.

გაგრძელება
დასაწყისი N266

ეს ზარი რომ არა, დილაადრიანად უკვე წვერგაპარსული, სულაც არ აპირებდა წვერის კიდევ ერთხელ გაპარსვას და საერთოდ იმ დილისათვის გაცილებით უფრო მოკრძალებული გეგმები ჰქონდა, ვიდრე წვერის მეორედ გაპარსვა და პრინცესა ელიზაბეთის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, მაგრამ იმ სატელეფონო ზარის შემდეგ, მეორედ გაიპარსა, სასწრაფოდ ისაუზმა და ნიერის ადმინისტრაციის შენობისაკენ გაემართა, რომ საგზაო საშვი აეღო, რის გარეშეც სამეფო ვიზიტის პერიოდში შეუძლებელი იყო გადაადგილება არა მარტო თიხამინიან სამაჩქანო გზაზე, არამედ ექვსასიარდიან ბილიკზეც, სამაჩქანო გზის ბოლოდან ტრიტოპისაკენ რომ მიემართებოდა და რომელსაც შეუყვება კიდევ კორბეტი მას შემდეგ, რაც თავისი „სიტროენიდან“ პატარა ჩანთას და თბილ ქურთუკს გადმოიღებს, სპეციალურად რომ წამოეღო ნიერიდან, სადაც მთელ კენიაში საუკეთესო მინდორი იყო პოლოს ანუ ცხენბურთის სათამაშოდ, ხოლო ედინბურგის ჰერცოგი რის ედინბურგის ჰერცოგი იქნებოდა, ასეთი მინდორი ენახა და პოლო არ ეთამაშა და მიიღო კიდევ მონაწილეობა ნიერისა და ნაიუკის კლუბებს შორის 4 თებერვალს გამართულ ორ ამხანაგურ მატჩში, რომელთაც პრინცესა და კორბეტი შორიახლოდან ადევნებდნენ თვალს, პირველი როგორც უშუალო მაყურებელი თუ გულშემატკივარი და მეორე, როგორც ფხიზელი მეთვალყურე, ვინაც სათამაშო მოედნის მისადგომებთან სამეფო წყვილის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რაც სულაც არ იყო ადვილი საქმე, რადგან მაუ-მაუს სახელით ცნობილი ოთხწლიანი ამბოხი კენის თეთრკანიანი უმცირესობის წინააღმდეგ შაკკანინებს უკვე აეგორებინათ და თუმცა კოლონიურ ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობა ჯერ არ გამოეცხადებინა, უსართხოების ზომები გამკაცრებული იყო, მით უმეტეს ასეთი სტუმრების დაცვისას, რისი ტვირთიც ერთნაირად კორბეტსაც დაეკისრა, როგორც გამოცდილ და მამაც შიკარს, და მანაც თავის დასთან, მეგისტან ერთად იმ თავისი „სიტროენით“ ღრმა ხეებზე გადავლულ ხილს მიაშურა, რომელიც სათამაშო მოედანთან იწყებოდა და დაბურულ ტყეში შედიოდა, საიდანაც თავზეხელაღებული ვინმე ბოროტგანმზრახველისთვის სულაც არ იყო ძნელი ცოცვით პოლოს მოედანზე შეღწევა, მით უმეტეს, რომ იმდღევანდელ ღირსშესანიშნავ მოვლენას უამრავი ხალხი მოექუჩებინა, რაც კორბეტისაგან განსაკუთრებით სიფხიზლეს მოითხოვდა და ისიც შედარებით მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ხევის გასწვრივ ქვიშაში ვერავითარი საეჭვო კვალი ვერ აღმოაჩინა, თუმცა კი რამდენიმე საათი იმ ხილზე გაატარა და ამის გამო ცალი თვალის ვერ შეავლო ცხენბურთის მოთამაშე ჰერცოგს თუ მის გულშემატკივარ პრინცესას, რომლის დავალებით მეორე დილით დაურეკავენ და სამეფო წყვილის ბოდიგარდობას სთხოვენ ტრიტოპსში, რომელიც მაშინ სულაც არ იყო ასეთი, როგორც ჩვენ, მე, სოსოს და ჩვენს ნინოებს დავგვხვდა 2019 წლის ნოემბერში, რადგან 1954 წლის ერთ არცთუ მშვენიერ დღეს ის ტრიტოპსი მაუ-მაუს მეტროლოებს მთლიანად გადაუწვავთ და იმდღევანდელ ხანძარს ერთადერთი იქაური შინაკაცი, ნაპაშონ მერეთი გადაურჩა ცოცხალი, როგორც ჩანს, არცთუ შემთხვევით, რადგან იგი მერე აჯანყებულთა რიგებში აღმოჩნდა და თუმცა მათთანაც, ისევე როგორც ალბათ ტრიტოპსში, მზარეული იყო, ათასი განსაცდელი გამოუვლია და ერთ ხანს ციხეშიც მჯდარა, ასომიტიტიდ და პრესის ჟურნალისტებმა კი იგი 2017 წელს, დედოფლის საფირონის იუბილზე გამოჩნრიკეს, როგორც ელიზაბეთის ვიზიტის მომსწრე და ისიც, 89 წლისა, აღფრთოვანებული უამბობდა მათ, თუ როგორ მოიხიბლა თავის ბროზე პრინცესით, რომელსაც ძალზე უბრალოდ ეცვა და რომელსაც ასე ძალიან უყვარდა ცხოველები, ხოლო მაუ-მაუზე არაფერი უთქვამს, რადგან ან არ უკითხავთ, ან უკითხავთ კიდევ და უთქვამს კიდევ, მაგრამ არ გამოუქვეყნებიათ, რადგან კენის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების და ბრიტანულ თანამეგობრობაში განწვერიანების შემდეგ ის ამბები უკვე



პაატა ნაცვლიშვილი
ვეფხვისტყაოსანი
ფრაგმენტი პირველი:
კენის კენწეროები

არაქტუალური გამხდარიყო, ხოლო ელიზაბეთის ვიზიტი ტრიტოპსში კვლავაც აქტუალური და საინტერესო იყო, იმის მიუხედავად, მას მერე 65 წელი იყო გასული და იმ ძველი ტრიტოპსის ადგილასაც მისი გადანივდან სამი წლის შემდეგ ძველის ერთგვარ რეპლიკად ახალი, უფრო დიდი და კომფორტული სასტუმრო აეშენებინათ შორიახლოს მდგარ ნაბლის უზარმაზარ ხეზე და თუმცა მას მერე ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს ის ტრიტოპსი არ არის, რომელიც ნორმან ჯერმენის ფოტოებზე თუ ძველ ღია ბარათებზეა აღბეჭდილი და რომელიც ერთი ჯადოსნური ღამით დარჩენილი პრინცესა დედოფლად გადაიქცა, დღემდე მაინც უსასველო პოპულარობით სარგებლობს, როგორც კენის ერთ-ერთი ისტორიული ღირსშესანიშნაობა, ხოლო ჩვენთვის, კორბეტსუდის წვერთათვის და კორბეტის ფანთათვის ხომ ორმაგად ძვირფასი და საინტერესოა, ან როგორ შეიძლება არ იყოს საინტერესო, როცა საკუთარი თვალთ ხედავ კი არა, თავად დგახარ იმ ბილიკზე, რომელიც 1952 წლის 5 თებერვალს კორბეტმა ამოიარა მხარზე გადაკიდებული თავისი თოფით, ხელში პატარა ჩანთითა და თბილი ქურთუკით და რომლითაც მუგუმოს ანუ ფიკუსკარიკას ანუ ველური ლეღვის ხეზე მიდგმულ მოქანავებ კიბეს აუყვანა ხის კენწეროზე მონყობილი ხის ქონისა და მისი ვერანდისკენ, საიდანაც ოვალური წყალსატევი ხელისგულზე დადებულივით ჩანდა იმ თავისი მლაშობით, ხშირად რომ სტუმრობდნენ ცხოველები და საიდანაც დედოფლის კორბეტის მომლოდინე კორბეტი თვალს ადევნებდა ქათქათა თეთრ წეროს, რომელიც, რომელიმე ბრიყვ ბაყაყს ჩასაფრებული, ტბის შორეულ ნაპირზე გაქვავებულიყო, ხოლო ზუსტად მის წინ მურტალათა წყვილს ოთხი ჭუჭული გამოეყვანა ტბორზე სასეირნოდ და ისე ჩანდა, რომ ეს სეირნობა პანანა იხვიკოების პირველი გამოსვლა იყო ხიფათით აღსავსე სამყაროში, რომელსაც უკვე შეჩვეოდა მლაშობში კარგა ღრმად ჩაფლული მარტორქა, ხარბად რომ ლოკავდა ტალახს და როცა მარილის მორიგი პორციის შემდეგ კმაყოფილი აიქნევდა თავს, კიდევ უფრო ხარბად ისუნთქავდა ტყის ჰაერს, რომელიც იმ დღეს განსაკუთრებით სუფთა იყო და სულ ოდ-

ნა იძვროდა და ოდნავ არხევდა ტბორის გარშემო შემოჯარულ მალაზ ბალახს, რომლის ფონზეც უსაშველოდ წითლად ყვაოდა ნაბლი, ხოლო იქვე მონაგარდე შავ-თეთრი კოლობები შორიდან პეპლებს ჰგავდნენ, როგორც კორბეტი წერს თავის წიგნში, და თუმცა პეპლებს ნაკლებად მივამსგავსეთ, იმ მაიმუნების შვილიშვილები ჩვენც კარგად დავინახეთ წყალსატევის გადაღმა, როცა კორბეტით ხის ვერანდაზე მდგარი ხარბად ვისუნთქავდით რაღაც უცხო, ეგზოტიკური სუნით გაჟღერებულ ჰაერს და აქეთ, ჩვენს ქვემოთ ორი სპილოს დარბაისლურ ბოლთაობას ვადევნებდით თვალს, ხოლო იქით, ტბორის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, მზერით მოვაცილებდით რამდენიმე ათეულ კამეჩს, რომლებიც არანაკლები სიღარბისილით მოჰყვებოდნენ წყალსატევის კიდე, მლაშობისკენ მოიზლანებოდნენ და მძიმე-მძიმედ უახლოვდებოდნენ 35 ფუტის სიმაღლეზე ხეს დაშენებულ ხისავე უნიკალურ ნაგებობას, რომლის წინამორბედი ზუსტად ამის პირდაპირ 1932 წელს აუგია ბრიტანეთის არმიის გადამდგარ მაიორს ერიკ შერბრუკ უოლკერს ცალკერძო როგორც მაჩანი ანუ მონადირეთა საფარი და ცალკერძო როგორც ერთგვარი სამხერი პავილიონი თავისი ცოლის, ლედი ბეტისთვის და მისი სტუმრებისთვის, რომელთაც დღისა თუ ღამის მანძილზე აქედან ნადირ-ფრინველისთვის მათ ჩვეულ გარემოში არაერთხელ უდევნებიათ თვალი, მერე კი მისი იშვიათი, მაგრამ ჭკუასაკითხავი სტუმრები ისე მოხიბლულან აქაურობით, რომ ერიკ უოლკერს ეს სამონადირეო საფარი სულაც სასტუმროდ უქცევია ველური ბუნების მოყვარულთათვის, რათა მათ, ერთი მხრივ, რაც შეიძლება ახლოდან ედევნებინათ თვალი ნადირ-ფრინველთა ბუნებრივი ყოფისათვის და, მეორე მხრივ, ყოველმხრივ დაცულად ეგრძნობთ თავი 300-წლოვანი ფიკუსის ტოტებში გამოკიდებულ ამ უჩვეულო სადგომში, რომელიც გარშემო მდგარ ყველა ხეს იყო აცილებული სიმაღლით, რისი წყალბობითაც მის ქვემოთ მყოფ ცხოველებს ადამიანის სუნი არ მისდობდათ და ისინიც სრულიად ბუნებრივად იქცეოდნენ არა მარტო მოშორებით, არამედ საკუთრივ ტრიტოპსთანაც, ხოლო ერთადერთი, რასაც მათი

დაფრთხობა შეეძლო და რაზეც ისინი დღესაც რეაგირებენ, ადამიანთა ხმა და ამიტომ ახლა გალერეები შეშინებული, ადრე კი ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა და ამ სიჩუმის დაცვა თავიდან არც ისეთი ძნელი ყოფილა, რადგან მაშინ იქ ცოტა ხალხი იყრიდა თავს, რაკი სასტუმროს თავდაპირველად ორადორი ოთახი, საკმაოდ მოუხერხებელი ერთი მეტ-ნაკლებად სველი წერტილი და ერთი სამხერი აივანი ჰქონია, ხოლო მერე, სამეფო წყვილის ვიზიტის წინ, ორი ოთახი კიდევ დაუმატებიათ, სიმყარისთვის ყველა მხარეს ჭოკები შეუდგამთ, სველი წერტილი კეთილმოუწყვიათ და პატარა აივანიც შედარებით ფართო ვერანდად გადაუკეთებიათ, დღეს კი, ამ ახალ ტრიტოპსში, რომელიც პანდუსებით დაკავშირებულ ოთხ დონეზეა გადაჯგომული, სველი წერტილებით აღჭურვილი კომფორტული ოთახების რაოდენობა 35-ს აღწევს, ვეება სასააღილოს თითქმის მთელი სართული უკავია, წყალსატევი პროექტორებით არის გაჩირაღებული, რომ მსურველებს ღამითაც შეეძლოთ ცხოველებზე დაკვირვება თუ მათი გადაღება, და გარდა ამისა, თუ ის პირველი მხოლოდ ოთხშაბათობით დებულობდა სტუმრებს, იმდენად მცირე იყო მათი რაოდენობა, ეს მუდმივად გადატენილია კვირის დღეებისა თუ სეზონის მიუხედავად, და დიდი ბრიტანეთის სამეფო წყვილის გარდა სხვადასხვა დროს აქ ისეთი (გამო)ჩინებული ადამიანებიც ყოფილან, როგორებიც არიან ლორდი ბადენ-პოუელი, ჩარლი ჩაპლინი, ჯოან კროუფორდი, ჯოზეფ ჯორდანი, პაატა ნაცვლიშვილი, ბითლზის ცნობილი მენეჯერი მალ ევანსი და თავად პოლ მაკარტინი, რომელმაც 1966 წელს სწორედ ტრიტოპსში შთაგონებულმა და აქედან ლონდონისკენ მიმავალმა ჩამოაყალიბა კონცეფცია ყველა დროის საუკეთესო როკ-ალბომისათვის „სერჟანტ პეპერის მარტოხელა გულების კლუბის ორკესტრი“, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ბითლზის იმიჯი, ხოლო იმ ალბომის სიმღერები დღემდე უჩვეულო პოპულარობით სარგებლობს და მე ისიც კარგად მახსოვს, საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა ბაკურიანის სიმპოზიუმზე 1974 თუ 1975 წელს როგორ გადადიოდა „მზიური ველის“ ერთი ნომრიდან მეორეში გიტარით და ამ სიმღერებში მაშინ სრულიად ახალგაზრდა სოსო ჟორდანი, რომელიც, ჩემდა გასაკვირად, ჯერ კიდევ არ არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და რომელთან ერთადაც ახლა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ეგზოტიკური სასტუმროს ვზას მივყვებით და ეს სასტუმრო, უკვე ვთქვი, ყველა სეზონზე გადავსებულია ტურისტებით, ყოველ შემთხვევაში, ასე იქნება კორნავირუსულ პანდემიამდე, და თან ისეთი ფასი ადევს, დიიდი დედაქალაქების ფეშენებელურ სასტუმროებსაც რომ თავისუფლად გასწვრივ, მაგრამ აქ მოსული ამას არად დაგიდევს, რაკი ტრიტოპსში თავს ცალკე ბუნებისა და ცალკე ისტორიის ნაწილად გრძნობს, მით უმეტეს, თუ გაუმართლა და მე-18 ოთახის გასაღები მისცეს, რომელშიც 1983 წელს ღამე გაუთეგია დედოფალ ელიზაბეთ მეორეს კენიაში თავისი მეორე ვიზიტის დროს და რომელიც დედოფლის ფოტოებით არის მორთული, და ვიცოდი რა ამ ოთახის არსებობა, „აუტსპან“ იდანვე დავინყე ზრუნვა მის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ იქიდან ტრიტოპსისაკენ გადამაფუტბოლეს, ოთახებს ადგილზევე ანაწილზე ჩვენს იქაური მენეჯერი, ჩვენ ეს არ გვეხებაო და მე ეს, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და არც დავიჯერე, რადგან მართლა საკმაოდ იშვიათია, რომ სასტუმრო და მისი ადმინისტრაცია მთელი 17 კლომეტრით იყოს დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ მერე გავარკვიე, რომ ეს „აუტსპან“ იც, რომელიც დღეს ნიერის საუკეთესო სასტუმროდ ითვლება თავისი ედემის ბაღით და ულამაზესი ხედით კენიაზე – აფრიკის მეორე უმაღლეს მწვერვალზე, თავის დროზე იმავე ერიკ უოლკერს აუშენებდა და მასვე უქცევია იგი თეთრკანიან მონადირეთა უსაყვარლეს ჯერ თავმესაფრად და მერე სასტუმროდ მსოფლიოს სკაუტური მოძრაობის დამაარსებელსა და თავკაცთან ლორდ ბადენ-პაუელთან ერთად, რომელსაც „აუტსპან“ ი 1928 წელს შეუქმნია უოლკერისგან და სწორედ ამის შემ-

დედ იყო, რომ უოლკერმა ტრიტოპსი ააშენა, როგორც „აუტსპან“ის შემადგენელი ნაწილი თუ ერთგვარი ფილიალი და „აუტსპან“ში დაბინავებული მონადირეები ნადირობასა და ნადირობას შორის აუცილებლად პოულობდნენ დროს, რომ ტრიტოპსში ასულიყვნენ და იქაური სანახაობით დამტკბარიყვნენ, და 25 ნოემბერს ჩვენი გზაც ტრიტოპსისაკენ სწორედ „აუტსპან“ში რეგისტრაციით დაინიშნა და ორიოდე კილომეტრის შემდეგ, აბერდორის ეროვნული პარკის უღრან ტყეში შესვლისთანავე ერთი ახალი სასტუმროც შემოგვხვდა, სადაც რჩებიან ხოლმე ველური ტურისტები, რომელთაც ტრიტოპსის დაჯავშნაზე დროულად არ უზრუნიათ ან ვერ მოუხერხებიათ და რომელიც ერთ ექსცენტრულ ბრიტანელს ეკუთვნის, რომლის გვარი თავის დროზე არც მკითხავს და არც ჩამინერია და თუმცა ახლა კი შემძლია, რომ ინტერნეტის მეშვეობით გავიგო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მის გვარს, როცა ამ ჩემს ტექსტში მხოლოდ იმ უცნაურობების გამო მოხვდა, რომ თავისი სასტუმროს ფანჯრებზე საგანგებოდ არ ჩამოუკიდია ფარდები და მათ ნაცვლად სტუმრებს წარწერას ახვედრებს, ნუ შიშობთ, მაიმუნების გარდა შიშველს ვერაფერს დაგინახავთ, ხოლო ბავშვებისთვის თანხას იმის მიხედვით ითხოვს, თუ რამდენად მოუსვენრები არიან ისინი და რამდენად მომაბეზრებლად ანუხებენ სასტუმროს პატრონსა ან სხვა სტუმრებს და, რაც ყველაზე მთავარია, ამ მართლა ექსცენტრულ სასტუმროში საუზმე და საწოლი 150 დოლარი ღირს, საუზმე, საწოლი და აბაზანა კი - 120 და თუ ვინმე გაიკვირებს, რატომო, სასტუმროს პატრონი აუხსნის, რომ ველური ტურისტები აქ უმეტესად ფეხით მოდიან, აქაურ წითელ მტვერსა და ტალახში ამოგანგულეები და მას ურჩევია, თბილი წყალი მათ გაბანვაზე დახარჯოს, ვიდრე თეთრეულის უშედეგო რეცხვაზე და ამიტომ ჩვეულებრივ უფრო ძვირ პაკეტს აქ იგი უფრო იაფად სთავაზობს კლიენტებს, თუმცა მისი ფასები, გინდ იაფი და გინდ ძვირი, ახლოსაც ვერ მოდის ტრიტოპსის ფასებთან, რომელიც ჩვენ მთელი ორი თვით ადრე დაჯავშნეთ და ნიერის „გრინ ჰილს“ისგან განსხვავებით, იმ დღეს მისვლისთანავე დაგვაბინავენ, მაგრამ ოთახების შერჩევა კი, აკი უკვე ვთქვი, ვერ მოვახერხებთ, რადგან სულ ნახევარი საათით ადრე ასულმა ქალბატონმა დაგვახსნო და დაითრია მე-18 ოთახის გასაღები, რისთვისაც სულ ათიოდე დოლარის დამატება დასჭირდა და ამის გამო ისე მომეფურტკნა ნერვები, რომ ლამის მთელი საამოვნება ჩამშხამდა, მაგრამ მაღლობა ღმერთს, როგორც კი 29-ე ოთახში ბარგი შევიტანე, მოვახერხე და როგორღაც მოვთოკე ნერვები, მერე სულაც გავიგე ჩემი სხეულიდან, დროებით გადავსახლდი წარსულში და წარმოვიდგინე, რომ 2019 წლის 25 ნოემბერი კი არა, 1952 წლის 5 თებერვალი იდგა და მე თითქოს ჯიმ კორბეტი ვიყავი და ვუყურებდი, როგორ გამოდიოდა უსიერი ტყიდან ვარდისფერ სპილოთა ჯოგი და როგორ უახლოვდებოდა წყალსატევს ფართო ფრონტით და არა მწკრივად, დანაკეობით, როგორც ინდურ სპილოთა ჯოგები გაიბანრებიან ხოლოდ თავიანთ სამშობლოში, სადაც ტყე უფრო უსიერია და აფრიკული სპილოებივით ასე გაშლის საშუალება მათ არ ეძლევათ, როგორც ახლა ესენი მოინებდნენ ტბორისაკენ, თუმცა აქაც თვალნათლივ ჩანდა გარკვეული წესრიგი და არც ჯიმ კორბეტსა და არც მე გაგვჭირვებია მათი დათვლა და აღმოჩნდა, რომ ჯოგი ორმოცდაშვიდი სპილოსაგან შედგებოდა, რომელთაგან სამი მამრი აშკარად თავსპილო იყო, რადგან რამდენიმე ნაბიჯით წინ მოდიოდნენ და ერთი ამოთავანი, უფრო დიდი, უფრო შთამბეჭდავი ეშვების პატრონიც და უფრო ასაკოვანიც, უთუოდ ჯოგის ბელადი უნდა ყოფილიყო, ხოლო ორი დანარჩენი, აქეთ-იქიდან რომ მოჰყვებოდნენ მას, მისი შვილები ან ძმები იყვნენ, ან იქნებ ერთი შვილი იყო და მეორე ძმა, და როცა ყველანი წყალსატევთან მივიდნენ და მოწყურებული ხორბულები წყალში ჩაჰყვეს, ჩვენ შემოვბრუნდით, ვერანდა დავტოვეთ და მე პირველად, ხოლო კორბეტმა ვინ იცის მერამდენედ თვალი მოვაველეთ იმ პირველი ტრიტოპსის საცხოვრებელ სივრცეს, რომელიც შედგებოდა შუშის ლუმელიანი სასადილო ოთახისგან, სამი საძინებლისგან, პატარა სათავისგან თეთრკანიანი მონადირისათვის, ანუ ამჯერად კორბეტისათვის და ხის ღია ვერანდისგან, სადაც მოხერხებული სავარძლები იყო ჩარჩობილი და საიდანაც იშლებოდა ორასოცგრაფიულიანი ხედი წყალსატევეზე, სპილოების ჯოგზე და ირგვლივ შემოჯარულ ტყეზე და ბუნების ეს სულისმომკვრელი მშვენიერება სადღაც შორს აბერდორის მთების კონტურით უერთდებოდა ზეცას, რომლის სილურჯეს და სიმშვიდეს ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ არღვევდა, მაგრამ სამაგიეროდ კორბეტს სულ უფრო და უფრო იპყრობდა მდელვარება და სადღაც ორის ნახევარსა და ორს შორის მისმა მდელვარებამ პიკს მიიღწია, რადგან ახლოვდებოდა საპასუხისმგებლო მომენტს, როცა სამეფო წყვილი და მისი თანმხლები პატარა ჯგუფი ტრიტოპსისკენ მომავალ ბილიკზე უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს ვეება სპილო, რომელსაც, როგორც ჩანს ყელში ამოუვიდა ორი ახალგაზრდა მამრის კინკლაობა ერთი მდებრის გამო, ღრიალით გადავიდა შეტევაზე, ახურუშებული მოარმიყები წინ გაიღებნა და სამეფო ერთად თვალს მიეფარა ტრიტოპსის მარცხენა მხარეს, სწორედ ბილიკის მიმართულებით და თუ სტუმრები უკვე გადმოსული იყვნენ მანქანებიდან, ჯობდა უსაფრთხო მხრიდან მოველოთ, რადგან მათთვის საკმაოდ სარისკო იყო ბილიკზე ამოსვლა ტრიტოპსის კიბემდე მისაღწევად, მაგრამ მალე კორბეტმა ვერანდიდან დაინახა ბილიკზე მომავალი კარაბინმომარჯვებული გამყილი და მის გვერდით ქალის ელევანტიური ფიგურა და როცა მათ

ბილიკის მოსახვევს მიიღწიეს, საიდანაც სპილოების დანახვა უნდა შეძლებოდათ, დაბნეულებივით შეჩერდნენ და რაკი ყოველი ნუთი ძვირფასი იყო, კორბეტმა თოფს დაავლო ხელი, სწრაფად ჩაირბინა კიბე მათ შესახვედრად, ბილიკს დაუყვია და ორიოდე ნუთში იმ ელევანტიურ ქალთან გაჩნდა, რომელიც, რა თქმა უნდა, პრინცესა ელიზაბეთი აღმოჩნდა, შორიდანვე ასე ძალიან რომ ჰგავდა საკუთარ ფოტოსურათებს და ახლოდან კიდევ უფრო დაემსგავსა „დეილი მიელ“ის ერთ ფოტოს, რომელიც იმ დილას საგანაშია გადაღებული და რომელზეც მას მოჩითული „საველე“ კაბა და საშუალოქუსლიანი თეთრი, ღია ფეხსაცმელი აცვია, ძვირფასი ყელსაბამი უკეთია და შიშველ, უთათმანო ხელში მოკლესახელურიანი თეთრი პატარა ჩანთა უჭირავს და, რაც მთავარია, თავი შიშველი აქვს, ისევე როგორც მის გვერდით მომავალ კენის მთავარ მოსამართლეს, სერ ჰორეის ჰერნს რომელსაც შლიაპა მარჯვენა ხელში უჭირავს, ხოლო კოსტუმი ორსავე დილზე აქვს შეკრული და ჰალსტუხიც ბოლომდე აქვს ნაჭერილი ყელში, როგორც ეს მისი უდიდებულესობის ერთგულ მოხელეს ეკადრება პრინცესის ამაღლაში ყოფნისას, მაგრამ ტრიტოპსში იგი იმ ღამეს არ დარჩენილა, ნიერიში მიბრუნდა, პრინცესა კი ღმილით შეეგება მის შესახვედრად ტრიტოპსიდან დაშვებულ კორბეტს და უშიშრად გაემართა სპილოებისაკენ, რომლებიც ამათი შემხედვარე თავადაც დაბნეულები გაშეშებულიყვნენ ბილიკის სიახლოვეს, კიბიდან ასიოდე იარდის დაშორებით და ეს მომენტი გაცილებით მძაფრად არის ასახული 2016 წელს გადაღებული სატელევიზიო სერიალში „გვირგვინი“, სადაც ედინბურგის ჰერცოგი ძლივს გადაურჩება გამძვინვარებულ სპილოს და მერე ტრიტოპსის კიდზე ასული კინემტოგრაფიული ვენებით კოცნის პრინცესას, სინამდვილეში კი, რასაც კორბეტი ქრონიკორის სიზუსტით აღწერს მოგვიანებით, ადამიანთა ასე ახლოს დანახვით გაოგნებული სპილოების თვალწინ პრინცესამ კორბეტს თავისი პატარა ხელჩანთა და სინეკამერა მიანოდა და თავად ციკაბო კიბეს აუყვია ედინბურგის ჰერცოგის, სამეფო დაცვის უფროსის, კომანდერ მაიკლ პარკერის, ლედი ბეტი ჰამელა მაუნტბატენის, შერბრუკ უოლკერის, ლედი ბეტი უოლკერისა და მათი ქალიშვილის ჰონორ უოლკერის თანხლებით, ხოლო დანარჩენები ედუარდ უინდლის თავკაცობით გატრიალდნენ და ბილიკს ქვემოთკენ დაუყვინნ, რადგან, ერთი მხრივ, ტრიტოპსში ადგილები მკაცრად შეზღუდული იყო, ხოლო მეორე მხრივ, სტუმრებს აქ ისეთი საიმედო მცველი ეგულეობდათ, როგორიც ჯიმ კორბეტი გახლდათ, ვინც გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე დაწერილ თავის „ტრიტოპსში“ სამეფო წყვილთან იმ პირველი შეხვედრის გახსენებისას, იტყვის, რომ თუმცა მას არაერთი მამაცური საქციელი უნახავს, მაინც ალფრთოვანებული დარჩა, თუ როგორ არ შეეპუა პრინცესა გაღიზიანებულ სპილოებს და იმის მიუხედავად, რომ მათი ღრიალი შორიდანვე ესმოდათ, არც მან და არც მისმა შემყურე მისმა ამაღლა უკან არ დაიხიეს და სწორედ ამ ხმებისკენ ნავიდნენ, ხოლო როცა სპილოები დაინახეს და კარგა გვარიანად გააოცეს ისინი, სხვა არაფერი დარჩენოდათ, რომ ათი სახიფათო იარდი კიდევ გაველოთ სირბილთან მიახლოებული აქარებული ნაბიჯით და მსხნელ კიბეს შეჰყოლოდნენ უკვე კორბეტის იმედად, რომელიც კიბეზე, რა თქმა უნდა, ყველაზე ბოლოს ავიდა და სანამ ავიდოდა, მანამდე ტრიტოპსის შინაკაცი პიტერ ნიაგა გაატარა, რომელსაც სამეფო წყვილის ბარგი აჰქონდა და რომელსაც ბევრი წლის შემდეგ, 84 წლისას, დედოფლის ზეობის 50-ე წლისთავზე მოძებნის ბიბისის ენდრიუ ჰარდინგი და ისიც, სხვა მხრივ ნაღდი კენიელი მეჯოგე, ოლონდ ზემოთა გულისჯიბეში კოხტად ჩადებული თეთრი აბრეშუმის ცხვირსახოცი, თავისი თხების არეგულსან ერთად მწვანე საძოვარზე დახვედრა რეპორტიორს და სიამაყით მოუყვება, როგორ აიტანა ტრიტოპსში ელიზაბეთის ბარგი, მერე როგორ მიართვა მას ჩაი და მეორე დილას, როგორ შემოეხვია კისერზე პრინცესა და როგორ აკოცა მას საერთო ფოტოს გადაღებისას, რაც მე ჩვეულებრივი ტრაკის თამაში მგონია, რადგან, ჯერ ერთი ამგვარი ტრაბახის იდეაც ტრაკის თამაშია და მეორეც, ტრიტოპსში არავითარი ფოტოგრაფი არ ყოფილა, თუ ასეთად თავად პრინცესას ან ფოტოკი-ნოსაქემში ნახევრადპროფესიონალ კორბეტს არ მივიჩნევთ და არც იქ გადაღებული საერთო ფოტოს კვალი ჩანს სადმე, ხოლო ბარგი კი მაშინ ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ასევე ტრაბახა პიტერ ნიაგამ ალბათ მართლა იტანა და ჩაიცალა ალბათ მართლა მიართვა პრინცესას და ისიც ჩაის ფინჯონით ხელში მაშინვე ვერანდაზე გავიდა და როგორც კი კორბეტმა მისი სინეკამერა მიანოდა, სპილოების ჯოგის გადაღებას შეუდგა და იღებდა და იღებდა და იღებდა და თან მეუღლეს უხმობდა, შეხედე, ფილიპ, როგორი ვარდისფრები არიანო და მართლაც, სპილოებს ვარდისფერი გადაჰკრავდათ იქაური ნითელი ქვიშის ნამცეცების გამო, ქარს რომ მოჰქონდა და კიდევ უფრო ვარდისფრები გახდებოდა ისინი საღამოხანს, ჩამავალი მზის შუქზე, და ასეთებივე იქნებიან 67 წლის შემდეგაც, როცა ტრიტოპსში ის-ის არის ამოსული ჩემი ნინო შეუდგება თავისი პანასონიკ-ლემიქსით წყალსატევთან დარბაისლურად მობოლოთავე ვარდისფერ სპილოთა გადაღებას, რომელთა სავარაუდო მშობლებს, მაშინ ჯერ კიდევ სპლიყვებს, 67 წლის წინ დრო ეხელთათ და სანამ დედამათი მარლის მარაგს ივსებდა, მის ეხებებს შორის ეცილებოდნენ ერთმანეთს ადგილს, რომ მოხერხებულად მისდგომოდნენ ჯიქნებს და ეწოვათ და ეწოვათ და ეწოვათ და ამასობაში პრინცესა ამ ყველაფერს იღებდა და იღებდა და იღებდა, ხოლო

გამრქელება იქნება



ბათსოვილი ლამაზი ქალი

ზოგჯერ იქ მოვალ, სადაც მუშაობ და წინ გიყრია რალაც დავთრები და, მხედველობის ორი შუშიდან, შენი ქალური ხიბლით დავთვრები.

ვიცი, რომ სახლში გელის ქმარ-შვილი და მსუბუქ ფლირტზეც წარბებს აზიდავ, მე კი, გამთელდე მინდა, დაშლილი, შენი ტან-ფეხის სილამაზითა...

და, ბედით სულის მატირებელი, ოდნავად მაინც თუკი მოვემეი — როგორც გვირაბში მატარებელი, ისევე შევდივარ სიმარტოვეში...

დაპყრობა ახლებურად

იმფერ ვარდებით, იმფერიებით იმოსებიან იმპერიები, თითქოს ყველასთვის მთვარე ებადროთ... თან ისე ძალუძთ ხელთა აპყრობაც — მეზობელ ქვეყნებს ჩახუტებადრომ გვეჩვენებოდეს მათგან დაპყრობა...

ციკლიდან „ქველბურაბი“

კლასიკოსი

ოთარ ჭილაძის ხსოვნას

ჩვენკენ მომავალ უხილავ ტალღის წინაშე იდგა გაშლილი ფართოდ... ირგვლივ ზღვასავით ეხვია ხალხი და მაინც იყო ძალიან მარტო.

ხან შოპენს ჰგავდა და ხანაც მოცარტს, მაინც დააკლეს ვარდები ქების... და მთანმინდაზე აგვყავდა როცა, იქიდან ხელებს უწვდიდნენ მკვდრები.

დიღამის ნაცვალი

ამდენი ხნის ვარ და ფეხს ვერსად ველარ ვიკიდებ: კვლავ მხიბლავს თოვლის სიქათქათე, ფოთლის სიყვითლე, ასეთები კი აღარ უნდათ უკვე ამქვეყნად... ცხოვრებამ, კარგი ყასაბივით, დამჭრა, დამკეპა. რა გავაკეთო იმისთვის, რომ არვინ არმიმტროს?! — უბედობასთან ვთამაშობდე, თითქოს, ზადმიტონს და ორთავ მხარეს მე დავეძებ ვოლანს დაკარგულს — ასეთი ბედი მხოლოდ ეშმაკს ძალუძს დაქარგოს... თან მგონია, რომ გაჩენილი ცისქვეშ ორჯერვარ — ესეც სენია, ვერ შეეძელი ამის მორჩენა. არც ბალს ვუმადლი... სხვებისა კი ყველაბარაქობს, ამიტომ უნდა მე მხოლოდ ცას ველაპარაკო...

სევდა

სევდისა მყავდა დედაც, დეიდაც. სევდისვე პურით ვარ გამოზრდილი. სევდასთან: ცაშიც დავალ ქვეითად, ცისქვეშაც დავფრენ ანგელოზივით...

აღარ ვიშორებ სევდას გვერდიდან, მისთვის არასდროს მითქვამს „ნახვამდის!“ მერმისს სევდიდან ვუყურებდიდა სევდის როდინში ანწყოს ვნაყავდი

სევდა მეცვა და სევდა მეხურა, სევდა მიჭერდა საზღვრის ხაზებთან... და რასაც ვწერდი ბატიფეხურად, იმასაც სევდა მიღამაზებდა.

სევდა ღებნამიც თუ არ ნებივრობს, მისგან ელოდეთ ზრახვას უმზაკერესს! მე კი სიბერის დამდევს ვხედვებორომ — ვარდებს ეკალი სურნელს უმძაფრებს...

ეკალს ვერ ნახავთ ვარდით განდვილს, ეკალი არის სევდა ვარდების...



გაგა ნახუცრიშვილი

წითელი კაბა

ფრაგმენტები მომავალი პოემიდან

1
მახსოვს, კაფეში შემოხვედი
და გეცვა კაბა წითელი,
ეგოცენტრიკი პოეტების
როცა მთავრდებოდნენ სიზმრები,
როცა უხალისოდ თენდებოდა,
დღე არც ბოლო, არც პირველი,
ახალი სახლები შენდებოდა,
იჭრებოდა ვერხვი და წიფელი
და შენ კაფეში შემოხვედი
და გეცვა კაბა წითელი.

2
თითო კონიაკი და თითო ყავა,
უცხო შეგრძნებებთან დანებება,
დასაწყისი დაინყება, ნავა,
როცა დამთავრდება გათენება
და მე მეშინოდა გათენების
და შენ მოელოდი გათენებას.

3
ცხოვრება განა ზღაპრებია,
არც მჯერა არც ერთი დებულების,
მალე სიტყვები გაქრებიან
და რჩება შორისდებულები,
ჰორიზონტს იქით აფრებია,
ცა ისევ სავსეა ბედურებით.

4
იყო სითეთრე,
მაგრამ არ თოვდა,
შენ გეცვა ლურჯი ღამის პერანგი,
მისვლა მინდოდა გარდასულ დროსთან,
ვერ მივაგენი ვერ გზით,
ვერაფრით.

5
გრძელი ღამეების სინოტივე,
სიტყვა მოწყენისგან დანერილი,
მერე უცაბედი შეყვარება,
მერე მარტოობა განერილი,
მერე მარტოობა განულილი.

6
ასეთი სალამო მე მგავს,
ნასვამია,
ასეთი სალამო სხვას არაფერს არ გავს.
ქვეყნად ყველაფერი უკვე ნათქვამია,
მე მაინც მოგწერ ჩემსას და ახალს.
ველარ ვუთხარი, რომ არ მცალია.
დღეს მუზა მოვიდა,
გავერთეთ,
მნახა.

7
რადგან დრო წავიდა ბალალების,
დაილუქნენ ძველი კარადები,
დაიმაღლნენ ძველი ნივთებიც,
მეც მოკლე წერილებს მოგწერ,
სულ მოკლე-მოკლე სიტყვებით.

8
გწერ,
რომ გადაივლის კუნაპეტი,
გწერ და
მე თვითონაც არა მჯერა,
სჯობდა, დამეწერა უცაბედი,
თუნდაც გვირილებზე დამეწერა,
ჩვენი ერთად ყოფნა
გამეწელა,
უცაბედად
ისიც განყდებოდა,
გული დაგვწყდებოდა.

9
ფანჯრიდან მოსჩანს
მომწვანო ყურე
და მოგონებებს
კადრივით აჩენს,
ყურეზე ნისლი
ჩამოყრის ყურებს
და მერე ისიც
გაქრება,
ნავა,
შეეგუება
თავის განაჩენს.

10
ბევრი რამე უკვე დავივიწყე,
ბევრი რამე იყო მოსაკვეთი,
უსასრულო წრფედაც გადაიქცა,
შენთან მოსასკეული
მონაკვეთი.
ხანაც აბეზრად
და წვრილად ცრიდა,
ხანაც მაშუშებდა
მზე
და ხვატი,
გზა კი მომძახოდა:
რალა გინდა,
უკან აღარ მოიხელო,
ნადი.

11
შეხვედრას მოსდევდა განშორება
და მერე შეხვედრა ძნელი იყო,
არ მახსოვს,
რომელილაც წელი იყო,
რომელილაც იქნებოდა
თვეც.
უკვე ერთად ყოფნა ძნელი იყო,
დრო ყოფდა და ყოფდა
გზებს.

12
განშორების წამი მარტივია,
განშორების მერე
არის ძნელი.
როცა აღარავინ გელის,
როცა აღარავის ელი,
როცა არაფერი აღარ ხდება,
როცა მარტოობაც მარტო რჩება.

13
ჩვენს პირველ შეხვედრას ვიმეორებ,
შენ სიტყვებს ვისხენებ,
ვუბრუნდები,
რაც აღარ მოხდება ხელმეორედ
და რასაც ვედარ ვუბრუნდებით,
შეცდომის გასწორება გვიანია,
წარსულიც ძველდება, მტვრიანია.

14
მესმის წუთების ჭრიჭინი
და მიჰყვებიან ნიავს,
სიცარიელეც იცინის
და მონატრებაც მიაქვს.

15
საკუთარი თავის შეცოდება,
როცა არ განაღვლებს
დანარჩენი,
საკუთარი თავის სიბრაღული,
ასე სასაცილოდ ამაზრზენი.
სიყვარულიც მალე დამთავრდება,
შენ თუ შენთვის გინდა
სიყვარული.

16
ახლა შუქი არსად არ ანთია,
დროა სიფხიზლის და ისევ ფიქრის,
კარზე ზარი ისმის,
მაგრამ შენ არ ხარ და
ისევ საქმიანი,
მოსაწყენი
ბარათია.

17
ჰოდა,
ჩემს ცხოვრებას განვილილს,
რასაც არ ვნანობ
და ვნანობ,
გავიხსენებ,
დრო რომ გავიყვანო,
ეს ხომ წამალია დაღლის,
ველარავინ,
ველარავინ მნახავს დაღლილს.

18
რა უცებ მთავრდება კარნავალი,
ქრება მხიარული სახეები,
მორჩა,
რაც გიყვარდა, აღარ არი,
რჩება მოგონება,
სახელები.
ისევ მონატრება წარმავალს...

19
მე ვერ მოვიგონე ჩემი სინამდვილე
და ამ სინამდვილით შენ ვერ მოგაგენი,
თურმე რა რთულია, იგრძნო სიმარტივე,
თურმე რა რთულია,
მოხდეს მოსახდენი.

20
ისევ ჩვენს შეხვედრას ვიმეორებ,
პირველს, სულ ასე ხელმეორედ,
რალაც სხვანაირად თენდებოდა,
დღე არც ბოლო იყო, არც პირველი,
მახინჯი სახლები შენდებოდა,
იჭრებოდა ვერხვი და წიფელი

და შენ კაფეში შემოხვედი
და გეცვა კაბა წითელი.





პაპუნა ფირცხალაიშვილი

აღსარება მამასთან

ადრე, როდესაც უდარდელი შვილი ვიყავი (უკვე სითეთრე მომიტანეს ცივმა ქარებმა), ვფიქრობ, მაშინ რომ გულახდილად მოვსულიყავი და მესაუბრა. საუბარი გაგახარებდა. ახლა კი მინდა, ყველა ღრმული რომ დაუამდეს გულს და მიიღე გულახდილი ეს აღსარება, რომელიც ინვესტორების დენას, ფიქრს და ჟრუანტელს, რადგანაც უკვე იმხელა ვარ, მიწვეს ხანდახან, რომ მოგატყუო. გახლეჩილა მკერდი შუამდე და უნებლიე პოეტური ჩემი გადახრა ისეც შევება, რომ მცნებებიდან ხშირად ათივე დარღვეულია და რადგანაც ჩემი მამა ხარ, შენთან მოვედი. ამ ცხოვრების დედა ვატირე, რომ მშობლის ნუგეშს მიჩვევია მუდამ სასმელი. და რომ ყოველთვის მიველტვოდი ჩინს და პატივებს, და ზუსტად ვიცი მომავალი და ხვალ რაც მელის, შენ რომ გინდოდა, ის არ არის, რადგან ათასი გზა გავიარე, ათასერთი კი ფეხსაცმელი გამოვიცვალე. საბოლოოდ ღმერთი გადავსვი გულიდან ტვინში. სირცხვილით ვარ სავეს პირამდე. აღარც კი მახსოვს სად ვიფორთხე, როგორ გადავრჩი. და სანამ ჩემს თავს ზვარაკით შემოგნირავედე, მითხარი, უთქმელ მონატრებას თუ რა ფასი აქვს. აი, ორ დღეში ისევე მოვა უქმი კვირა დღე. ნახვალ ტაძარში სალოცავად. გავშლი პასიანს და არაფრის მთქმელ ფიქრს შევყვები ყველა უჯრედით. სახლში არ ვარ და ყველაფერი მაინც ასეა... შენც კარგად იცი, რომ არაფერს გავაფუჭებდი, რამე რომ მაინც შემძლებოდა. მე კი ლექსების გარდა არაფრის თავი არ მაქვს. შენ რას ურჩევდი შეილს, გაბრუნებულს ცხოვრებით და თავის შექცევის ამბებით გართულს. ლამაზია დიდი ქალაქი მატარებლებით, ვაგონებით, თეთრი რელსებით, ხალხით, ამბებით, წვიმების ხმით და წყლის მარაგით. მეც შევერე. ჩამითრია. ბოლოს ჩავეყვი. ხორცი ნავბილწე, გავასუქე, თავის ქალა კი ისე ავივსე ხოჭოებით და ბაყაყებით, რომ ამიმყაყდა შეგრძნებები, ასე დამთავრდა ჩემში სინძინდე — ანგელოზის ხმაზე ნაყეფი. ყველასთან ვცდები, მართალი ვარ, მხოლოდ ზამთართან, ვერ მიერთვულა და მიცქერდა ხშირად ეჭვითაც. გამომაცალა ყველა, ვინც კი ნებას დამრთავდა მეცხოვრა: კარგად, ზედმინევენით, ლალად, ბეჯითად და ყველასათვის. ისე გაქრა ჩემი ბავშვობა, ვერ მოვასწარი პირველ კლასში რომ დამეჭიდა, იმ ბიჭთან ისევე დაჭიდება, თმების გაშრობა და დამრჩა ასე დათოვლილი. ეს აღსარებას აღარ გავს უკვე, ყალიბდება თითქოს ნაშრომად ან ერთმანეთში გადახლართულ მემუარებად. მე კი ვრჩები და ორი ბატიც თუ არ მენდობა, და ანგელოზიც ჩემთან აღარ მოიყვანება. მამაშვილური, ჩვენებური, ურთიერთობა შენ შეიფარე, როგორც მტრედი, როგორც ჭილყავი, როგორც ეს ლექსი, რომლიდანაც ვითხოვ შენდობას...

ბავშვი ქარიან და ყინვიან ღამეში, ღამეში საშიშში, უშიშრად ნაშობი, არ ვიცი, ხელები თუ როგორ გამეშვა ოცნებას და ჩემი ფერადი რაშები თუ საით ნავიდნენ და როგორ ვენიე და როგორ მდევნიდა ქარების მუსიკა, როგორ მიპატრონეს წვიმებმა მინიერს, როგორ მოვდიოდი და როგორ მინიეს სიკეთის ქვეშა და შემრჩა ნამუსი კაცს.

ნამუსი ნამუსრი ღმერთით თუ სიშორით, ფრთები დამტვრეული — ოცნების დილეგი, ახლა ჩემს სახლიდან გაშვებას შიშობენ, რადგან ქარია და ყინვები მირეკავს, მეძახის და ვცდილობ, ნახევრად ჩაცმული, ნახევრად კაცი და ყინული ნახევრად, გავიქცე მთებით და უკნიდან ჯვარცმულის ხმა აღარ მესმოდეს, მისივე ნახელავს შევერწყა... ყინვიან, ქარიან ღამეში, როცა დუმილია სიკვდილის მუსიკა, როცა იხვეწები და ყვირი, გამიშვი, როცა მკვდარი ხარ და შენს ცხედარს უზიხარ.

პოეზია ჩემთვის ყველა შენი ამბავი, უმნიშვნელოა, არ მთავრდება თუ არის მოკლე, ყველა ჭრილობა შეხსნილი და დაულამბავი, სისხლით სავეს თუ ცარიელი, მინდა, რომ მოვყევი. მინდა, რომ ვწერო, რომ კვდებოდი, როგორ გადარჩი, როგორ კვდებოდი და რომ ბოლოს აჯობე სიკვდილს. როგორ გასხვისდი, გაუცხოვდი და შენს კალთაში როგორ გადარჩა სიყვარული, მე ახლა მივხვდი და ვუფრთხილდები, ვეფერები, ვეთაყვანები. გარეთ ქარია, შემოდგომას უხდება, არბევს. მე შემოვივარდი, ამიტომაც თავს ვერ განებებ, ვწერ და ვერასდროს ვუბრუნდები შენს ფაქიზ ამბებს.

ისევე მოვიდეს ზამთარი და შენთან კიდევ ერთხელ დამანვინოს, გზები უტყუარი მაძებნინოს, მერე გადამხლართოს დალალებს, შენთან საბოლოოდ დამაძინოს, მამიკოს აკვანი მიწინოს და ზეციდან ვათოვებ მანანებს.
პირველი სიტყვა გაგიბედო, ხელი კაბის ქვეშ არ შეგიცურო, ლექსები ყალბები დაგინერო, შენ კი მიმიხვდე და მანანო, მერე საბოლოოდ შეგიძულო, სიყვარულისთვისაც გაგიმეტო. ღვინოც მივანრუპოთ მანანებს...

ბოლოს მზესავით ჩავიდე და გული ღრუბელივით ავინითლო, სისხლი წყალივით რომ შევიდებო, და ჩემზე არ იყოს ალალი. სხეულზე მკლავები დავინყვიტო. ლოცვა სიყვარულით ვაბუტბუტო, მინით მოვიყვანო მანანი...

სოფალი შუსუთი. ლალოპური 2018

ვიდრე სუფრის მესამედი ხასამბეგზე იმღერებდეს, ვიდრე იმნაიშვილებში განსხვავებულს დავისხამთ, მიდის განევ-გამონევა ამ ლელიდან — იმ ლელემდე, ხალხი წარსულს იხსენებს და ლელეც ყვება თავისას.

ყვება ერთი და მეორე ეჩრება და ესარჩლება, ქვიდან ქვაზე ხავსს მიჰყვება, იპარება, გადადის წყალი, ამ დღეს ეს სოფელი ისტორიის მესაჭეა, თავის ზნე-ჩვეულებით და თავის წესი-ადათით.

ბრძოლაც იყო, ჟინიც იყო... დაბადებაც უნანიათ, დანებებაც უცდიათ და ომში გვყავდა ცოლი და ცოლისდაც და ამიტომაც გასაკვირი თუ რამეა, გაიკვირვე. ტრადიცია შუხუთფერდის ბრძოლიდან მოგვყვება.

თუ გურიში მოხვედრილხარ, ამღერებ მტერს, აიშლები: ლომად, ვეფხვად, ხარად, ჩიხვად, აფთარად. მიდის განევ-გამონევა იმ ლელიდან — ამ ლელემდე, და ოსმალთა უშნო მოდგმა კვლავ შეგეძახის „აბდალაჰ“.

კიდევ რალაც მინდა, აქვე განვმარტო და დავამატო, სოფლის ბოლოს ლელეების შეერთება — ჰობია, თუმცა შტერი ამბობს: „ბევრი, არ უხდება დავა მათო“, მე კი — („ქვემო“ თუ მოიგებს), გამბობ „ზემო“ ჯობია.

მიზანია მახსოვრობა, რა დიდება, რა პატივი, ატირდება ქერივი დედა, რომ გაიგოს წლები აქვს თუ როგორი გამოვლილი, ყაჩაღ კაკოს ნაბადივით ამ მინას და გაჟღენთილი მხოლოდ ჩვენი ძვლებია

სისხლით. სისხლი ბრონეულის, სისხლი ქრისტესისხლასი და სისხლი გადამისხით მაინც დასიცხული დაისის, რადგან მე ვარ იმ სოფლიდან, იმ ხალხიდან, იმ მასიდან, გიჟებს რომ ეძახიან და ვირმა, აბა, რა იცის...

ვიდრე სუფრის მესამედი კრიმანჭულსაც იმღერებდეს, მიდის განევ-გამონევა ამ ლელიდან — იმ ლელემდე.

ჩვილია ჩვენი სიყვარული, ღამე ვუთითო, სწრაფად იზრდება, ბავშვობისგან სანამ იხსნიან, მანამდე მაინც გაუფრთხილდეთ და აუდიო ჩანანერივით არ მივაგლოთ. არ ამიხსნია... ჯერ ხომ ჩვილია, პატარაა. ძალზე სათუთი მოსაველელია. გაზაფხულის, მარტის თვის არის. ძალიან სწრაფად გაიზრდება, მალე დატოვებს ვიხილავთ. უკვე ავისრულე ჩემი მიზანი, უკან მინაზე ზღვა დავტოვო, ახლა წინ ცაში ვიყურები და თვალში ლურჯი ფერი მერევა, ჩემი სამყარო მივატოვე, მერე შენსაში განვხორციელდი, რომ შემეგრძნო ბედნიერება.



ის მოხდა იმ ზამთარს, როცა არცერთ გადამფრენ ჩიტს ფეხი არსად მოუცვლია და თბილ ქვეყნებში არ გაფრენილა. მოვიდა თხელი და ნატიფი თოვლი და მიდამო ისე გამოკვეთა, როგორც სარკეში არეკლილი ქალწულის სილუეტი. ჰაერში იდგა ვანილიანი კრემის სუნი და ეს სუნი მიერეკებოდა ადამიანებს სახლებისკენ, სამზარეულოებისკენ, ბუხრისპირებისკენ და ყველა იმ ადგილისკენ, სადაც ერთადერთად საუკეთესო გამოგონებაა გამოგონებათა შორის.

იმ ზამთარს არავის მოუკითხავს მოხუცი იო. მით უფრო, არავის შეუმჩნევია, როგორ დატოვა მან საკუთარი სახლი, წვრილი ნაბიჯებით გადაჭრა ქალაქი და ერთ უსახურ ქუჩაზე გაუჩინარდა.

სანამ სახლს დატოვებდა, გულდასმით მიმოიხედა, თითქოს პირველად ათვალეებდა ოთახს, რომელშიც ცხოვრების ბევრი წელი გაატარა — თვალში მოხვდა უჩვეულო წესრიგი, რაღაც დაძაბული სიმშვიდით დალაგებული და დაწკრილებული გარემო; კედელთან ატუზული პიანინო, რომლის ერთადერთ დანიშნულებად კარგახანია ისლა ქვეულიყო, რომ მის თავზე ქოთნები, ფოტოები და ათასი ხარახურა შემოეწყობა; მზერით ჩამოურბინა ჭერამდე ატყორცნილ ნივთების თაროსაც, ძველ ტელევიზორს და პატარა სამფეხა მაგიდას მის წინ — ნიჟარის კრიალა საფერფლით და ორი თავმოღეჭილი ფანქრით. სამზარეულოდან გამოდიოდა ახალმოკლული შიმშილის სუნი — შავი პურის და უმწეო ნენიანის სუსტი, გამჭვირვალე სუნი, სამზარეულოს რაფაზე თავდავინწყებით ღებოდა რამდენიმე ბრონეული და ზედაპირზე გაჩენილი შავი ლაქებით ისინი მოხუცი იოს ხელებს გავდა.

ჩაიცვა პალტო, სარკესთან გაისწორა საყელო, მოკიდა ხელი ფინია თინიას, რომელიც მთელი ეს დრო თვალბმობილული იზმორებოდა სარკემიდან დაშუქებული ზამთრის მზის უფერულ გუბებში, გაალო კარი და მშვიდად ჩაუყვავა კიბეს.

გავიდა სადარბაზოდან. ფინია თინიას თავზე ხელი გადაუსვა, მერე მსუბუქად მოუჭირა საყელო და ეზოს მესერზე მიიშვა. თინიამ, გეგონება, დიდხანია ბედს შეგუებიაო, სასხვათაშორისოდ დაინკმუტუნა და ცარიელ მოედანს გახედა. საყელოზე, ნიკაპთან, მუყაოს ქალაღდი უკონწილებდა. ქალაღდზე ფანქრით ეწერა: „ვინც შემოფარებს, ბედი გაუღიმებს“.

მოხუცი იოს ეზოში არავინ შეხვედრია, არც ქუჩაში, არც ავტობუსში.

ჯიბეში ფოტო ედო — რომელიღაც გეოგრაფიული ჟურნალიდან ამოჭრილი. სულ ერთადერთხელ ამოიღო, დახედა და მერე ქუჩებს დააკვირდა.

უკვე ახლოს იყო.

ეს ყველაზე ჩუმი და უსიცოცხლო ქუჩა იყო, რაც აქამდე უნახავს. ერთმანეთისგან შორიშორს იდგა პატარა სახლები, მათ ჰყოფდა ალაგ-ალაგ შუშებჩაფხენილი ლამპიონები და ქარი, რომელიც ამ სახლებს შორის ისე ცხოვრობდა, როგორც სიტყვებს შორის გამოტოვებული მთავარი სათქმელი.

ლამპიონებს, უკაცრავად პასუხია და, ბეტონისგან ჩამოსხმული დენის სვეტებს — ქუდეზად ვეებერთელა ბუდეები ეხურათ. სწორედ ეს ბუდეების ქუდეები ანიჭებდა აქაურობას უცნაურ მომხიბვლელობას, რის სანახავადაც არავითხელ ჩამოსულან უცხო ქალაქებიდანაც.

ბუდეები ყანჩებს ეკუთვნოდათ. ისინი იყვნენ მათი სრულუფლებიანი მეპატრონეები, რომლებმაც დიდი შრომით და წვალებით აიშენეს ეს საფლავებოები, დაასახლეს ოჯახები და ნათესავები და ცხოვრობდნენ ლაღად და მშვიდობიანად.

მოხუცმა იომ მალევე იპოვა ლამპიონი, რომელიც ფოტოზე იყო გამოსახული — ბენზინგასამართ სადგურსა და პატარა ეკლესიას შორის წამომართული ბეტონის სვეტი, ცილინდრით სოლიდური ბუდით დაბოლოებული.

რაც მთავარია, ბუდეში არავინ იყო. ფოტოზე ეწერა, რომ ეს ერთადერთი ბუდეა, რომელიც ყანჩამ დიდხანს აშენა, მაგრამ რატომღაც მიატოვა.

იო მოხუცი კი იყო, მაგრამ სპორტს მხოლოდ ოცი წლის წინ დაანება თავი, ხოლო ნამდვილი სპორტსმენისთვის ოცნლიანი პაუზაც არაფერია იმისთვის, რომ ერთ დღესაც დენის ბოძზე მოუნდეს აძრომა.

ფეხსაცმელი გაიხადა, პარკში სუფთად ჩაანყო, ბოძს კოლასავით შემოხეცა და გზას აუყვა. ცოტა გაუჭირდა, ვერ ვიტყვით, მთლად ვერცხლისწყალივით ასრიდა, მაგრამ რამდენიმე შესვენების, თვალბმობი ბრჭყვილა ფეიერვერკის, ყურიდან ყურში ცეცხლის ლავასავით მოვარდნილი სისხლის ჩანუილებების შემდეგ — ადგილზე იყო.

მიმოიხედა. მშვენიერი ერთოთახიანი გამოდიოდა — თივის, თივითკის, თავთავის აჟურული დიზაინით და მთების ვიტრაჟით.

მალევე მოეწყო — მეზობელი ბოძიდან გადმოიყვანა კაბელი (საკუთარი დიდხანის გამორთული იყო), შეუერთა ნათურას და გაანათა ბუდე, ბოთლებში მოიმარაგა წვიმის წყალი, რომელშიც დილა-საღამოს ალბობდა პურს და, მოგეხსენებათ — შა-

ყანჩამ აღმაცერად ახედ-დახედა მოხუცს. იო პირველად უყურებდა ფრინველს თვალბმობი, ასე ახლოს, და ცოტა დაიბნა. მონადირის თოფის სამიზნედან სულ სხვანაირად ჩანდნენ ხოლმე. ეს წვრილი და ბასრი თვალები კი ნემსებით მოებჯინა ახლა ყანჩას და აშკარად ამუნათებდა.

— აქ როდინდან ცხოვრობ? — ჰკითხა ყანჩამ.

— ზამთარი აქ გავატარე. ახლა რა დროა, გაზაფხულია უკვე? — თავი მოიქეცა იომ, — და შენ სად იყავი?

ყანჩამ პასუხის ღირსადაც არ მიიჩნია. ისევ წარბი აუწია.

— ჩემ ბუდეში რა გინდოდა, სხვაგან ვერსად გამოიზამთრე?

მოხუცი იოს უცებ სიცილი აუტყდა. ძალიან უადგილო კი იყო, მაგრამ მაინც გაცინა.



ნინო სადღობელაშვილი

ორნი ბუდეში

ქარმოყრილ წვიმისწყალში ჩამბალი პური უებარია კუჭ-წანღავისთვისაც და სისხლძარღვებისთვისაც. სიცივისაც მოერიო — ცალკე პალტო და ცალკე იმ დალოცვილი ბუდის ამშენებლის მიერ დატოვებული თივის მარაგი ცოც ღამეებს შესამჩნევად უთბობდა.

ქვემოთ აღარც ჩამოსულა. ცხოვრობდა თავის ბოლო სართულზე, შესცქეროდა მზის ჩასვლა-ამოსვლას, თოვლით გადაგლეხილ ალპურ მწვერვალებს შორს, ძალიან შორს. ღამლამობით ქარს მოჰქონდა ქალაქებიდან წამოკრფილი ხმაურის ნაგლეჯები, სიცოცხლის ფერფლი, რომელსაც ჯერ ქალაქების თავზე ახვეტდა, ააბურთავებდა, შურევედა ათას ნაგავს და გადააპნევედა თავზე ყანჩების ბუდეებს. ხანდახან ეს ფერფლი იცვლიდა ფერებს და მოხუცი იო ამითაც ერთობოდა.

ხოლო როცა თოვდა, იო დგებოდა ფეხზე, შლიდა ხელებს და ფიფქებს ისე იგერიებდა, ვინმეს თვალი რომ მოეკრა, იფიქრებდა, ცეკვავს ეს კაციო. ვინ იცის, იქნებ ცეკვავდა კიდეც და თან თოვლს მის ბუდეში თავის ჩამოდეებას უშლიდა.

ცოტაც და გაზაფხულიც მოვიდოდა. უკვე ნანსკარებდა დილის ხმები — გაზაფხულმა რომ იცის, იმ სინოტივით. მოხუცი იო თივის ბალიშზე მიწოლილიყო და წინა ღამის სიზმარზე ფიქრობდა. სიზმარში დიდი სახლის აივანზე გაშლილი სუფრის თავში იჯდა და ტანწერნეტა წეროები სართულბმობად არიგებდნენ სუფრაზე ხორაგს.

ეს სიზმარიც მალევე დაავიწყდებოდა მოხუცი იოს, რომ არა ერთი ამბავი, რომელმაც იმ დღეს ყველაფერი თავდაყირა დააყენა: იოს ბუდეს ყანჩა ესტუმრა. როგორც თვითონ გაეცნო — ამ ბუდის ამშენებელი და კანონიერი მფლობელი.

— სიმართლე გითხრა, გამოსაზამთრებლად არც მოვსულვარ... — დააბუსტა.

— აბა?

— სულ ვაპირებ დარჩენას... თუკი შენც... — ისევ გაუყარეს თვალი-თვალში ერთმანეთს, — შენც კაი ხნის ხარ ჩემსავით, გეტყობა. სად უნდა გამიშვა ხანდაზმული? ყანჩას შიოდა. ნამგზავრი იყო. მიიხედ-მოიხედა. თასში შენელებულ ბოლინოს* ამოუსვა ფრთა და წაილუკმა.

— ოჯახი არა გყავს? — გათამამდა მოხუცი იო.

— როგორ არ მყავს. შენსავით მარტო კი არ დავწანწალებ! — მეორედ ამოანო ფრთა და ხმა გაიკაცრა ყანჩამ.

— მეც მყავს, უპატრონო ხო არ გგონივარ? — გაბრაზდასავით იოც. მოხრილი საჩვენებელი თითი ჩაყო თასში და დარჩენილი ულუფა შესანსლა.

— მერე, ოჯახი მიატოვე და მე შემომი-სახლდი?

— არა... მეგონა არავის ბუდე არ იყო, არ ვიცოდი შენი ამბავი... — მოხუცი იოს გულმა კარგი არ უგრძნო და უცებ მოიწყინა, — და შენი ოჯახი სადაა?

ყანჩამ ლუკმა რამდენიმე წამს შეაყოვნა პირში. მერე სასწრაფოდ გადაყლაპა და წყალი დააყოლა.

— უკეთეს ბუდეში, ბატონო. ეს სივი-ნროვე ვერ აიტანეს.

— მე ვარ დამნაშავე? — ყბა ჩამოუვარდა მოხუცი იოს.

— შენ?... შენც, მარა ეს შენამდე მოხდა.

— უცნაური ყველაფერი... — ფიქრებში წავიდა მოხუცი იო.

— ნუ იტყვი! — უკან გაჰყვა ყანჩაც. იომ მთების კონტურით დაბრეცილ ჰორიზონტს გახედა. მერე ისევ ყანჩასკენ გააპარა მზერა და მოეჩვენა, რომ სიზმარზე ფერით წასვლოდა თვალებიდან.

— ჰა, რას აპირებ? — ნაბღისფერ შუბლზე ფრთა გადაისვა ყანჩამ. წყალში ჩაუყარა იმედის მარცვლები მოხუცი იოს.

— აღარ მაქვს წასასვლელი. ჩემი ნებით ვთქვი უარი ყველაფერზე და ეს ნიშნავს, რომ დამთავრდა. უკან ვეღარ დავბრუნდები.

— რატომ თქვი უარი?

მოხუცმა იომ ძალა მოიკრიბა, მარტო საჭირო სიტყვები რომ მოეძებნა. ოდნავ გასწორდა მხრებში და ომახიანად უპასუხა:

— სიკვდილის წინ გზა გამოვიცვალე. არ მინდა ადამიანად მოვეკვე.

— რატომ მერე, რატომ? — ყანჩაც წამოიმართა და სმენად იქცა.

— მრცხვენია... — თქვა მოხუცმა იომ და მიხვდა, რომ მოსაუბრისთვის გაუგებარ რამეს ამბობდა.

— კი, ასეა. მრცხვენია, სირცხვილით ვინვი. გინახავს ადამიანი? როგორ იქცევა, რაზეა წამსვლელი, რა შეუძლია? იმ გულს, სიყვარულით რომ უნდა უსკდებოდეს, რა ზიზლით იქვავებს? ან იმ ენით, ამ სამყაროს სილამაზის ქებაში რომ უნდა იცვეთდეს, რამდენს კლავს? იმ ხელებით...

— კი მაგრამ, კარგი ადამიანი ცხოვრებაში არ შეგხვედრია? ან შენ — კარგი არაფერი ჩაგიდენია?

— როგორ არა. მაგრამ ეს ისეთი ცოტაა... კენჭს ვერ აგანევივებს, არათუ რამეს შეცვლის.

— შენ რა იცი! — ისევ ხმა გაიკაცრა ყანჩამ. მერე გაჩუმდა. მოხუცის ბუდეში მოკაკვულ ფეხებს დახედა, ხმელი ტოტე-ბივით რომ ეწყო, — შენ გგონია, ჩიტობაა ადვილი?

ყველაფერს ელოდა მოხუცი იო, ამას არა.

— ხო, რას მიყურებ, — ნანწყინვით აწურა წარბი ყანჩამ, — შენ რა გგონია, მე სად ვიყავი?

— როდის?

— მთელი ეს დრო! სანამ შენ აქ მოეწყვე, მე სად ვიყავი? სად და, მეც დავტოვე აქაურობა, ჩიტობაზე ვთქვი უარი და სხვა გზას დავადექე. ვიფიქრე, ორი დღის ნუთისოფელი დამრჩენია, ჩიტად როგორ მოვეკდე, ამ თევზიყლაპია სვავებთან რა მაქვს საერთო, საჭმლის გულისთვის ერთმანეთს რომ არ ინდობენ და სახლებში უხტებიან, ვიფიქრე — მე მეტი შემიძლია, წავალ, სხვა ვინმედ ვიქცევი, რასაც მოვასწრებ, ის შემრჩება! ჰოდა წავედი.

— სად? — უკვე იცოდა პასუხი მოხუცმა იომ, მაგრამ მაინც ჰკითხა. თან თვალები დახუჭა.

— ქალაქში. ადამიანებთან. ერთ სახლში, მერვე სართულზე, ცარიელ ერთოთახიანში დავბინავდი. გადასარევედ მოვეწყვე. მალე უსახლკაროთა დახმარების ფონდში მოხალისედაც კი უნდა გავნევიანებულიყავი.

— იმ სახლში... პიანინო იდგა? — თვალები არ გაუხელია იოს.

— იდგა კი. პიანინო, ძველი ტელევიზორი, ბევრი წიგნი. ნიჟარის საფერფლე, ისეთი სიმპატიური, კინლამ მოწვევა დავიწყე.

— ფოტოები? პიანინოს თავზე ფოტოები ისევ ეწყო?

— ეწყო. ბავშვების და ლამაზი ქალის. იცი, ვიჯექი და ვუყურებდი ხოლმე ამ ფოტოებს საათობით და ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირად ვემგავსებოდი.

— რაღატომ დაბრუნდი? — უცებ გაანყვიტინა მოხუცმა იომ.

— სახლის პატრონი დაბრუნდა და იმ-იტომ. ჩემი ადგილი იქ აღარ იყო, — ფრთა ჩაიქნია ყანჩამ.

— სახლის პატრონი? ვინ? როგორ გამოიყურებოდა?

— ასე სამოცდაჩვიდმეტი-თვრამეტი წლის კაცი, ნახევრად მელოკი და ჭალარა, იმ ლამაზ ქალთან ხელკავით და ბავშვებით. ის ქალიც მოტეხილი იყო, მთლად ისეთი ტურფა აღარ, როგორც ფოტოებზე, და ბავშვებიც კაი დიდი ვირგლები იყვნენ უკვე, მაგრამ ერთად რომ შემოფგრილდნენ, მაინც ისეთი ახალგაზრდული ამინდი შემოიყოლეს, პირდაპირ გასაოცარი.

მოხუცმა იომ თვალბმობა გაახილა. შეუმჩნევლად დაიჩქმიტა ხელ-ფეხი, — ხომ ცოცხალი ვარ და ეს ყველაფერი ხომ ნაღდად მესმისო.

— გამოგაგდეს? — ესლა იკითხა.

— არა არა, იმათ არც დაუწუნახივარ. ერთმანეთით იყვნენ გართულები.

ქარმა წამოუბერა და ბუდე კედლები წამოშალა. მოხუცმა იომ უბეში შეინყო ხელები, ფეხებზე კი ყანჩა გადააჯდა გასათბობად.

— მადლობა... — ბავშვით გაუბედავად თქვა იომ.

— მგონი წნევა მაქვს, — დაიჩვილა ყანჩამ, — რომ ვიფრინე... აი, ავარდა სისხლი თავში... ეჰ, დრო იყო, რა კამარებს ვკრავდი!

— ანუ რა გამოდის... — თავისთვის გამოთვლა დაიწყო მოხუცმა იომ, — რა გამოდის, რომ მაპატიეს?..

— ბატონო? — თავის გაჭირვებას ებრძოდა ყანჩა და ცალი ფრთით ილღიაში პულსს ისინჯავდა.

— და გამოდის, რომ ჩიტად ვერ მოვკვდები?

— გაგიცვლიდი ადგილს, მაგრამ ხომ ხედავ — არ გამოდის, — ეშმაკურად ჩაიციინა ყანჩამ.

უცებ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მერე ისეთი სეტყვის ხოშკაკალი გადმოყარა, თეთრი ყუმბარების ომი გეგონებოდათ. მთელ ქუჩაზე გამოირთო მუქი. ჩამობნელდა. იომ და ყანჩამ, თუ რამე ჰქონდათ, ყველაფერი თავზე წამოიხმეს, მაგრამ წვიმამ ბუდე მთლიანად გაუღინთა, ორივე კბილს კბილზე აცემინებდა. მოხუცი იომ სტვენით ახველებდა, აშკარად სიცხე ჰქონდა. ყანჩამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოხვია ორივე ფრთა და სულიც შეუბერა — თბილი ჰაერი გაუწინილა.

— რა კარგია... რა კარგია... — ჩურჩულებდა მოხუცი იომ და სხეულში ჩუტყვავილასავით ანთებულ სითბოს ნერტილებს იმასხვრებდა.

მერე კი ის მოხდა, რაც, წესით, არ უნდა მომხდარიყო. ფიზიკის კანონი ამ ფაქტს ყველანაირად უარყოფდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ თავანყვეტილ წვიმაში ფიზიკის კანონიც რამეს შეეფარა და ეს ლამპიონი საერთოდ გამორჩა.

მთელი ძალით იჭექა. ცა შუაზე გადაიფხრინა და მეხის ცეცხლოვანი გორგალი გამოტყორცნა.

გორგალი ზუსტად იმ ლამპიონს დაეცა, რომლის თავზეც, ქუდივით ბუდეში მოხუცი იომ და ყანჩა იწვნენ. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ლამპიონი კარგახანია ჩამქრალი იყო, უცებ მთელი ძალით იფეთქა და მეხის ცეცხლოვანმა გორგალმა ბუდე დამაბრმავებლად გაანათა.

ეს ყველაფერი სულ ერთ წამში მოხდა. მოხუცმა იომ თვალი მოკრა, როგორ იქცა ყანჩა ადამიანად და, ყანჩას კი მოეჩვენა, რომ იოს ფრთები და ნისკარტი გამოესხა. თითქოს ამ კადრს გადაულოო ვინმემ ფოტო — მხოლოდ ერთი წამით განათდა და ჩაქრა. ერთი ნკაპანი. გრუხუნი. ბრდღვიალი.

ყველაფერი ჩაეგია ამ ერთ წამში. სიცოცხლეც და სიკვდილიც. ჩიტიც და ადამიანიც. ასეთი ჯადოსნური წამებისთვის ინყებენ ხოლმე ომებს, ამყარებენ მშვიდობას, უყვარდებთ და აჩენენ, ართმევენ და უარყოფენ.

ასეთი ჯადოსნური წამები მარადისობაში გრძელდება.

მათ აღარ ასამართლებენ.

ბოლოდნი — ღვინისა და პურის შეჭამანდი.



სუთშაბათი საღამოს, 12 მაისს, გარდაიცვალა. სასწრაფო რომ მოვიდა, გული გაჩერებულიყო. ახალგაზრდა ექიმმა ანკეტაში სიკვდილის სავარაუდო მიზეზი ჩანერა: „მიოკარდის მწვავე შეტევა — ინფარქტი“ და ნერვიულად მოინმინდა ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ცოცხალ პაციენტს ვერ მიუსწრო და ვერ გადაარჩინა.

არც ისე დიდი ხნის დაწყებული ჰქონდა სასწრაფოში მუშაობა. სამედიცინო ინსტიტუტი გასულ წელს დაამთავრა, მაგრამ ქვეყანა ისე არეულ-დარეულიყო, სამსახურის ძებნა არც უცდია. დიპლომი აიღო თუ არა, მაშინვე მშობლიურ ქალაქში გაეშურა. „ცუდი დროა, შვილო, ცუდი“ — ჩიფჩიფებდა გათეთრებული ბებია და შვილიშვილის სახლში ყოფნით გახარებულ პატარა გოგოსავით გარშემო უტრი-



ნესტან
ეგეტაშვილი
ლოვის
მიღვა

ალებდა. ქვეყანა ნელ-ნელა იმუშებდა ორი გარე და ერთი ცივილიზაციის ომის ქრილობებს. ფეხზე დადგომა უჭირდა. საზღვრებს გარეთ კი Queen-ის, დევიდ ბოუის კონცერტები იმართებოდა, კვენტინ ტარანტინო Pulp Fiction-ს იღებდა, მისი ტოლი გოგოების უმრავლესობა წვეულებებსა და პაემნებზე დადიოდა.

მშობლების სახლში სანთლის შუქზე ატარებდა საღამოებს; ერთ დღეს კი ლალი ნათლია ესტუმრა. ბუხართან დასხდნენ, დეკას ფოთლებისა და ყვავილების ნაყენი დალიეს, თაფლი და მოხალული ნიფელა მიაცულეს. მერე ჭრელთვალა ლალის წამ-წამები დაეწინა, ნაქსოვი კაბის ჯიბიდან მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოინმინდა და ათრთოლებული ხმით პირდაპირ საქმეზე გადავიდა: უცხოეთში გადაწყვიტე წასვლა — ბიძაშვილმა სამსახური მომიძებნა, ლოგინად ჩავარდნილი ოთხმოცი წლის ბებიას უნდა მოეუარო, სასწრაფოში ჩემი ადგილი თავისუფლდება და იქნებ შენ სცადო, სანამ უკეთესი რამე გამოგიჩნდება. უყოყმანოდ დაეთანხმა, თუმცა ლალიმ ისიც შეაპარა, რთული სამუშაოა, გართობა არ გეგონოს, მით უმეტეს, ხელფასიც არ არის სახარბიელო და, იმასაც, თვეები გადის, ვერ იღებო...

სასწრაფოს მანქანამ მისი ყოფილი სკოლის ქუჩისკენ რომ გადაუხვია და ცის ვაზის აყვავებულ ღობესთან გაჩერდა, მიხვდა, ვის სახლშიც მიდიოდა. მელირსება ამ ლამაზი ღობის მიღმა შეჭყეტაო, გულში გაუელვა. აღელვებულმა გადაიარა მისის ვარდებით დაჩრდილული, ნითელი ფურცლებით მოფენილი, ნაწვიმარი ბილიკი და ხის კარს მიადგა. შუა ხნის ქალი მაშინვე გამოეგება, შუშაბანდი გადაატარა და მყუდრო ოთახში შეუძღვა, სადაც პიტინის ჩაისა და კაკლის მურაბის სურნელი ტრიალებდა.

პაციენტი სარკმელთან მიდგმულ ტახტზე იწვა. გაყვითლებული, სანთელივით უძრავი ხელები გულზე დაეკრიფა. გვერდით გალუული, ჭაღარა ქალი ეჯდა. თავჩაქინდრული უხმოდ ტიროდა. ექიმი ფორთოხლისფერ, სახელურებთან გაცრეცილ ტახტს მიუახლოვდა. ლოყებჩავარდნილ

სახეს დააცქერდა და მაშინვე იცნო. „ბატონი შალვა, ბატონი შალვა...“ — უნებურად გაიფიქრა და თავდაც გაუკვირდა. ადრე ხომ ამ სახელით არასდროს მოუხსენიებია. მოსწავლეები ქალაქის ერთადერთი სკოლის დირექტორს ალბათ ვარცხნილობის, დიდი ცისფერი თვალისა თუ მერე მსოფლიო ომში ნიკაპზე მიყენებული ნაიარევის გამო დუგლასას ეძახდნენ. მის მაჯას დასწვდა.

— პულის არ ესინჯება, — სინანულით ამოიჩურჩულა. მერე ფონენდოსკოპი მოიმარჯვა და რეცხვისაგან გადახუნებული, ცისფერი პერანგის გულისპირზე დაადო, — არც გულისცემა ისმის, — და იქვე მოკუნტულ, ერთმუჭად ქცეულ ქალს მიაჩერდა.

— ჩაის დალევას ვაპირებდით, — ამოიკვნესა თვალცრემლიანმა მოხუცმა, —

ტყველებიანი, საქმიანი, მაღალი კაცი დაუდგა თვალწინ. ახსოვდა, როცა სკოლიდან მომავალი მის სახლს გვერდით აუვლიდა. სულ აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა ამ ჯადოსნური ღობის მიღმა მათი სკოლის მკაცრი დირექტორი. ან საერთოდ ცხოვრობდა კი აქ თუ ყველაფერი მოჭორილი იყო? თერთმეტი წლის მანძილზე არასდროს უნახავს სახლიდან სკოლაში მიმავალი ან სკოლიდან სახლში მომავალი მსგავსად სხვა. სკოლის კედლებს გარეთ ალბათ სულ ერთი-ორჯერ თუ შეხვედრია. სამაგიეროდ, სკოლაში იგი ყველგან იყო. მოსწავლეები დონჯემოყრილს ხან პირველ სართულზე გადააწყვედებოდნენ, ხან — მესამეზე, ხან — სკოლის ეზოში და ხანაც — „კაჩიგარის“ მიყრუებულ კუთხესთან. ამიტომაც სულ გაუბრუნდნენ, ერიდებოდნენ. ერთხელ „შატალოზე“ წასულებს უკან

ყველაფერი ისე უცბად მოხდა... თუმცაღა, რაღა უცბად. დიდი ხანია, ამის მეშინია... ნერვიულობდა, ღამეები თითქმის არ ეძინა... ზეზუურად ჩამოდნა.

ექიმი ფეხზე წამოდგა და თეთრსუფრა-გადაფარებულ მრგვალ მაგიდას მიუჯდა. კედელთან ატუზულ აცრემლებულ ქალებს ცისფერთავსაფრიანი გამოეყო და ჩაის ორი ფინჯანი — ერთი ნახევრად ცარიელი და მეორე პირამდე სავსე — გვერდით მიანჩოჩა. მერე ლამაზა აანთო და ექიმს წინ დაუდგა, ანკეტის შევსებაში სიბნელეს მისთვის ხელი რომ არ შეეშალა. მოქარგული ფარდების იქით უკვე ბინდი წვებოდა. მიცვალებულის სხეული ისე მშვიდად ესვენა ფორთოხლისფერ ტახტზე, ამ კოპნია სახლის სიმყუდროვეში არც აფორიაქება, არც უსიამო სიცოცხის განცდა არ შემოჰქონდა. „მკვდრების ყოველთვის მეშინოდა... ახლა კი, აქედან წასვლაც არ მინდა... წლებია, არ მინახავს, თუმცა სკოლაში მის მიმართ გადაულახავ შიშსა და რიდს ვგრძნობდი...“ ფიქრობდა ექიმი და ანკეტაში მოცემულ კითხვარებს აკანკალებული ხელით ავსებდა.

— ხვალ ჩვენი შვილები ჩამოვლენ, — გაისმა ისევე ერთმუჭადქცეული ქალის ხმა, — სხვა გზა არ მაქვს, მომიწევს გავანდო ის გრძელი სია, ასე საიდუმლოდ რომ ინახავდი... — უფრო ახლოს მიინია ქმართან, ხელი გულზე დაკრეფილ ხელებზე დაადო, — მაპატიე, რომ საიდუმლოს ბოლომდე ვერ შეგინახავ... არ შეგემინდეს, არც დაგძრახავენ, არც შეგარცხვენენ. პირიქით, შენით იამაყებენ...

დაღამებულიყო, როცა ექიმმა მისის ვარდებით დაფარული ბილიკი გადაიარა და ჭიშკარს მიადგა. აყვავებულ ცის ვაზთან შედგა, კიდევ ერთხელ მიიხედა კვიპაროსებში ჩაკარგული, კირით შეთეთრებული პანანინა სახლისკენ. „თურმე, როგორ სახლში უცხოვრია, როგორი ეზო ჰქონია“ — გაიფიქრა და შეეცადა, წარმოედგინა შაბათ-კვირას სამუშაო ტანსაცმელში გამონყობილი როგორ ფუსფუსებდა ხეხილის ბაღში, სხლავდა ვენახს, ფუტკრების სკვებს დასტრიალებდა... ვერაფრით მოახერხა. ისევ კოსტიუმში გამონყობილი, ყელამდე ჰალსტუხსეკრული, მკაცრგამომე-

დაედევნა. იანვარი იყო. ყინავდა. სულოს დუქანში შეუყუთულებს მაგიდები ერთმანეთთან მიედგათ და გულმოდგინედ ითვლიდნენ ფულს, რომ ხინკლის შეკვეთა მიეცათ. უცებ ქუჩიდან ხმაური შემოესმათ. მტვრიანი ფარდების მიღმა გაიჭყიტეს და, რას ხედავენ, სამთვლიანი მოტოციკლეტის მძღოლს უკან მოსჯდომია და სულოს დუქანისკენ უთითებს. ეტყობა, ფეხით დაედევნა, გზად მოტოციკლეტი წამოენია და ისიც, გულგახეთქილი, მას გამოჰყვა. ავიდრო იდგა, ალბათ შიშობდა, ბავშვები რამე შარს არ გადაეყარონ...

ახლა ხვდება. ყველაფერს ხვდება. თუმცა მაშინ გაბრაზებულიც კი იყო, ასე რომ ჩაშხამდათ ყველაფერი. წამოცვივდნენ და მეორე კარიდან თავ-თავიანთი სახლები-სკენ გაქუსლეს...

ჭიშკართან მძღოლი შეეგება. ისიც დასევდიანებული იყო:

— ვალები ჰქონია. კარდაკარ დადიოდა და ფულს სესხულობდაო. მარტო ჩვენს ქალაქში არა, თუ სადმე შეძლებული ნაცნობი ეგულეობდა, უყოყმანოდ მიადგებოდა და ფულს სთხოვდა. ასე უხდიდა მასწავლებლებს ყოველთვიურ ხელფასს, ერთი დღეც არ დაუგვიანიაო. ცოლისა და ბუღალტრის გარდა, არავის სცოდნია, საიდან მოჰქონდა ხელფასებისთვის თანხა. დღე-ღამე ამაზე დარდობდა, უხელფასოდ დარჩენილმა მასწავლებლებმა სკოლას თავი არ დაანებონ, უმასწავლებლო სკოლა რა-რა სკოლა იქნება, რა მოვუხერხო მერე ამდენ ბავშვს, როგორ ვულალატო, ქუჩაში როგორ დავტოვო? იმედი ჰქონია, ცოტაც რომ გავიჭიროვო, ყველაფერი გამოსწორდება, თავის კალაპოტს დაუბრუნდებაო.

— ვინ გითხრა? — სკოლის ბუღალტერი იყო მოსული, ჩემი ძველი მეგობარია.

„ნეტავ მიმესწრო, იქნებ გადამერჩინა“ — გაიფიქრა. ცის ვაზს ერთი მტევანი მოსწყვიტა და ისე ხარბად შეიყნოსა, თითქოს მისი სილამაზე მხოლოდ დღეს აღმოაჩინა, დღეს შეიყვარაო. მერე გამოალო სასწრაფო მანქანის კარი და სახენაველიან მძღოლს გვერდით მიუჯდა...



დასვრება

შემართულია ფეხზე ჩახმახი, შემართულია ფეხზე ჩახმახი შემართულია ფეხზე ჩახმახი, და მალე დასხლეტს ჩახმახს ჯალათი. და მალე დასხლეტს ჩახმახს ჯალათი, და მალე დასხლეტს ჩახმახს ჯალათი მოიცვლება, როგორც ბალახი მოიცვლება, როგორც ბალახი, მოიცვლება როგორც ბალახი, მსხვერპლი, და სახლში წავა ჯალათი.

ყორანა თქვა

მოვიარე არე-მარე, სად ვიარე, მაგრამ შენ ვერ დაგემალე, ადამიანო. არ მოგივა არც დუშაში, არც შაში-ბეში, რადგან ჩემი მოსაკლავი ქვა გაქვს ჯიბეში.

შავი ვარ და ჩემთვისა ვარ, რა დაგიშავე?! ხელი რაში შეგიშალა ჩემმა სიშავემ?! შავი ვარ და ჩემთვისა ვარ, ჩემს გულს ვახარებ, არასოდეს არ მოუკლა დედა ბახალეხს.

არ მოგივა არც დუშაში, არც შაში-ბეში, გადააგდე, ქვა რომ გიდევს შარვლის ჯიბეში. და თუ მაინც არ დაინდობ საწყალ ბახალეხს, ღმერთი დაგსჯის და შენს შვილებს არ გაახარებს.

ხელთა მაქვს სტრადივარის ვიოლინო და ჯოჯოხეთური შრომის ფასად, უფალმა საგანგებოდ მომავლინა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი არსად.

აქედან წამსვლელი არა ვარ არსად, აქ არი ჩემი შთაგონების წყარო, მეტაფორას ვქმნავ სიცოცხლის ფასად, რომელშიც მზე და გაზაფხული ხარობს.

ბათუმია ჩემი შვილების აკვანი, ჩემი გიორგის დაბადების ადგილი. მარიამი მზეს აქ ეთაყვანა, სოფიკომ ენა მერცხალივით აიდგა.

მომავლის გზები ბათუმიდან გაკვავალე უბათუმოდ სიცოცხლე გამიჭირდება. ბათუმია ჩემი შვილების აკვანი, მე ჩემს სამშობლოს ბათუმში ვჭირდები.

როგორც მსხვილი თოკით დაბმული ცხენი, როგორც რკინის ჯაჭვით დაბმული ძაღლი, ცხენივით ჭიხვინებს ჩემი სისხლი ცხელი, ძაღლივით ყფს ჩემი მთავარი ძარღვი.

მომავალში უფრო გაგვიჭირდება, შური და მტრობა ჯერაც ვერ ვძლიეთ, შენს აღიარებას სიკვდილი სჭირდება, მაგრამ ცოცხლები მკვდრებსაც ებრძვიან.

როცა სიზმარი მიზომავს სიცხეს, სიზმარს მე თვითონ ვუსინჯავ მაჯას, ამ დროს სიკვდილზე საუბარს იწყებს ჩემი წუხილი, ფიქრი და ტანჯვა.

ტანჯვით ვაგროვებ სიკვდილის ხარჯებს, გავემიჯნე ექსტრასენსის სეანსებს, მთელი ცხოვრება ვიჯახირე მარჯვედ, ალაპის ბიუჯეტი მაინც ვერ შევავსე.

ზაფხული მაშინ იწყება, როცა მწიფდება თუთა, არასდროს დამავინწყდება, შენთან შეხვედრის წუთი, ლამაზი თვეა ივნისი, მშვიდი, გრილი და წყნარი, უუმურისწყალი, ჭისწყალი და ისევ ქუმანწყალი, და ქუმანწყალის აუზში შენ იყავ თეთრი გედი, მომნატრებია ძალიან, როგორც ალერსი დედის. ბოჯინარიდან მომქონდა ჩქოლები ისე კარგი, რომ წარმოდგენაც ძნელია, რა აღმაფრენით ვრგავდი. მათ შორის, ერთი ჩინარი, ახლა ჩემი ხნის როა, დაბერებულა ჩემსავით, არ მიკვირს, რადგან დროა. ივნისში უნდა ვესტუმრო, კალოზე ბებერ თუთას და დათაფლული თუთებით უნდა ავიგვსო ფუთა. ჩემი ბავშვობის დღეებო, მე თქვენთანა ვარ მუდამ, თქვენით სავსეა ეს ჩემი მოგონებების გულა.

მე ნოეს კიდობანი ვარ, ანუ წითელი წიგნი, უკვდავი სახელები მყავს გადანახული შიგნით;

გადაშლილია ოქროს სარჩევი, დრო აღარ მრჩება თქვენთან დემარშის, რუსთაველი მყავს გადასარჩენი თანამედროვე ადამიანში.

როცა პირველად ვნახე თბილისი

როცა პირველად ვნახე თბილისი, ლამაზი იყო ღმერთის სახლივით, ზაფხული იდგა ანუ ივლისი, გულს ნარიყალას ბურჯებს ვახლიდი.

როცა პირველად ვნახე თბილისი, ბავშვი ვიყავი ოცნებით სავსე, ყოველთვის თვალწინ მიდგას იმისი დედა ქართლისა, ხმლითა და თასით.

როცა პირველად ვნახე თბილისი, მე მას ვუძღვნიდი წითელ მიხაკებს, მეგონა ვალი მქონდა იმისი და პატიოსნად გადავიხადე.

როცა პირველად ვნახე თბილისი, მორცხვად ვუმზერდი ლამაზ გოგონებს, მეც გადავიხსნი სისხლი იმისი, მეც თავი თბილისელი მეგონა.

როცა პირველად ვნახე თბილისი, მეგონა მტკვარი აღმა დიოდა, ასეთი იყო პროფილი დღისით, მისი ორივე სანაპიროდან.

როცა პირველად ვნახე თბილისი, მეგონა დავითს დიდგორში ვახლიდი, ლამაზი იყო ქარვასლა მისი, როგორაც თამარ დედოფლის ტახტი.

როცა პირველად ვნახე თბილისი, თავი მეგონა ჯვარიმინდორთან, მე მასთან დავრჩი ივნის-ივლისი და შინ წამოსვლა აღარ მინდოდა.

ფარული ჩანანარი

შენ როცა უკრავ, ფერმკრთალი ჩანხარ, მე კი, მე, ვეძებ საჭირო რითმებს, ასე მგონია, გააღებს ხახას და როიალი შეგიჭამს თითებს.

შემოვა ღამე და შენთან ითევს, მერე რა, ღამე შენთან რომ დანევს, თუ როიალი შეგიჭამს თითებს, ღამე შეგიჭამს ქარვისფერ ღანვეებს.

ახლაც ღამეა ბეცი და ხამი, ჭორი კი რუხი ქორივით ფრინავს, ასე მგონია, შემოვა ღამე და შენს საწოლში დაიდებს ბინას.

გიახლოვდება საყდრის გუმბათი, შენი ვარსკვლავი ბრწყინავს მარტივლთან, ფარულად გადაგიღე სურათი, ფარულად ფეისბუქზე ავტვირთე!

მარანი არასოდეს არ გავა მოდიდან, მარანი და სანახელი მქონდა და მექნება, სანახელი ჩავყარე ფეხმძიმე გოდრიდან ჩხავერი და ჩავდექი რკინის ჩექმებით.

საზამთროდ შეშა მოვიმარაგე, ხილი და შავი დედლების აპოხტები, იმისთანა ღვინო დავაბადაგე, დაისხამ და დოქიდან ბახუსი გადმოხტება.

ამასობაში მეც შევივრცხლე, შენთვის ვათენებ და შენთვის ვალამებ, ბუხარში დილიდან გიზგიზებს ცეცხლი ეზოში თოვს და ქოფაკი ღვავავებს.

შარჟან ბათუმში ჩიტები ბათუმად

ნორიოს ტბასთან ჩიტები გათოვდა, ჩიტების ფანტელები, ჩიტები და გვრიტები, ეს ხდება ვარდებით მოჩითულ ბათუმთან, ცაზე იწერება ჩიტების ტიტრები.

ციდან ფანტელივით მოთოვა ჩიტები, ბათუმის ბულვარი აივსო ჩიტებით, ხეტიტები ჩიტებს ველარ იტევენ, გვათოვს და გვათოვს ჩიტები და გვრიტები.

თითებს იმტვრევენ გატრუნული ტიტები, ხეტიტა და ხეტიტას გატრუნული ტოტები, ტბის ზედაპირზე ჩიტები ტივტივებენ, გათოვდა ჩიტების ტოტალური ტოტემი.

ჩიტები და გვრიტები გვათოვს და გვათოვს, გვათოვს და გვათოვს ჩიტები და გვრიტები, ასეთი თოვა არ ახსოვს ბათუმს, ტროტუარები ჩიტებს ველარ იტევენ.

მწვანე აფთიაქი

მწვანე ბუნება ჩემი ექიმია, მწვანე აფთიაქია ბალახ-ბულახი, შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებ ქიმიას, ანკარა წყარო მიყვარს და არა — ბურახი.

ბახმაროს ჰაერში სუფთა ჟანგბადია, მე მის აბებს ვიღებ უფლის რეცეპტით, ამის უკეთესი არა მახადია, მას ვერ შეედრება დასტაქარი ვერცერთი.

ბუნების დაცვა ღვთიური ვალია, მე მას დავიცავ მეტყვევ მექივით, ჩემი ქუმანწყალი წნევის წამალია, მწვანე ბუნება — ჩემი ექიმი.

არასოდეს არ ვიყავი ბაქია, ერთხელ ვიყავ პროვიზორის ვეჭილი, ბუნება ჩემი მწვანე აფთიაქია, მწვანე ბუნება ჩემი ექიმი!

მე ნოეს კიდობანი ვარ, ნაპირზე გამორიყული, მისმენს ათასი ყური, ათასი თვალი მიყურებს. მიყურებს ათასი ევა, მიყურებს ათასი ადამი, ნოეს კიდობანი მე ვარ, მე ვარ და მაშასადამე,

ჩემშია გადანახული ათი ათასი მითი, და წითელ წიგნში შესატან ადამიანებს ვითვლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულის ჯიბეში მიდევს, შენი ფერადი ფოტო,
ჩემო გილიოტინავ და ჩემო ეშაფოტო,
მეტაფორა დაბადა სიყვარულის მოტივმა,
ჩემო ეშაფოტო და ჩემო გილიოტინავ,
ჩემო გილიოტინავ, ეს გული შენი ტყვეა,
საგურამოსთან ახლოს წინამური და ტყეა.

მზესუმზირა

არც არავის ვემდური, არც არავის ვუჩივი,
ნარბი გახეთქილი მაქვს ბრონეული ტუჩივით,
მეც ვიყავი ყმანვილი, ლამაზი და მოქნილი,
გული გატეხილი მაქვს ანტიკური დოქივით.
მზე იცინის, დარია, ბალახზე ცვარი ბზინავს.
კედლიდან იმზირება ვან გოგის მზესუმზირა.

თაჰზი

უცნაურია თევზის ბედისწერა,
კალმახი მაღალ ჩანჩქერებს ებრძვის,
შემწვარი კალმახი, მოხარული წვერა,
დელიკატესია ანუ საფირმო კერძი.

კალმახივით გემრიელია წვერა,
ჩემს ანკესს მოეხა სასამოხილი,
ასეთია თევზების ბედისწერა,
წყალში — სიცოცხლე, ხმელეთზე — სიკვდილი.

მაღლა ცაა და თეთრი ტიხარი,
დაბლა მიწა და მწვანე ბალახი,
ზუსტად ისეა, მე რომ გითხარი
ის, რაც სიზმარში მქონდა ნანახი.
მე ნაკითხული მქონდა „ულისე“,
შენთვის ათასჯერ მაქვს მოყოლილი
ამბავი ჩვენი სიყვარულისა,
სიზმრის ქობიდან გამოყოლილი.

კახეთში აჯანყდა მაჭარი,
ოქროს რთველი გვიდგას აჭარლებს,
სახაშე მთა უდგათ რაჭველებს,
სირცხვილს არც რაჭველები გვაჭმევენ,
მურზაყანი არაბიას უკაზმავს,
ზუგდიდში გამოაჭენებს.

შენს ბოსტანში ქინძმა და მაკიდომ,
მზესუმზირამაც კარგად იხარა,
შენი ვარსკვლავი ცაზე დაუკიდე,
შენი ეჟვანი შევაბი ნიქარას.

სამყურას ჭიშკარი გაუღლე ნიკორას,
რომელსაც მწყემსავს ყამარის გოგონა,
დედამინა მწვანე ბურთი მეგონა,
მზე ჩვენსკენ ნითელი ბურთივით მოგორავს.

მე ისეთი სიყვარული ვიცი

გაზაფხულია. აი, აგერ, ისიც,
იასავით ახამხამებს წამწამს,
მე უზადო სიყვარული ვიცი,
მე სხვანაირი სიყვარული არ მწამს,
მე ისეთი სიყვარული ვიცი.

მე ისეთი სიყვარული ვიცი,
ერთადერთმა იესომ რომ იცოდა,
რაზეც გინდა, იმას დაგიფიცებ,
გულში ნაღველს გაგიქარებ, იცოდე,
მე ისეთი სიყვარული ვიცი.

მაოცებს შენი სიღარბისლე,
დუელში ვინვევ მე შენს რაყიფებს,
მე შენ გიყიდი ედელვაისებს
და ყველას ოქროს ფერხთით გაგიფენ.

მე შენ გიყიდი ზღვას და კატარლას,
მე შენ გიყიდი ცაას და ბოინგებს,
და გადაგაფრენ ბაღდადს გადაღმა
და უსიკვდილოდ შენს გულს მოვიგებ.

სიყვარული ღვთაებრივი ვალია,
ოქროს წლები გავატარე კენტად,
მარტო კაცი ლოგინშიაც ბრალია,
მარტო ქალი — კიდევ უფრო მეტად.

მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია,
გაჯიუტდა მარტოობის რითმა,

ღმერთს შეხედა, როცა წყალი დალია,
გალიაში გულყვითელა ჩიტმა.

მეტაფორა სიყვარულის ოდაა,
სიყვარულის და ცხოვრების ცოდნა,
მარტოკაცი ლოგინშიც ცოდვაა,
მარტოქალი — კიდევ უფრო ცოდვა.

მსურს მოვეფინო ბათუმის ქუჩებს,
მზედ, ნვიზად, თოვლად, ქარად და ნისლად,
რაც მე მსურს, ამას სუყველას ვურჩევ,
როგორც უფალთან საყდარში მისვლას.

ნუ გეშინია, არ არის გვიან,
ჯერ კიდევ დროა, ნუ გეშინია,
ვიდრე შენს საყდარს საყდარი ჰქვია,
და ის საყდარი ვიდრე შენია.

ვიდრე შენია და ვიდრე გიყვარს,
და ვიდრე გიყვარს ის, რაც შენია,
რაც გიყვარს მისი ერთგული იყავ,
და ნურაფრისი ნუ გეშინია!

ღმერთის კოცნა

რამდენიც მინდოდა, იმდენი მადროვა,
ამისთვის უფალს ათასი მადლობა.
სამშობლო მომცა, შვილები მომცა,
სამყარო ცეცხლში ინვოდა როცა,

ცეცხლიც მაკმარა, ცრემლიც მაკმარა,
ამისთვის მარტო მადლობა არ კმარა,
რაც მთავარია, რუსთაველი მომცა,
ამიტომ საჭიროა საყდარში კოცნა.

და როცა შენი მეტაფორა წამომცდა
ღმერთი მოვიდა და შუბლზე მაკოცა.

კვლავ გამოვცვივდით სახლიდან გარეთ,
სული სივრცეში გაფრენას მთხოვდა,
მე და სიზმრების ლამაზი მხარე
ხმაგაკმედილი ვიდექით შოვთან.

და ნიკორწმინდა ჩიტვივით დაფრთხა,
სანთელ-საკმეველს აკმევედა ირგვლივ,
და მისი ყელის ლამაზი ბაფთა
მოგავდა უფლის ფერწერულ გვირგვინს.

გვიმზერდნენ რაჭის მაღალი მთები,
ღვთისმშობლის ნიღბვედრ მიწის ბინადრებს,
მე კი იმ წუთში ვინატრე ფრთები,
მაგრამ არ ვიცი, რატომ ვინატრე.

მთები და მთები, მთებს შორის ბორცვი,
ბორცვი და ბორცვთან წარსული კივის,
გავდივარ გაღმა და ფრესკებს ვკოცნი,
ვარძიის ფრესკებს და იმთ ტკივილს.

ვარძიის კართან ჩამორბის მტკვარი,
ჩამორბის მტკვარი ვარძიის კართან,
და მე დავეკარგე წინაპრის კვალი,
წინაპრის კვალი და შენი კალთა.

დავეკარგე, მაგრამ მე მაინც ვეძებ,
ვეძებ და ვეძებ ვარძიის გზებზე,
ვეძებ და ვეძებ დაკარგულ ვერძებს
და ყველაფერი ახია ჩემზე.

ქალი და ეშაფოტი


რაზე ვიფიქრო მამულის გარდა,
წყალმა წაიღო დაშლილი ტივი,
სამშობლო ძილში ჩამყვება დარდად,
სიზმარშიც მისი ტკივილით ვტირი.

რომელიც სათქმელადაც ძნელია,
როცა ყორნები ფილტვებს კორტინიან,
ხმას ამოიღებ, იქვე ძელია,
იყვირებ, იქვე ეშაფოტია!

დაღამდება, ცუდად ვარ, გათენდება — კარგად,
არც არავის ვპოულობ, არც არავის ვკარგავ.

დღისით შენ გამორჩენიდი, ჩემო კესარია,
მაშინ უფრო კარგად ვარ, ეს არი და ეს!

მეტაფორა იშვა თითქმის არაფრიდან,
ისეთ გუნებაზე ვარ, ლამის გავაფრინო!



**ლალი გულისაშვილი
ეკოლოგიურად
სუფთა...**

პროფესიით ეკოლოგია. ეკოლოგიურად სუფთა...
კრილა, როგორც მისი ლექსი. ეს ნუგზარ ზაზანაშვილი-
ია. „მექანიკური როიალი“ — ეს კი წიგნია მისი, ცნობილი
მწერლის „მექანიკური ფორტოხალივით“... რა საერთო
აქვთ? განსხვავებაც ხომ საერთოა: აქ სულ სიკეთეზე და
მშვენიერებაზეა საუბარი... „გაუგზავნილი წერილები კი
„საბა 2006“-ის ნომინანტი იყო.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა
„საზამთროს მურაბამ“ და „ძინტარსმა“ და „თუმბა ლა ლე“. *მსოფლიოში ყველაზე გემრიელ საზამთროს მურაბას
მამაჩემის დეიდა, ანიჩკა ბაბო ქმნიდა.
ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობდა,
ვარანცოვზე, ტყვიავის ქუჩაზე.
...რამეს სპეციალურად გამოაყოლებდა,
მათ შორის - ნათესაობაში ცნობილ
საზამთროს მურაბას.*

თეთრი ლექსია, მოყოლილი, ვერლიბრით.
*სხვა ბებიდა, დედაჩემის დეიდა,
ორდენოსანი გეოლოგი ნელი
შინდის მურაბით იყო განთქმული.
გერმანიაში ნასწავლი
ინჟინერ-კერამიკოსი მამიდა თამარი
ატმის კომპოტით და ა. შ. და მისთ.*

მე დავეწერე ლექსი:
ედღენება ნუგზარ ზაზანაშვილს — საზამთროს მუ-
რაბის ჰანგზე

*კაკლის მურაბა მეფეა!
მეფე არა და - სეფეა!
კაკლის მურაბა ძალიან,
ძალიან საკაეფოა!*

ეს ისე, სხვათა შორის... „ძინტარსი“ და „თუმბა ლა ლე“
— საოცარია, „გასაოცარია, ძლიერ საოცია“...

„ლაზობადი დასავლეთის“ წარმომადგენელი, საბჭოთა
საზოგადოებისათვის მავნე სიმღერებისაგან განსხვავე-
ბით, სამბას სტილში შეიქმნა... თუმბა ლა ლეს არ ახშობდ-
ნენ და კიდევ გადაიქცა თუმბა ლა ლე საერთო-სახალხო
ჰიტად — პლატონის ქუჩის გიჟი, ქურთი ალიკაც კი ღი-
ინებდა თავისთვის:

*თუმბა ლა ლე,
თუმბა ლა ლე ოლალა.*

ეს ახალგაზრდობის მოგონებებია... ჩვენი მოგონებე-
ბი!

„ამ კრებულში პირველადაა თავმოყრილი ჩვენს უურ-
ნალ-გაზეთებში 2010-2016 წლებში გამოქვეყნებული ჩემი
ლექსები. ისინი დალაგებულია იმ „დროით-სივრცითი“
თანმიმდევრობით, როგორცაც გამოქვეყნდნენ,“ — წერს
ნუგზარ ზაზანაშვილი შესავალში.

გამიზნულად გადავშალე „მექანიკური როიალზე“:
*და რჩება ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ
სანამ მე ვარ*

*ის სულ ასე იდგება
წვიმის წვეთებიან ფანჯარასთან
და შავ-თეთრი კლავიშებიც მუდამ იმოძრავენ
არსად მძიმე, ან წერტილი, ან კითხვის ნიშანი, ძახილ-
ისა ან ორწერტილი... პუნქტუაცია უგულველყოფილია.
მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი პოეტები წერდნენ ასე...*





ლალი გულისაშვილი აკოლოგიურად სუფთა...

დასასრული

უპუნქტოაციოა: „გავიჭედე საცობში“, „ფერიცვალე-ბის დღეს“, უცხოელი კოლეგა ლაპარაკობს, „ტარკოვსკიდან — სიკვდილის შიშის ანატომია“, „გალაკტიონიდან“, „საათი ჩანს“ და სხვა.

იაპონური სალექსო საზომით არის დაწერილი (ტანკა თუ ჰაიკუ) შემდეგი ლექსი (სხვათა შორის, ასევე უპუნქტოაციო):

რა მშენიერი
ღრუბელი ადგას
ამ მახინჯ სახლებს

ან:

თუ მადვიდარა გაიღვიძებს
ე. ი.
სიზმრები გვაკლდება

ანდა ოთხ სიტყვაში გამოთქმული აზრი:

ვინ იტყვის
ია უშნოა

ან სამსიტყვიანი:

უფალს
უყვარს
ფუფალა

„კონვენციური ლექსი“ გახსენებაა თუთის ხეების, და-თოვლილი ხიდის, პატარა ქუჩის...

ქურთი ქუბარა ქუჩას ხეცავს და
ლივლივ უბზინავს ჭრელ-ჭრულა კაბა...

აქ ალიტერაციაა: ქურთი ქუბარა ქუჩას...

თავისუფლება აქვეა... ცხრა აბრილი... მოედანი, სისხლის ლაქები... ნეტა საით მიდიან ამ ქალაქიდან?

და...
მოედანი სისხლის ლაქებით...

ვხედავ — ბიჭები მხრებში მოხრილან,
საით მიდიან ამ ქალაქიდან?..

იყო ქალაქი თუ არ ყოფილა?..

ეს „ოდნავლექსები“ რაღაა?... („ნელსევედიანივით“... დათო წერედიანი)

რა კარგია! შესანიშნავი...

„გიჟი მარინას“ მიმართაა მიძღვნილი შემდეგი ლექსი:
ნეტავ ცოცხალი თუ არის,
დადიანის ქუჩაზე თუ ზის-მეთქი ისევ —
დიდი დედასავით...

გიჟო მარინა! —

როგორ ართობდი, როგორ აფრთხობდი,
როგორ უწუნავდი თმას

საბჭოურად დავარცხნილ თბილისს.

„როგორ უწუნავდი თმას საბჭოურად დავარცხნილ თბილისს“ — მეტაფორაა.

„ლიტერატურულ გახუთში“ (17-30 იანვარი 2020) გამოქვეყნებული ლექსებიდან ჩემი ყურადღება მიიქცია უსათაურო ლექსებმა სიბერის შიშზე, გერონტოფობიაზე:

არ ვიცი, რა მჭირს.

არა, ვიცი — სიბერე“.

და მეორე:

მსხვილმანი კი ისაა, რომ ადრე დაებერდი,
ჯერ 62-ის არა ვარ და ზოგს 70-ის ვგონივარ...

ჯერ ადრეა, ნუგზარ!

„ნიერელ მეგობარს“ — გვამცნობს მიძღვნა: რა „კოხტად“ სწევდა „სტაქანს“, რა კულტურულად სცლიდა ჭიქას...

ეჰ, რა კოხტად სწევდი „სტაქანს“,
როგორ კულტურულად სცლიდი!...

...თითქოს... მაგრამ აქ ხარ ჯერაც,
ჯერ არა ხარ წარსულ დროში...

გახარია, ძმაცაც ყოვას,
რომ მოუგებ დომინოში...

ყოველდღიური ამბებით მთავრდება ეს (და კიდევ ბევრი სხვა) ლექსი. თითქოს არაფერია და... უცებ:

„მე კი კატა მყავს — თუნჩიკა“...

ამ წერილს უნდა ერქვას „დედაჩემი გამახსენდა“:

ან — ეს ჩუმი ლათინური ჯაზი

ქალის ოდნავ მელანქოლიური სოლოთი,
რომლის სმენისას დედაჩემი გამახსენდა რატომღაც...


მაგრამ მე მაინც „ეკოლოგიურად სუფთა“ ვარჩიე...
ჩემი წინაშეა ნუგზარის ნარკვევი — „რუსოფობია“, ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე“.

„ნარკვევი დიდწილად ეძღვნება დერჟავულ-დამპყრობლურ თუ ნაციონალ-იმპერიალისტურ თემას რუსულ პოეზიაში. მართალია, ნიგნში ყურადღება პოეტებსა და ლიტერატურულ ტექსტებზეა ფოკუსირებული, თუმცა დიდი ადგილი ეთმობა ისტორიულ და ფილოსოფიურ ნაშრომებსაც“ (წინასიტყვაობა).

ავტორი წერს:

„ამ სიბრტყეზე სრულიად საპირისპირო მოვლენაზე, რუსული „მასის“ კავკასიელებისადმი სიძულვილზე, „კავკასოფობიაზე“ თუ „გრუზინოფობიაზე“ უფრო უპირიანია საუბარი“...

ამ ნარკვევს და დანარჩენ ესეებსაც სხვა დროს განვიხილავთ (მაგალითად, „ფაზლი“, ზაზა ბიბილაშვილი).
დგას კაცი „გურამიშვილის სიმარტოვესთან“, დგას მართო, ერთგული, ამაყი, ცოტა დადლილი და ცოტა ბუზლუნა, თვინიერი და ძალიან საყვარელი; დგას კაცი „გურამიშვილის სიმარტოვესთან“ და არ იცის, რომ მართოა...



ახალი ელენაზარი

ამასწინათ როსტომ ჩხეიძემ სატელეფონო საუბრისას მითხრა: ლამის არცერთი გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისთვის იმდენი ლექსი არ მიუძღვნიათ სხვადასხვა პერიოდში ქართველ პოეტებს, რამდენიც პავლე ინგოროყვას მიუძღვნესო... ეპიზოდები რომანიდან, რომანებიდან და ნოველების პროტოტიპიც გამხდარა... მოგონებებსა და სამეცნიერო წერილებს ხომ თვლა არა აქვსო...

შთამბეჭდავი სიმართლეა...
დაწერილი ერთია, მაგრამ ამ ზღვა მასალასაც ხომ სჭირდება გულიანი მომჩხრეკი, პროფესიონალი და გემოვნებიანი შემკრები?... განა საკუთარს შექმნაზე ნაკლებ შრომასა და ჯაფას მოითხოვს ლირებულ სქელტანინანი წიგნის შედგენა?... მითუფრო, თუ შემდგენელი ყველა მნიშვნელოვან დეტალს საკუთარ მწერლურ ქურაში ანართობს და მკითხველისთვის აუცილებლად საჭირო კომენტარებსაც ურთავს...

როსტომ ჩხეიძეზე უკეთ ვის მოეხსენება დღევანდელ სამეცნიერო თუ სამწერლობო სივრცეში პავლე ინგოროყვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ფასი...
ამიტომაც ნლებია, ძალასა და ენერჯიას არ იშურებს ყველა დროის ერთ-ერთი დიდი ქართველის უკვდავსაყოფად...

მართალია, პავლე ინგოროყვა სიცოცხლეშივე იყო დაფასებული და აღიარებული, მაგრამ მას მოშურნეები და ჩასაფრებული მტრებიც უხვად ჰყავდა...
როსტომ ჩხეიძე ნლებია, იკვლევს პავლე ინგოროყვას მრავალმხრივ საყურადღებო ფენომენს, მის უნიკალურ სამეცნიერო-ლიტერატურულ მოღვაწეობას... თითქოს ყველაფერი ითქვას სქელტანინანი, გახმაურებული არაჩვეულებრივი ბიოგრაფიული რომანით „ბედი პავლე ინგოროყვასი“...

თურმე რამდენი რამ დარჩენილა კვლავაც გამო-სამხეურებელი, რომ შეიქმნას ერთიანი, მონუმენტური და სრულყოფილი პორტრეტი, ვისზეც უდიდესი ოსტატობით, მოკრძალებითა და სიყვარულით წერს ოთარ ჩხეიძე:
„ასე მგონია, მერჩულე გამოსულა სენაკიდანმეთქი, პავლე ინგოროყვას რომ მოვკრავ თვალსა, გამოსულა დადლილი წიგნითა, დადლილი ფიქრითა, დადლილი სენაკის მდუმარებითაცა, შუბლი ოდნავ რო გაინიავოს, ოდნავ ღრმადაც რომ ამოისუნთქოს, რო გაიქარვოს კრთომაცა ოდნავა, შებრუნდეს ისევე, ისევე ჩაიფლოს ფოლიანტებში, ისევე იძიოს, ისევე სჩხრიკოს, ვითარ გამოვლეთის წინაზე ათასწლეულები, ვითარ ვიარეთ, ვითარ მოვალნიეთ აქამომდისა“...

ეს გახლავთ ამონარიდი ისედაც გვერდნახვერიანი ესეისა „ასე მგონია“... თურმე რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხითაც შესაძლებელია შექმნა განუმეორებელი პორტრეტი...

„ასე მგონია, მერჩულე გამოცხადებული, ანთუ მოქანდაკე რო ვიყო, პავლე ინგოროყვასაგან გადავიღებდი მერჩულესა“, — ასე ასრულებს აღნიშნულ ესეის ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსი...

სწორედ მამისაგან გადმოედო როსტომ ჩხეიძეს პავლე ინგოროყვას გაუნელებული სიყვარული და დიდი რუდუნებითაც აღასრულა ოთარ ჩხეიძის სურვილი:
„რამდენჯერმე დასცალა ის სავე პორთფელი... ააგ-სო და დასცალა დიდებულ წიგნებადა, დიდ შესწავლას რო მოითხოვს, დიდ დაკვირვებას რო მოითხოვს, ჩაღრმავებას რო მოითხოვს და ზერელე ადამიანთათვის არ არის განკუთვნილი... მაღლობა ღმერთსა!... — და ზოგჯერ ისეთნიც გამოერეოდნენ, რო ჰყოფნიდათ ერუდიცია და რო არც ემნიოდათ მისი მოშურნეებისა და მეტოქეებისა, — მაღლობა ღმერთსა“ (ამონარიდი „მეგობრული შარჟიდან“).

ელგუჯა მარლია გულთა კავშირი

გაუმართლა ოთარ ჩხეიძესაც და პავლე ინგოროყვასაც, რომ გამოუჩნდათ სულიერი მეგობრად...
როსტომ ჩხეიძემ საკუთარ მამასავით დაიტირა და სა-მუდამო განსასვენებელში გააცილა „დიდებული ბერიკაცი“ (მისი სიტყვებით)...

იმ უუამო ჟამისთვის წარმოუდგენელი სამოქალაქო გაბედულების ამბავი დატრიალდებოდა პავლე ინგოროყვას დაკრძალვის დღეს, თანდათან მთელ თბილისში რომ გახმაურდებოდა... როცა სამგლოვიარო პროცესია ქაშუეთის ეკლესიას მიუახლოვდებოდა, როსტომ ჩხეიძე და უჩა შერაზადიშვილი ელვის სისწრაფით ავარდებოდნენ სამრეკლოზე და ამაყად დააგუგუნებდნენ საყოველ-თაო გლოვის მაუწყებელ ქაშუეთის ზარებს...

უმჯობესია, ამონარიდი მოვიხმოთ ბატონი როსტომის წერილიდან თუ დოკუმენტური ნოველიდან — „პავლე ინგოროყვას დაკრძალვა“ — მძაფრად რომ შევიგრძნოთ გულანთებული ახალგაზრდების გააზრებულად თავგანწირული ქმედება:

„არ მახსოვს, როგორ მივაყუდეთ კიბე და როგორ ავ-ვარდით სამრეკლოზე, ოღონდ ის წამები არასოდეს წა-იშლება, ჩვენს ხელში რომ აჟღერდა ზარები; ასეთი ექ-სტაზით, ჰოი, რახანია, არ ჩამორეკილიყო და ახლა, თვი-თონაც ალბათ ანთებული, რეკდა და ჟღრილებდა: მთელს არემარეს ეფინებოდა, მთავრობის სასახლეს აწყდებოდა და გამოძახილი უკან ბრუნდებოდა; და აქ ჩვენ რომ გვივ-ლიდა ჟრუანტელი, იქ პროცესია გათანაგულიყო...“

— ეს რა იყო — გვეტყვიან მერე, — სულ გულში გაგვიარა-გამოგვიარა ზარის ხმამო. ნოღარ გრიგალაშვი-ლმა მეორე დილითვე მოგვძებნა: რეკვა გონებიდან არ გამომდიოდა, ლამით პავლე ინგოროყვასზე ლექსი დავწ-ერე და ვერ ვითმენ, ვიდრე წაგვიკითხავდეთო.

პირველი სტროფი ასეთი იყო:
ქაშუეთით ჩამორეკენ ზარებს
ჩხეიძე და შერაზადიშვილი,
საქართველომ გააცილა გულში
საქართველოს დამაშვრალი შვილი...“

მანამდე კი როსტომ ჩხეიძე და ნიკა სანებლიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში, „საქართველოსთვის დამაშვრალ“ მწერალ-სა და მეცნიერს 85 წლის იუბილეს გადაუხდებდნენ... ახ-ალგაზრდები ძლივს დაიყოლიებდნენ, რომ უნივერსი-ტეტში „სულ რამდენიმე წუთით მაინც“ (როსტომ ჩხეიძის სიტყვებით) გამოჩენილიყო, მაგრამ მეორე დღეს ავადმყო-ფობისგან ლოგინში ჩანოლილი დახვდებოდათ ბატონი პავლე...

„იქნებ სულ რამდენიმე წუთით მაინც, ბატონო პავლე, სცენაზე რომ გამოჩნდეთ, მეტი არაფერი. უნივერსიტეტ-ში მანქანით მიგაბრძანებთ, დარბაზამდე სულაც ხელში აყვანილს გატარებთ... ა, ბატონო პავლე, იქნებ რა“ — ბა-ტონ პავლეს გარშემო ცხრა-ათი მაინც ვსხედვართ. და ეს დიდებული ბერიკაცი, შემკრთალი და დაბნეული ამდენი მისით აღტაცებული ჭაბუკის ხილვით (ესეც სიმბოლური, რომ ყველა ჭაბუკი იყო...), გვებუტბუტებდა, „რამ მოგა-ფიქრათ... არავის არასდროს... არის კი საჭირო?... არა-ფერი ვითხრან... არ გინდათ, მე გთხოვთ“... ჩვენ ბატონ პავლეს ვამშვიდებთ, რომ ყველა მოსურნეა ამ საღამოს გამართვისა, მხოლოდ დაგვიმადლებენ, ხალხი მოუთმენ-ლად მოელის მის ხილვას. „ბატონო პავლე, თქვენი მოს-ვლა“... მაგრამ იგი წინწამხდარი შემოგვეყურებს, როგორ უძნელდება უარის თქმა, ნეტა მართლა შექმლოს თუნდ რამდენიმე წუთით, არადა... „იქნებ ჯობს, გადავდოთ და უფრო უკეთ რომ იქნებით...“ „მე დღეები მაკლდება, კი არ მემატება“... სკამზე ჯდომაც კი უჭირს და წამოვიშლებით.

„იმ დილით მაინც გამოვივლი“, ვუბნები და გამოვდივა-რთ“ (ამონარიდი როსტომ ჩხეიძის წერილიდან თუ დო-კუმენტური ნოველიდან „გახსენება. პირველი საღამო“).

საღამო უნივერსიტეტში ისე ჩაივილიდა, როგორც „პავ-ლე ინგოროყვას სახელს, მისი ეროვნული და მეცნიერუ-ლი ღვაწლის დაფასებას შეჰფეროდა“ (.....ეჰ, ნეტა ბატო-ნი პავლეს ყოფილიყო“, ეს გულდაწყვეტა სევდიანი აკო-რდით აბოლოვებდა იმ სიხარულს, ყველა ერთმანეთს რომ ულოცავდა“ (როსტომ ჩხეიძე).

სწორედ ამ საღამოზე „ბ-ნი აკაკი ბაქრაძე თავის გამ-ოსვლაში იტყვის: ჩვენი თაობა მოვალე იყო ადრევე ეთქ-ვა სიმართლე, თუ ვინ არის პავლე ინგოროყვა და რამხე-ლა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მის ზნეობრივსა და ინ-ტელექტუალურ გაკვეთილებს ჩვენი ერისათვის. ეს გაკვეთილები რომ გაგვეთვალისწინებინა, არაერთი უზე-დურება, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სუფე-ვს, აცილებული იქნებოდა. ჩვენ ეს ვერ გავხედეთ, გვემ-ინოდა და იმიტომ. და მე მაღლობელი ვარ ჩვენი ახალ-გაზრდობისა, რომელნიც არაფერს შეუშინდნენ და ეს სი-მართლეთ თქვენს“ (როსტომ ჩხეიძე).

ამდენი დავენერე და არ დამისახებლებია ის ნიგნი, რა-მაც ასე აღმაფრთოვანა და ამაღლესა... ეს გახლავთ პავ-ლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვა-ში“, სახელწოდებით „ახალი ელენაზარი“ (ვალერიან გაფ-რინდაშვილმა როგორც უწოდა პავლე ინგოროყვას“), გა-მოცემული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით.

ახლა კი — თამამად შეიძლება გაიმეოროს „ჩვენმა უკ-ვდავმა ფალავანმა“ (როსტომ ჩხეიძის „ბუბური ფალავ-ნის“ გავლენით ვწერ... ნიგნის კითხვისას, ერთ-ერთ გვერ-

დღე ექსპრომტად მივანერე: „ეს ბებერი ფალაგანი, ჩემო როსტომ, ჩემიც არის, რადგან მისი სიდიადე ბავშობიდან შევიცანი...“ გულწრფელად ვამბობ და არა ტრიახით, რომ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანა“ მერვეკლასელმა დიდი გულისყურით, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანივით წავიკითხე... ფანტასტიკა იყო, აბა რა, ყმანვილისთვის ის შთამბეჭდავი ისტორია, რაც შოთა რუსთველის ცხოვრება-მოღვაწეობას, მის დაბადება-გარდაცვალების თარიღების დადგენას ეხებოდა და ასე შემდეგ. იმედი მაქვს, მალე დაიბეჭდონ „პავლიკიანელთა კლუბის“ წევრად... ჰორაციუსის სიტყვები, თამაზ ჩხენკელისეული ვერსიის მიხედვით:

ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო მაგარი, პირამიდების ქვაზე გამძლე, მარადიული, და მას ვერც დელგმა, ვერც მქუხარი აქვილიონი ვერას დააკლებს, ვერ დაამხოვს მას ჟამთა სრბოლა. სიკვდილი სრულად როდი შთანთქმავს, — ჩემი არსების

უდიდეს ნილით დაეუსხლტები მე ლიბიტინას და ვიდრე შედის კურთხევისთვის კაპიტოლიუმს ვესტალთან ერთად ამოსული დიდი ქურუმი უფრო და უფრო განითქმება სახელი ჩემი. იქ, სადაც მთებში აფიდიუსი ხმაურობს შმაგი, სადაც მდაბიორთ განაგებდა დაუნუს უწყლო, უაზნოთაგან მე პირველად იტალიურად ავახმინე ეოლიის სავალბოლნი. ო, იამაყე მელპომენა, ღირსი ხარ ამის, მე კი მონყალედ თავს დამადვი დაფნის გვირგვინი. განა აქამდეც არ შეეძლო ეთქვა? განა საკუთარი ფასდაუდებელი და განუმეორებელი ღვანლით, საკუთარ თავს სიცოცხლეშივე არ დაუდგა ძეგლი? განა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი — „ბედი პავლე ინგოროყვასი“ — მონუმენტური ლიტერატურული ძეგლის მკაფიო გამოხატულება არ გახლავთ? მაგრამ უნებურად ამ ყველაფრისა, „ახალმა ელეაზარმა“ უმნიშვნელოვანესი ელფერი და მასშტაბურობა შესძინა პავლე ინგოროყვას პიროვნებას...

წერილის დასაწყისში როსტომ ჩხეიძის სატელეფონო საუბარი გავიხსენე...

მართლაც რამდენი ალალმართალი, გულწრფელი ლექსი, მოთხრობა, მოგონება, ეპიზოდები რომანებიდან თუ ჩანაწერებიდან, არის თავმოყრილი ამ უნიკალურ გამოცემაში...

როგორც ნიგნის შემდგენელ-რედაქტორი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს წინასიტყვაობაში:

„ისე მტკანდ ორიგინალური ნიგნი კი გამოვიდა საბოლოოდ, არა? სხვაგვარად ვერც მოხდებოდა, როდესაც მასალები თვითონვე გიბიძგებენ აქეთ, პავლე ინგოროყვასებური ექსკურსების გამლისაკენ. ხოლო ის მეორე კრებული თუ მეორე პოსტმოდერნისტული რომანი...“

ასე მრავალწერტილით ასრულებს წინადადებას როსტომ ჩხეიძე... თითქოს ვერ გადაუწყვეტია მეორე კრებულს გამოცემა, მაგრამ უსუსტად ვიცი, რომ ეს იდეაც განხორციელდება სანიმუშოდ და წარმატებით... როგორც გამიხილა იდეის ავტორმა, მეორე და მესამე ნიგნებში მოგონებებთან ერთად თავს მოიყრის პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი, გამორჩეულად საინტერესო სამეცნიერო ხასიათის წერილები...

დარწმუნებული ვარ, დაგვამილი გამოცემა კიდევ უფრო გაამრავალგვაროვნებსა და გამოკვეთს პავლე ინგოროყვას სიდიადეს...

გული არ მითმენს, არ გაგაცნოთ ნიგნის შინაარსი... 318-გვერდიან კრებულში თავმოყრილია (თანმიმდევრობით ჩამოვთვლი...) პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ვიქტორ გაბესკირიას, ალექსანდრე ქუთათელის, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭელიძის, შოთა ნიშნიანიძის, მამუკა ნიკლაურის, ტარიელ ჭანტურის, ვახტანგ ჯავახიძის, ნოდარ გრიგალაშვილის, ვახტანგ გორგანელის, ელგუჯა მარლიას (უხერხულობას მიქმნის საკუთარი თვის დასახელება, მაგრამ გამოტოვებაც არ ივარგებს... დიდი პატივიცაა, რაც სიამაყით მავსებს...), იპოლიტე ვართაგავას, იროდიონ სონღულაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო ავალიანის, რევაზ მარგიანის, ვახტანგ ჭელიძის, ოთარ ჩხეიძის, აკაკი ბაქრაძის, როსტომ ჩხეიძის, რევაზ ბარამიძისა და ზურაბ კიკნაძის უაღრესად საინტერესო სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები...

„არ მოაკლდებოდა განმაქიქებელი სტატიები პავლე ინგოროყვას, ყოვლად უმართებულო და უსაფუძვლო თავდასხმანი, ბეზლობა-ცილისნამებანი, პოლიტიკური დასმენებით დაგვირგვინებული, მაგრამ არც საქებარი წერილები მოაკლდებოდა... ლექსიც არაერთი მიეძღვნებოდა. და მოთხრობებისა და რომანების პერსონაჟიც შეიქმნებოდა — მისი ხასიათი პროტოტიპად რომ გამოადგებოდათ ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან მოკიდებული. რამდენ მწერალს აღუსრულებელი დარჩებოდა ეს ჩანაფიქრი: პავლე ინგოროყვას ხასიათის მორგება თავისი ბელეტრისტული თხზულებისთვის... საბოლოოდ მაინც ასე გადაწყდებოდა: გამოცალკევებულიყო პოეტური, ბელეტრისტული თუ მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილებანი: უშუალოდ ამ ყაიდისა, იმთავითვე დოკუმენტურ მოთხრობებად ჩაფიქრებული, და შემუარული თუ დღიურის ჩანაწერებიც, ზოგადი თვალსაზრისით ამავე ჟანრის ნაირსახეობას რომ წარმოადგენდა. და ერთი-ორი სტატიაც თუ ჩაერთებოდა, ესეც იმ აუცილებლობით გამოწვეული — შეეცხო ამათუიმ ავტორის პოეტური თუ ბელეტრისტული თხზულება...“

ასე გაიაზრა როსტომ ჩხეიძემ კონცეპტუალურად „ახალი ელეაზარის“ გამოცემა და მისი გაცნობით დიდი ესთეტიკური ტკობაც მოგვანიჭა...

ცრემლი და სიამაყე ერთად გეუფლება, როცა ნიგნს კითხულობ...

პავლე ინგოროყვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ხედვა და აზროვნება მომავლის საქართველოსთვისაც უმნიშვნელოვანესი იქნება... ამდენად ახალგაზრდა თაობის ინტერესის გაღვივებასაც ემსახურება ამგვარი გამოცემები...

„მას, ისევე, როგორც ცივ სენაკში დაყუდებულ ჩვენ წმინდა ბერებს, არ ამშვენებს ამა სოფლის ტიტულატურა: ლაურეატობა იქნება ეს თუ აკადემიკოსობა, მაგრამ თუ მაინცადამაინც აუცილებელია ტიტულატურა, მას ჩვენ დიდ წინაპართა მარტყოფელისა და მოდრეკილის მსგავსად უნდა ეწოდოს პავლე ჯვარცმული და პავლე შენირული, შენირული იმიტომ, რომ იშვიათად ნახავთ, ისიც ახალი დროის პერიოდში, ადამიანს, რომელიც ასე დემონსტრაციულად განდგომოდეს ამა სოფლის სიამეთა ცდუნებას და მთელი არსებით შენიროვდეს თავისი სათაყვანებელი ქვეყნის სულიერი განძის წარმოჩენასა და განდიდებას, ხოლო ჯვარცმული იმიტომ, რომ ასევე იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა და ამა სოფლის ძლიერთა მიერ ასე იყოს ნატანჯი და გარიყული, გაკიცხული და მსჯავრდებული“ (ამონარიდი რევაზ ბარამიძის წერილიდან „პოეტური გზების მკვლევარი“).

ამავე წერილში ვეცნობთ პავლე ინგოროყვას ცხოვრების ორიოდე შთამბეჭდავ ფაქტსაც (მოგესხენებათ, მის ცხოვრება-მოღვაწეობას თან სდევდა ხიფათიც და რამდენჯერმე სიკვდილსაც ჩახედა თვალებში... უფალმა არ განიარა, რადგან უდიდესი ეროვნული მისიის აღსასრულებლად იყო მოვლენილი...): „რევაზ გაბაშვილის მოწმობით, ოცდასამი წლის წაბუკი პავლე ინგოროყვა ეროვნულ საბჭოში პოლიტიკურ ლიდერებს ჯოხით ხელში რუკაზე უხსნიდა საქართველოს ნაწილების საზღვრებს, დიახ, ჩვენი საზღვრების ხელყოფა და მისი დარღვევა ანუხებდა ბატონ პავლეს და ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საზღვრების დამდგენ კომისიაში ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით მიიწვიეს სრულიად ახალგაზრდა პავლე ინგოროყვა და სწორედ მას მიანდეს ამ საზღვრების მოხაზვა“ (რევაზ ბარამიძე).

არ შემიძლია, ამ ფაქტსაც აუფარო გვერდი, იმდენად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მგონია (თუმცა უმნიშვნელო ნიგნში არაფერია...): პავლე ინგოროყვამ „ეპოქალური სენსაცია“ (რევაზ ბარამიძის სიტყვებით...) მოახდინა აკადემიკოს მეცნიერებაში, 17-18 წლის წაბუკმა მკვლევარმა, თავდადებული გარჯა 1913 წელს „ქართული სასულიერო პოეზიის“ ფუნდამენტური გამოცემით დაავგირგვინა...

პავლე ინგოროყვას რაინდულ სულისკვებებას ხაზს უსვამს ეს ამონარიდიც:

„როდესაც ჩვენი მენშევიკური მთავრობის უნიათობის შედეგად კოჯრიდან ჩვენი ჯარისკაცები დამარცხებულნი დაბრუნდებოდნენ თბილისში, დაქანცულ ჯარისკაცთა შორის ერთი იყვირებდა:

— რას მოვესწარი, ძმებო, რას მოვესწარი! თბილისს ვტოვებთ! არ შეიძლება ამის ატანა, თავს მოვიკლავ! თავს მოვიკლავ! — მან მართლაც ამოიღო გულდიდან ნაგავი და თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ორმა ჯარისკაცმა იარაღი წაართვეს, შეჰკრეს, ორთვალაზე დააგდეს და თავზე დაანვენა“.

დაცემული თბილისის გათოკილი შვილი გახლდათ პავლე ინგოროყვა და ეს გულისშემძვრელი ეპიზოდი მისი ცხოვრებისა შემოგვრჩა ალექსანდრე ქუთათელის რომანის „პირისპირ“ წყალობით.

„ზარის დამრისხებლები“ ვახსენე და ბარემ რევაზ ბარამიძის ამ მოგონებასაც გაგაცნობთ: „როდესაც სამგლოვიარო პროცესია ძვირფასი ნეშთით მიუახლოვდა ქაშვეთის ეკლესიას, უცბად ანკრიალდა ქაშვეთის ზარები და სამრეკლოზე ხელაპყრობილი ახალგაზრდა ჭაბუკი ღმერთს ავედრებდა განსვენებულის სულს და თავგამეტებით რეკდა ზარებს, მთელი პროცესია გაითანგა უჩვეულო მოულოდნელობისაგან, ხოლო ერთგული დარაჯები სისტემისა, მაშინ სისტემა ჯერ კიდევ ძალმოსილი იყო, გაექანნენ ქაშვეთის ეკლესიისკენ, რათა გაეზანრათ ეს

„მკრეხელი“, მაგრამ ჭაბუკი მისგან მოულოდნელი სპორტული ილეთით თავს გადაეწვო ლობეს და გაუჩინარდა, ხოლო შემდეგ ვითარცა ჭეშმარიტი ჭირისუფალი თავს ედგა სასაფლაოზე დასვენებულ ბატონ პავლეს ცხედარს; ეს ჭაბუკი გახლდათ შესანიშნავი მოქალაქე და მწერალი ბატონი როსტომ ჩხეიძე...“

დამეთანხმებით, ეს ერთი სამოქალაქო გმირობაც საკმარისია ღირსეული და შეუპოვარი მწერლის ბიოგრაფიისთვის...

ნიგნში როსტომ ჩხეიძემ შეიტანა გიორგი ლეონიძის ერთი ნოველაც „ნატურის ხიდან“... საგანგებოდ მოვიტოვე „ჩორები“, რომ ხაზი გამესვა აღნიშნული ნოველის მთავარი პერსონაჟის სიტყვებისთვის: „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა!“

„და ველარავინ წაგვართმევს უფლებას, „ჩორების“ კითხვისას პავლე ინგოროყვას შევეყურებდეთ, ბოლოსდაბოლოს მისი პიროვნული ხასიათი და ცხოვრების სტილი ზუსტად მოთავსდება ამ თარგში, მერე რა, რომ სიუჟეტურად არაფერი აქვს საერთო ნოველას „რუსთველიანას“ შემოქმედის ბიოგრაფიასთან. მაგრამ რადგანაც არც რაიმე ცნობა მოგვეპოვებოდა პავლე ინგოროყვას პროტოტიპობის დამადასტურებელი, და არც ხელშესახები მინიშნება გვეპოვნა, პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში ამიტომაც მოვერიდებოდი გიორგი ლეონიძის ამ ნოველაზე მსჯელობას, მის მიჩნევას ამ მკვლევარის პიროვნული ხასიათის კიდევ ერთ მხატვრულ გააზრებად...“

ასეთ მინანქრს გვთავაზობს როსტომ ჩხეიძე და ძალაუფლებურად ეთანხმები შეფასებაში...

დაბოლოს:

„ისე რა უცნაურია — და ეგებ არც უცნაური — ჩემს სიტყვებში პავლე ინგოროყვას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს („მიღწევა, მომიგონებენ“) რომ წარმოვსახავდი, იმ წუთას სულ არ მეხსოვებოდა ის პასაჟი „ჩორებიდან“, როდესაც ფინალურ აკორდად ფსალმუნის სტრიქონთა გადაძახილს მოვიშველიებდი:

უკეთუ დაგივინყო შენ... უკეთუ დაგივინყო შენ... ნიგნიერ მკითხველს ძალდაუტანებლად რომ წამოუტივტებოდა: დავიწყებდი იქნეს მარჯუნეცა ჩემიო!... ფიცსა ჰგავს და... ფიციც იყო, აღსრულებას რომ მავალდებულედა“ (როსტომ ჩხეიძე)...

ამაზე უკეთ ფიცის აღსრულება და ვალდებულების გააზრება წარმოუდგენელია...

გაუმართლა პავლე ინგოროყვას... მან დაინახა და შეიცნო მისი სულიერი მემკვიდრე... ეს გახლავთ სწორედ გალაკტიონისეული „გულთა კავშირის“ მკაფიო და შთამბეჭდავი გამოხატულება... ამიტომაც შევადარე როსტომ ჩხეიძის ფასდაუდებელი ცხოვრება-მოღვაწეობა პავლე ინგოროყვას მიერ დატოვებულ სულიერ საგანძურს... სიმბოლურია ის სიტყვებიც, რომელიც მის თხზულებათა მესამე ტომს 1980 წლის 22 ნოემბერს „აკანკალეული ხელით“ (როსტომ ჩხეიძის სიტყვებით...) წაანერა პავლე ინგოროყვამ: „ძვირფას მეგობარს როსტომ ჩხეიძეს, გულითადი სალამით პავლე ინგოროყვა“... თურმე ვერც იჯერებდა როსტომ ჩხეიძე, მეგობარი რომ უწოდა... მერე კი გაამაყებელი და აღფრთოვანებული გაქცეულა უნივერსიტეტისკენ, სადაც წერილში აღნიშნული საუბრილო საღამო ჩატარდა...

ამიტომაც განსაკუთრებით მიყვარს და მემამყება ჩემი ეს ორი რობაიც (ერთი პავლე ინგოროყვასა და მეორე როსტომ ჩხეიძისადმი მიძღვნილი), რითაც დავასრულებ წერილსაც:


პორთფელის რობაი

სულგაუტეხელს, ვის ახარებს წუთისოფელი, მიყვარს პორთფელი, ბრძენკაცისგან განუყოფელი... ერის ღირსების მეაბჯრე და მტკიცე ჯავშანი, — ძველი, სამშობლოს უკვდავებით სავსე პორთფელი...

შედარების რობაი

გინათებს აწმყოს დიდი მამის მარადი კვალი, ღირსების ქურამ გამოგანთო ვით დროის რვალი... ვინ შევადარო ინგოროყვას დღეს, უკვდავ პავლეს? — ვფიქრობ და... შენი ნიგნებისკენ გამიბრბის თვალი.





დავით წერეთლიანი

თავა და ვარიაციები

„დეტექტიური“ ნარკვევები

ნუგზარ ზაზანაშვილი

ზია ყოვლად უცნაური საქმიანობაა. არქაული გადმონაშთი“. მწერალი დაფიქრებულა მრავალ სხვადასხვა და ამავე დროს უხილავი ძაფებით ურთიერთდაკავშირებულ საკითხზე: პოეზია და პროზა; რიტმა და ურითმობა; ლექსი და ენა, სიტყვის ენერგია; ლექსი და შთაგონება; ლექსი და შემოქმედებითი პროცესი; შოვინიზმი და ამპარტავნება პოეზიის შეფასებისას; პოეზია და ფილოსოფია; შური და შეჯიბრის მომენტი პოეზიაში; მეტაფორა; ლექსის აღქმა; უცნაურო სიტყვების ფუნქცია ლექსში; პლაგიატი პოეზიაში და სხვა. აქვეა ჩაქსოვილი მკვეთრი და ორიგინალური შეხედულებები ქართული პოეზიის შესახებ, მისი ბოლო საუკუნეების ისტორიის „ბლიც-ანალიზი“ და კიდევ ბევრი მეტისმეტად საინტერესო მოსაზრება ზოგადსა და კონკრეტულ საკითხებზე — მოკლემოკლე მემუარული ჩანარებით.


და ამ მკვეთრი და ორიგინალური — შეჩვეულის, ლიტმცოდნეობაში დამკვიდრებულს თუ მიჩუმათებულისაგან განსხვავებული — აზრების და შეფასებების გამოც არის ეს წიგნი მეტისმეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი.

სახელების საძიებელი წიგნს არ ერთვის, მაგრამ, აი, ვინაა მოხსენიებული, ციტირებულ-დამონებული თუ შეფასებული: პომეროსი, რუსთაველი, სერვანტესი, დანტე, გურამიშვილი, ვაჟა, ვახტანგ მეექვსე, ფრანსუა ვიონი, ლამარტინი, გოეთე, ლევ ტოლსტოი, ვერლენი, კაფკა, პოლ ვალერი, ბრეხტი, ლორკა, გოტფრიდ ბენი, პაულ ცელანი, პოლ კლოდელი, პასტერნაკი, ჯუზეპე უნგარეტი, ჯოისი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე საჯანია, მირზა გელოვანი, ანა კალანდაძე, დოსტოვესკი, ბუნინი, ნაბოკოვი, იოსებ ბროდსკი, სოლჟენიცინი და ვარლამ შალამოვი, მიხაილ გასპაროვი, შოთა ჩანტლაძე და სხვები — და ეს მხოლოდ პირველ თავში.

წიგნში სულ რვა თავია და არ დავიწყებ მათ სათითაოდ განხილვას, მაგრამ დანარჩენ შვიდ სათაურს მაინც ჩამოვწერ — ისინი თავისთავად საინტერესოა: „ვარიაციები თემაზე: თავისუფლების მოედანი“; „ვარიაციები თემაზე: ენობრივი ზიგზაგები“; „ვარიაციები თემაზე: მილიონს ვითხოვ!“; „მარიამობის უქმობანი“; „ვარიაციები თემაზე: გალაკტიონი პრო ეტ ცონტრა“; „ესე ამბავი სპარსული“.

მხოლოდ ბოლო ორ თავზე ვიტყვი კიდევ რამდენიმე სიტყვას.

გალაკტიონისადმი მიძღვნილი 40-გვერდიანი თავი სამ ქვეთავადაა დაყოფილი. პირველ ქვეთავში („მუსიკა უპირველეს ყოვლისა“) დავით წერეთლიანი ცდილობს თავდაცვლილად გაერკვეს და მკითხველიც გაარკვეოს, საიდან, როგორ ჩნდება გალაკტიონის ჯადოსნური მუსიკა. მკითხველი გრძნობს, რომ ავტორი თავიდანვე სკეპტიკურად არის განწყობილი „პოეტური ინტეგრალის“ ბოლომდე ამოხსნის შესაძლებლობის მიმართ (სხვათა შორის, ასე ჰქვია მიხეილ კვესელავას 1977 წელს გამოცემულ წიგნს: „პოეტური ინტეგრალი: გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეტები“); და მიუხედავად ამისა, დავით წერეთლიანი მაინც ცდილობს სხვადასხვა კუთხით და რაკურსით მიუდგეს ამ ვეებერთელა ამოცანას და კიდევ უახლოვდება მის ამოხსნას, გეთავაზობს არაერთ ორიგინალურ, მეტისმეტად საინტერესო მოსაზრებას, თუმცა... აი, როგორ ამთავრებს ამ ქვეთავს: „იქნებ უადგილოც იყოს, მაგრამ, ჩემი ნამდვილი დამოკიდებულების გამოსახატავად, მინდა ეს ჩანაწერი ასეთი



დასკვნით დაბოლოვდეს: ერთი რამის თქმა დარწმუნებით შეიძლება, თვითონ გალაკტიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაიღიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი“.

ბოლო ორი ქვეთავი კი გალაკტიონის „კრიტიკას“ ეძღვნება, უფრო სწორედ, დიდი პოეტის დიდი ღვაწლის რეალურ შეფასებას და გაფიქრების საფრთხეს: „გალაკტიონის სიყვარულში არავის ვეჯიბრები, მაგრამ სრული უფლება მაქვს განვაცხადო: სურც მე ნურავინ შემომეჯიბრება. ჩემი სიყვარული მკაცრი და თვალხილულია... (...) გალაკტიონი გიყვარს და კიდევ უნდა გიყვარდეს, მაგრამ რა დაგიშავა მთელი მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომელიც დიდი პოეზიაა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე. გალაკტიონის გამოკლებითაც დიდი პოეზიაა.“ კიდევ არაერთი ახალი, მათ შორის გლობალური, კუთხითაა ეს საკითხი დანახული და „არაპოპულარულად“, მაგრამ გულწრფელად და უშეღავათოდ გადმოცემული.

უკანასკნელი, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსანი“-სადმი მიძღვნილი, ცამეტ მომცროს ქვეთავად დაყოფილი, თავი კი ნამდვილი „დეტექტიური“ ნარკვევია. მე არ მოვყვები ამ თავის შინაარსს, რათა მისი წაკითხვის ინტერესი არ გავუნელო მათ, ვისაც ეს ესე ადრე არა აქვს წაკითხული ლიტ. ჟურნალებში; მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს არის ვეფხისტყაოსანში აღწერილი პერსონაჟებისა და მოვლენების, ასევე, თავად შოთა რუსთაველის ბედის, ახლებური და მეტისმეტად საგულისხმო ინტერპრეტაცია იმდროინდელი პოლიტიკური ფონისა და „წყალქვეშა დინებების“ კონტექსტში.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ: იმის გარდა, რომ „მინი ესეებს“ მთლიანობაში ეტყობა ჭეშმარიტი პოეტის ხელი, ზოგიერთი „ჩანაწერი“, ჩემი აღქმით, ლამის ნამდვილი ლექსია. შეიძლება ერთი-ორი ლექსა-

დაც კი იყო ჩაფიქრებული, ან წერისას „გაექცა ხელი“ პოეტს: მაგალითად ერთ პატრიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაიღიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი“.

ბოლო ორი ქვეთავი კი გალაკტიონის „კრიტიკას“ ეძღვნება, უფრო სწორედ, დიდი პოეტის დიდი ღვაწლის რეალურ შეფასებას და გაფიქრების საფრთხეს: „გალაკტიონის სიყვარულში არავის ვეჯიბრები, მაგრამ სრული უფლება მაქვს განვაცხადო: სურც მე ნურავინ შემომეჯიბრება. ჩემი სიყვარული მკაცრი და თვალხილულია... (...) გალაკტიონი გიყვარს და კიდევ უნდა გიყვარდეს, მაგრამ რა დაგიშავა მთელი მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომელიც დიდი პოეზიაა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე. გალაკტიონის გამოკლებითაც დიდი პოეზიაა.“ კიდევ არაერთი ახალი, მათ შორის გლობალური, კუთხითაა ეს საკითხი დანახული და „არაპოპულარულად“, მაგრამ გულწრფელად და უშეღავათოდ გადმოცემული.

უკანასკნელი, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსანი“-სადმი მიძღვნილი, ცამეტ მომცროს ქვეთავად დაყოფილი, თავი კი ნამდვილი „დეტექტიური“ ნარკვევია. მე არ მოვყვები ამ თავის შინაარსს, რათა მისი წაკითხვის ინტერესი არ გავუნელო მათ, ვისაც ეს ესე ადრე არა აქვს წაკითხული ლიტ. ჟურნალებში; მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს არის ვეფხისტყაოსანში აღწერილი პერსონაჟებისა და მოვლენების, ასევე, თავად შოთა რუსთაველის ბედის, ახლებური და მეტისმეტად საგულისხმო ინტერპრეტაცია იმდროინდელი პოლიტიკური ფონისა და „წყალქვეშა დინებების“ კონტექსტში.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ: იმის გარდა, რომ „მინი ესეებს“ მთლიანობაში ეტყობა ჭეშმარიტი პოეტის ხელი, ზოგიერთი „ჩანაწერი“, ჩემი აღქმით, ლამის ნამდვილი ლექსია. შეიძლება ერთი-ორი ლექსა-

დაც კი იყო ჩაფიქრებული, ან წერისას „გაექცა ხელი“ პოეტს: მაგალითად ერთ პატრიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაიღიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი“.

ბოლო ორი ქვეთავი კი გალაკტიონის „კრიტიკას“ ეძღვნება, უფრო სწორედ, დიდი პოეტის დიდი ღვაწლის რეალურ შეფასებას და გაფიქრების საფრთხეს: „გალაკტიონის სიყვარულში არავის ვეჯიბრები, მაგრამ სრული უფლება მაქვს განვაცხადო: სურც მე ნურავინ შემომეჯიბრება. ჩემი სიყვარული მკაცრი და თვალხილულია... (...) გალაკტიონი გიყვარს და კიდევ უნდა გიყვარდეს, მაგრამ რა დაგიშავა მთელი მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომელიც დიდი პოეზიაა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე. გალაკტიონის გამოკლებითაც დიდი პოეზიაა.“ კიდევ არაერთი ახალი, მათ შორის გლობალური, კუთხითაა ეს საკითხი დანახული და „არაპოპულარულად“, მაგრამ გულწრფელად და უშეღავათოდ გადმოცემული.

უკანასკნელი, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსანი“-სადმი მიძღვნილი, ცამეტ მომცროს ქვეთავად დაყოფილი, თავი კი ნამდვილი „დეტექტიური“ ნარკვევია. მე არ მოვყვები ამ თავის შინაარსს, რათა მისი წაკითხვის ინტერესი არ გავუნელო მათ, ვისაც ეს ესე ადრე არა აქვს წაკითხული ლიტ. ჟურნალებში; მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს არის ვეფხისტყაოსანში აღწერილი პერსონაჟებისა და მოვლენების, ასევე, თავად შოთა რუსთაველის ბედის, ახლებური და მეტისმეტად საგულისხმო ინტერპრეტაცია იმდროინდელი პოლიტიკური ფონისა და „წყალქვეშა დინებების“ კონტექსტში.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ: იმის გარდა, რომ „მინი ესეებს“ მთლიანობაში ეტყობა ჭეშმარიტი პოეტის ხელი, ზოგიერთი „ჩანაწერი“, ჩემი აღქმით, ლამის ნამდვილი ლექსია. შეიძლება ერთი-ორი ლექსა-

დაც კი იყო ჩაფიქრებული, ან წერისას „გაექცა ხელი“ პოეტს: მაგალითად ერთ პატრიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაიღიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი“.

ბოლო ორი ქვეთავი კი გალაკტიონის „კრიტიკას“ ეძღვნება, უფრო სწორედ, დიდი პოეტის დიდი ღვაწლის რეალურ შეფასებას და გაფიქრების საფრთხეს: „გალაკტიონის სიყვარულში არავის ვეჯიბრები, მაგრამ სრული უფლება მაქვს განვაცხადო: სურც მე ნურავინ შემომეჯიბრება. ჩემი სიყვარული მკაცრი და თვალხილულია... (...) გალაკტიონი გიყვარს და კიდევ უნდა გიყვარდეს, მაგრამ რა დაგიშავა მთელი მეოცე საუკუნის ქართულმა პოეზიამ, რომელიც დიდი პოეზიაა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე. გალაკტიონის გამოკლებითაც დიდი პოეზიაა.“ კიდევ არაერთი ახალი, მათ შორის გლობალური, კუთხითაა ეს საკითხი დანახული და „არაპოპულარულად“, მაგრამ გულწრფელად და უშეღავათოდ გადმოცემული.

უკანასკნელი, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსანი“-სადმი მიძღვნილი, ცამეტ მომცროს ქვეთავად დაყოფილი, თავი კი ნამდვილი „დეტექტიური“ ნარკვევია. მე არ მოვყვები ამ თავის შინაარსს, რათა მისი წაკითხვის ინტერესი არ გავუნელო მათ, ვისაც ეს ესე ადრე არა აქვს წაკითხული ლიტ. ჟურნალებში; მხოლოდ ერთს ვიტყვი: ეს არის ვეფხისტყაოსანში აღწერილი პერსონაჟებისა და მოვლენების, ასევე, თავად შოთა რუსთაველის ბედის, ახლებური და მეტისმეტად საგულისხმო ინტერპრეტაცია იმდროინდელი პოლიტიკური ფონისა და „წყალქვეშა დინებების“ კონტექსტში.

და ბოლოს, კიდევ ერთი რამ: იმის გარდა, რომ „მინი ესეებს“ მთლიანობაში ეტყობა ჭეშმარიტი პოეტის ხელი, ზოგიერთი „ჩანაწერი“, ჩემი აღქმით, ლამის ნამდვილი ლექსია. შეიძლება ერთი-ორი ლექსა-

დაც კი იყო ჩაფიქრებული, ან წერისას „გაექცა ხელი“ პოეტს: მაგალითად ერთ პატრიონი ყველა ამგვარ ახსნაზე მხოლოდ ორჭოფულად ჩაიღიმებდა: „არ ვიცი, ძამიკოებო, არ ვიცი“.

შემაჯავებელი ნომერი გამოვა 4 სექტემბერს

დავით წერეთლიანი ამქვეყნიდან რამდენიმე თვის წინ წავიდა — საინფორმაციო წყაროები იუწყებოდნენ: გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და მთარგმნელი... და, რომ დაფიქრდე, რა ცოტაა ამით ნათქვამი... დავით წერეთლიანი ცნობილი მთარგმნელი კი არა, ერთ-ერთი საუკეთესო, ერთ-ერთი ბრწყინვალე მთარგმნელი იყო საქართველოს ლიტერატურის ისტორიაში და ეს ასე ვერ იქნებოდა, თავად რომ არ ყოფილიყო ბრწყინვალე პოეტი, პოეტური სიტყვის, მისი ყველა ნიუანსის მგრძობიარე აღმქმელი და მცოდნე.

ვინც მის შემოქმედებას სიღრმისეულად იცნობს, მათთვის ეს ისედაც ნათელია, მაგრამ ამის მიუხედავად, მწერლის „ჩანაწერების“ წიგნის („თემა და ვარიაციები“, გამომცემლობა ინტელექტი, 2018) წაკითხვის შემდეგ, მაინც გაცოცხლებული რჩები: რამდენს ფიქრობდა მწერალი სიტყვაზე, პოეზიაზე, მის შინაგან ენერჯიასა თუ გარეგან გამომსახველობაზე, რა სიღრმეებს სწვდებოდა დაკვირვებების, ანალიზის თუ ინტერპრეტაციებისას.

ამ წიგნში თავმოყრილი მცირე (თუ არც თუ ისე მცირე) ზომის ნაწარმოებები მთლად „ჩანაწერები“ არაა და ამას უპირველესად თვითონ დავით წერეთლიანი გრძნობს და წიგნის დასაწყისში ამბობს კიდევც, ნახევრად ხუმრობით: „ისე, კაცმა რომ თქვას, არავითარი ჩანაწერები ეგ არ არის (...) ეგენი უფრო მინი ესეებია, „წერილ-წერილი საკითხავი...“ (...) სიზარმაცის ფანრია. რაღაც ფიქრები მოგდის, რაღაც ამბებს იხსენებ, მაგრამ თავის ადგილს არ თუ ვერ უძებნი. ზედმეტი გარჯა გეზარება. ლიტერატურული შრომა მაინც იაფფასიან თამაშად ქცეულა.“

უნიჭიერესი მწერლის ხელი წიგნს იმაზეც ეტყობა, რომ ის ძალიან საინტერესოა, ძალიან კარგად იკითხება — ამ, არსებითად, ლიტერატურათმცოდნეობითი ესეების ბევრი მონაკვეთი ლამის დეტექტიური დისკურსითაა მოწოდებული და დაახლოებით ისაა, რასაც ლევან ბრეგვაძე „ლიტერატურულ (გამო)ძიებას“ უწოდებს. სხვანაირადაც შეიძლება ითქვას: ეს ნაწილობრივ პერმენეტიკული ნაწარმოებების კრებულიცაა — პერმენეტიკა კი, თავისი არსით, „დეტექტიური მეთოდოლოგიაა“.

დავით წერეთლიანი შესავალში, ასევე, წერს: „იმასაც ვამბობდი, ვცადე-მეთქი, თემატურად დამეღაგებინა. ეჭვი მაქვს — არც თუ დიდი წარმატებით. არადა, ისეთი წიგნია, შეიძლება სულ არ დალაგებულიყო.“

ეს ეჭვიც გასაგებია: ხანდახან ასეთი ნაწარმოებების თემატიკური გამიჯნვაა ჭირს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი საკითხი არ არის.

პირველ თავში „ვარიაციები თემაზე: უცნაური საქმიანობანი“ საუბარია „უპირველესად პოეტურ ხელოვნებაზე“: „პოე-

ლიტერატურული გაზეთი
 საპარტიველო განათლების, მაცნობარის, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
 საპარტიველო მხარალობა სახლი
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ყურული
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
 ISSN 2346-7940
 9 772346 794004